

ГАПРИНДАШВИЛИ Н. Н., ОДЗЕЛИ М. В.

О чер к и
по истории и теории литературных
взаимосвязей и соотнесений

ნანა გაფრინდაშვილი, მარია ოქელი

**ნარკვევები
ლივერაგურულ ურთიერთობათა და
ურთიერთმიმართებათა ისტორიისა
და თეორიის საკითხებზე**

ნაშრომი ეხება ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთ-
მიმართებათა პრობლემებს. მასში განმარტებულია ლიტერატურულ
ურთიერთობათა არსი და მნიშვნელობა როგორც ცალკეული ერ-
ოვნული, ასევე მსოფლიო ლიტერატურული პროცესისათვის, წარ-
მოჩენილია ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმარ-
თებათა ზოგადმეთოდოლოგიური საფუძვლები, გაშლილია მსჯელო-
ბა ლიტერატურათმცოდნეობის ამ შედარებით ახალი დარგის აღმ-
ნიშვნელი ტერმინის გარშემო. ნაშრომში ახლებურადაა დამუშავე-
ბული ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა
ნაირსახეობების კლასიფიკაციის საკითხი და პირველადაა მოცემული
უცხოურენულ ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის ურ-
თიერთობის პერიოდიზაციის ცდა.

Книга касается проблем литературных взаимосвязей и
соотнесений. В ней определяется суть и значение литерату-
рных взаимосвязей как для отдельных национальных литера-
тур, так и для всемирного литературного процесса, представле-
ны общеметодологические основы литературных взаимосвя-
зей и соотнесений, ставится вопрос об уточнении термина
для обозначения этой сравнительно новой области литера-
туроведения. В работе по-новому разработана проблема
классификации литературных взаимосвязей и соотнесений и
впервые сделана попытка дать периодизацию взаимосвязей
грузинской литературы с инонациональными литературами.

რედაქტორი ი. ბოგომოლოვი
РЕДАКТОР БОГОМОЛОВ И. С.

რეცენზენტები: ნ. ცხორებოვი, თ. ციციშვილი
Рецензенты: Цховребов Н. Д., Цицишвили Т. Г.

4603000000 — 005
Г ————— შეკვ. — 87
М-602 (08) — 87
(C) გამომცემლობა, „განათლება“, 1987.

შესავალი

სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული ურთიერთობები უხსოვარ დროში იღებს სათავეს. მათი წარმოშობის მიზეზი მრავალგვარია, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ამ ურთიერთობებმა ყველა ეპოქაში გარკვეული ფუნქცია შეასრულა და ცხადყო თავისი არსებობის გარდაუვალობა.

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა შესწავლა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ლიტერატურათმცოდნეობიდან ამ დარგის წინ წამოწევა და სიღრმისეული კვლევა ჩვენი ეპოქის მაჩისცემითაა განპირობებული. მისი მიზანია როგორც ცალკეული ეროვნული, ასევე მსოფლიო ლიტერატურული პროცესის სიღრმისეულად წარმოჩენა. მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, ცხადია, შეუძლებელია კონკრეტულ ლიტერატურათა კვლევა სხვა ლიტერატურებთან მიმართების გარეშე. ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა შესწავლა, ბუნებრივია, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდებს ეფუძნება. მისი კვლევის საგანს კი ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორია, თეორია და პრაქტიკა წარმოადგენს.

სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული ურთიერთობები წარმოშობიდან დღევანდლამდე დიდ და მეტად საინტერესო მასალას იძლევა მათი მეცნიერული შესწავლისათვის. კვლევის თეორიული პრინციპების ჩამოყალიბება ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ძირეული მომენტების სწორი პოზიციიდან წარმოიქმნას უწყობს ხელს და ამარტივებს პასუხის გაცემას არაერთ აქტუალურ შეკითხვაზე — რა როლს თამაშობს ლიტერატურული ურთიერთობანი მსოფლიოს ხალხთა დაახლოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში, განვითარების როგორი გზა განვლო ლიტერატურულმა ურთიერთობებმა, რა ადგილი უკავია ლიტერატურულ ურთიერთობებსა და ურთიერთმიმართებებს კონკრეტულ ეროვნულ ლიტერატურათა და ერთდანი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში, რა კანონზომიერი კავშირი აქვს ლიტერატურულ ურთიერთობებსა და ურთიერთმიმართებებს ეპოქასთან, რა ფუნქცია აკისრია ლიტერატურულ ურთიერ-

თაობათა გამოხატვის ფორმებს, როგორ ვითარდება და მონაცვლეობს ეს ფორმები ეპოქის შესაბამისად და სხვ.

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა პრობლემების ირგვლივ არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ამ საკითხს მრავალი თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის წერილი და მონოგრაფია მიეძღვნა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი თეორია ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთხმად აღიარებული და საბოლოოდ დამკვიდრებული ტერმინი ლიტერატურათმცოდნეობის ამ დარგისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს. ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. სამოციანი წლების დასაწყისში თვალსაჩინო საბჭოთა მკვლევარმა ი. გ. ნეუპოკოევამ გამოიყენა ტერმინი — «взаимосвязи и взаимодействие литератур» და მარქსისტული კომპარატივისტიკა ბურჟუაზიულისაგან გამიჯნა. უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედება ლიტერატურულ ურთიერთობათა გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა და ამდენად, მისი ცალკე გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს სლოვაკი მეცნიერი დიონიზ დიურიშინი. გარდა ამისა, იგი ედავება ირინა ნეუპოკოევას იმის თაობაზე, რომ ტერმინი ვერ მოიცავს რთული ლიტერატურული ურთიერთობების მთელ კომპლექსს, კერძოდ, ტიპოლოგიის სფეროს. ვ. მ. ჟირმუნსკიმ კი წამოაყენა მოსაზრება, რომ „взаимосвязи“ ყველა შემთხვევაში არ არის გამართლებული, რადგან მასში მხოლოდ ორმხრივი კავშირი იგულისხმება და მან შემოიტანა ტერმინი «литературные связи и взаимодействие». ნეუპოკოევას ტერმინის ხარვეზი თუ მისი ჭარბსიტყვაობა და სივიწროვე იყო, ვფიქრობთ, ვ. ჟირმუნსკიმ ორმაგი შეცდომა დაუშვა — გაიმეორა რა ი. ნეუპოკოევას შეცდომა, დაუმატა ახალი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მან კიდევ უფრო დაავიწროვა მეცნიერების ამ დარგის კვლევის სფერო — გამოთიშა როგორც ორმხრივი კავშირები, ასევე ტიპოლოგია. რაც შეეხება დავას „კავშირებისა“ და „ურთიერთკავშირების“ შესახებ, მიგვაჩნია, რომ „ურთიერთკავშირები“ ან „ურთიერთობები“ უფრო მასშტაბურია და ცალმხრივ კავშირებსაც გულისხმობს.

მეცნიერების ამ დარგის აღსანიშნავად სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვა დროს გამოყენებული აქვს ტერმინები — „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“, „შედარებითი მეთოდი“, „შედარებითი მიდგომა“, „შედარებითი შესწავლა“, „ლიტერატურული კომპარატივისტიკა“ და ა. შ. ეს ტერმინები ვფიქრობთ, რომ სრულყოფილად ვერ გამოხატავს ლიტერატურათმცოდნეობის ამ დარგის არსს, მის მასშტაბებსა და კვლევის სფეროს. მათ მიღმა რჩება ლიტერატურული ურთიერთობების ისეთი მნიშვნელოვანი ფორმები, როგორიცაა ურთიე-

რთობანი სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში, მხატვრული თარგმანი, ერთობლივი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ხასიათის ლონისძიებანი, მწერალთა პირადი, შემოქმედებითი კონტაქტები და სხვ.

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა თეორიული პრინციპების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის სხვა აუცილებელ გადასაჭრელ პრობლემებთან ერთად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მკვლევართა შორის შეთანხმების მიღწევა არა სამუშაო, არამედ უკვე ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული ტერმინის შესარჩევად.

ტერმინი¹ საკითხი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც დგას. ჩვენში ყველაზე მეტად მიღებული და დამკვიდრებულია „ლიტერატურული ურთიერთობები“. იგი თავისი ლაკონურობითა და კეთილხმოვანებით გამოირჩევა, მაგრამ არაფერს მიგვანიშნებს ლიტერატურათა ურთიერთმიმართებებზე. პარალელურად გვხვდება „ლიტერატურული ურთიერთობანი და ურთიერთშემოქმედება“, „ლიტერატურული ურთიერთობები და მხატვრული თარგმანი“ და ფრიად საგულისხმო და ანგარიშგასაწევი ტერმინი „ლიტერატურული კავშირები და მიმართებანი“ [15, 14]. ვფიქრობთ, ეს ტერმინი უფრო სრულყოფილი იქნება, თუ ოდნავ შევცვლით მის ფორმულირებას და ყურადღებას გავამახვილებთ ორ-მხრივ კავშირ-მიმართებებზე. მაშინ იგი ასეთ სახეს მიიღებს „ლიტერატურული ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი“. სამწუხაროდ, არც ეს ტერმინი ხასიათდება სასურველი ლაკონიზმით, მაგრამ იგი ყველაზე ახლოს დგას ლიტერატურათმცოდნეობის იმ სფეროსთან, რომელიც სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა როგორც გარეგან ურთიერთკავშირებს, ასევე შინაგან ურთიერთმიმართებებს იკვლევს.

ისტორიული მატერიალიზმი და ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა კვლევის პრობლემა

ლიტერატურათა ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი ისტორიული კატეგორიებია და სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ზარისხით, ინტენსივობით, ფორმითა და შინაარსით ვლინდება. კარლ მარქსი წერდა: „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, — წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება“ [(24), 406]. ლიტერატურათა ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი, ისევე როგორც თვით ლიტერატურა, ზედნაშენური მოვლენაა და შესაბამისი ბაზისით არის განსაზღვრული. ლიტერატურული ურთიერთკავშირები და ურთიერთმიმართებები კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესატყვის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ურთიერთობებს, ზნეობრივ, რელიგიურ, მხატვრულ თუ მეცნიერულ შეხედულებათა მთელ სისტემას შეესაბამება. ყველა დროის ლიტერატურული ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი თავისი ეპოქის პირმშოა და კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს. კერძოდ კი, ამა თუ იმ ერის კულტურულ-ლიტერატურულ პოტენციალსა და მის მიმართებას სხვადასხვა ეროვნულ კულტურებთან. ეს ურთიერთობები, ცხადია, იმ ბაზისის განმტკიცებას ემსახურება, რომელზეც აღმოცენდა და შესაბამისი საზოგადოების ინტერესებსა და იდეალებს ქადაგებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებს შორის, რომელიც მეგობრული კონსოლიდაციის, ძმობის, ურთიერთგაგების, ერთა თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის, მშვიდობის დაცვის მაღალ იდეალებს ემსახურება.

მომხმე ერების ლიტერატურათა საოცრად მრავალფეროვანი, მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთკავშირები, ნათლად ადასტურებს, თუ როგორ უწყობს ხელს ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ლიტერატურულ ურთიერთობათა გაზრდასა და გაფართოებას. თუმცა ისტორიას სხვა მაგალითებიც ახსოვს; ზოგ შემთხვევაში პირიქითაც ხდება. ცნობილია, რომ მძიმე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობები აბრკოლებს ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებას. მაგალითისათვის დაცემის ხანის — XIII — XVI საუკუნეების ქართული ლიტერატურაც გამოდგება. ჯერ მონღოლების, ხოლო შემდეგ ოსმალების განუწყვეტელმა შემოსევებმა, ძმათა შორის შულღმა და მტრობამ უმძიმესი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები შექმნა საქართველოში, რამაც საუკუნო დაღი დაასვა ქართული კულტურის განვითარებას, ქართულ მწერლობას, მის კერებს როგორც ჩვენში, ასევე მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში. დაკნინდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები და, ბუნებრივია, თითქმის სრულიად ჩაიხშო ყოველგვარი კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, რომელსაც დიდი რუდუნებით ქმნიდნენ წინა საუკუნეთა მოღვაწენი.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში მოვლენათა განვითარება აუცილებლობის შემთხვევითობის დიალექტიკური ერთიანობითაც არის განპირობებული. ამ ურთიერთობათა განვითარების პროცესში აუცილებლობა მოვლენათა იმ შინაგან და არსებით კავშირს გულისხმობს, რომელიც მათი ძირეული თავისებურებებიდან გამომდინარეობს და რაც ამა თუ იმ ეპოქაში გარკვეული პირობების არსებობისას აუცილებლად უნდა განხორციელდეს. საბჭოთა პერიოდში პერმანენტულად მზარდი ლიტერატურული კონტაქტები კანონზომიერი მოვლენაა და ისტორიული აუცილებლობით არის გამოწვეული. ჩვენს დროში ლიტერატურული ურთიერთობების ხასიათსა და მიმართულებას ძირითადად ისტორიული აუცილებლობა წარმართავს.

როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი უძველესი და უმძლავრესი ფორმის — თარგმანის წარმოშობა უმეტესწილად ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და მას ოდითგანვე უტილიტარული დანიშნულება ჰქონდა. თარგმანიც ზედნაშენის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე ლიტერატურის მსგავსად სხვადასხვა კლასის იდეოლოგიას ემსახურება. კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც

აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა; ითარგმნება. ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა და შეგნება, ერთი სიტყვით, ითარგმნება ის, რაზედაც აუცილებელი მოთხოვნილებაა, მოთხოვნილება კი მაშინ წამოიჭრება, როდესაც მთარგმნელ ქვეყანაში თავს იჩენს იმგვარივე განწყობილებანი, რომელნიც გაფორმებულნი არიან გადმოსაღებ თხზულებაში...“[(12), 185].

ასე რომ, თარგმანი სწორედ აუცილებლობით განპირობებული ფენომენია, რომელსაც ყველა ეპოქაში მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური ფუნქციები აკისრია. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ თარგმანის სფეროში აუცილებლობასთან ერთად შემთხვევითობაც გარკვეულ როლს თამაშობს. შემთხვევის წყალობით ესა თუ ის ეროვნული ლიტერატურა შეიძლება სხვა ლიტერატურათა შედევრებსაც გაეცნოს და უიდეო, დაბალმხატვრულ თხზულებებსაც. სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურაში ძნელი არ არის ისეთი მაგალითების მოძებნა, რომლებშიც ჩანს, თუ როგორ უწყობს ხელს ცალკეული შემთხვევითობანი ლიტერატურულ ურთიერთობათა ჩასახვასა და მის შემდგომ განვითარებას. მსგავსი შემთხვევითობანი ისეთი ფაქტორებითაა განპირობებული, რომელიც მოვლენათა არსთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. ლიტერატურულ ურთიერთობათა არსებობა მხოლოდ შემთხვევითობებით რომ იყოს გამოწვეული, მაშინ იგი ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებული, ქაოსური და სტიქიური იქნებოდა. 1871 წელს მარქსი კუგელმანს სწერდა: „ისტორიას ძალიან მისტიკური ხასიათი ექნებოდა „შემთხვევითობანი“ რომ არ არსებობდეს“. ძალიან ხშირად შემთხვევითობა მძლავრ შემოქმედებით იმპულსად იქცევა ხოლმე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ბერტა და არტურ ზუტენერების ქართველოლოგიური მოღვაწეობა. მათ ცხრა წელიწადი (1876-85) დაჰყვეს საქართველოში. ცნობილი ავსტრიელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტა კინსკი-ზუტენერი სრულიად შემთხვევით დაუკავშირდა საქართველოს. ხელმოკლეობის გამო იგი ვენაში ბარონ ზუტენერის ოჯახში აღმზრდელად მუშაობდა. მას და ზუტენერების უმცროს ვაჟს, არტურს ერთმანეთი შეუყვარდათ. მშობლები წინ აღუდგნენ ახალგაზრდების სურვილს და მათ დაქორწინების ნება არ მისცეს. ბერტა იძულებული შეიქნა ეკატერინე დადიანისთვის მიემართა, რომელიც შემთხვევით გაიცნო უცხოეთში ყოფნის დროს და შემდეგ მისი ოჯახის ახლო მეგობარი გახდა. ეკატერინემ დახმარების ხელი გაუწოდა ახალშეუღლებულებს და საქართველოში მოიწვია ისინი. ბერტა და არტურ

ზუტნერებმა სამწერლო ნათლობა საქართველოში მიიღეს. მათ თხზულებებში დიდი ადგილი დაიკავა ქართულმა თემატიკამ. ბერტამ თავისი „მემუარების“ ერთი ნაწილი საქართველოსა და ქართველ ხალხს დაუთმო, ხოლო არტურმა თითქმის მთელი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი და ჟურნალისტური მოღვაწეობა საქართველოსა და კავკასიის უძღვნა. მათ გერმანულენოვან მკითხველს შეძლებისდაგვარად გააცნეს ჩვენი ქვეყანა. ასეთი შემთხვევითობის წყალობით ქართული ლიტერატურის შემოქმედებით კონტაქტებში გერმანულენოვან ლიტერატურასთან ახალი, საინტერესო ნაკადი გაჩნდა. ზუტნერების მაგალითზე ერთხელ კიდევ წარმოჩნდა პიროვნების როლი ლიტერატურულ ურთიერთობებში. ამდენად, ცალკეულ პიროვნებებს, თუ ისინი შესაფერისი ტალანტით არიან დაჯილდოებული, ხელსაყრელ გარემო პირობებში ხელეწიფებათ მნიშვნელოვანი კვალი დატოვონ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში. თუმცა, ლიტერატურულ ურთიერთობათა მძლავრი მარეგულირებელი ფაქტორი, პირველ რიგში, საზოგადოებაა. საზოგადოება — როგორც ერთიანი მთელი, რომელსაც ისტორიულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ისტორიულად განმტკიცებული და შესისხლხორცებული ლიტერატურული გემოვნება, კულტურული დონე, იდეურ-მხატვრული და ესთეტიკური ინტერესები გააჩნია. სწორედ საზოგადოებას ენიჭება განმსაზღვრელი მნიშვნელობა ლიტერატურულ ურთიერთობათა ევოლუციის პროცესში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 20-30-იანი წლები გარდატეხის პერიოდია საბჭოთა ხალხის ისტორიაში როგორც სოციალური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური, ასევე კულტურული ცხოვრების სფეროში. ხალხის კულტურული დონის ამღლეობამ, ინფორმაციის არხებისა და საშუალებათა გაზრდამ, ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ, ლიტერატურისა და ხელოვნების მთლიანად ხალხის სამსახურში ჩაყენებამ და სხვა ფაქტორებმა ინტერესი გააღვივეს მოძმე ხალხების სულიერი ფასეულობისადმი და ამ ფასეულობათა ინტენსიური გაცვლა-გაზიარების აუცილებლობის პრობლემა დააყენეს. 20-30-იანი წლებიდან ლიტერატურულ ურთიერთობათა აღმავლობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ მოიწეა რა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ჭრილობები, კულტურული პროგრესის გზას დაადგა. საბჭოთა ოჯახში გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთა ცხოვრებას საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი დაედო, დაახლოების მიზნით ერთმეორის სულიერი სიმდიდრის ათვისებას დაეწაფნენ. ასე რომ, ლიტერატურულ ურთიერთობათა გაფართოება მთელი საბჭოთა ხალხის შინაგანი მოთხოვნილებით იქნა განპირობებული.

ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევისას საგანგებო ყურად-

ლებან უნდა მიექცეს პიროვნების როლის სწორად და მართებულად წარმოჩენას. ხალხის მასები და პიროვნება ნებისმიერი ისტორიული პროცესის, მათ შორის ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის, განუყოფელი და აუცილებელი კომპონენტია. ამ ურთიერთობებს ხალხის მასებიდან გამოსული ცალკეული პიროვნებები წარმართავენ, რომლებიც გამოხატავენ მასების განწყობილებას, იდეალებს და ეხმარებიან ხალხს. ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის შექმნისას საგანგებოდ უნდა იქნას შესწავლილი ცალკეულ შემოქმედთა პირადი კონტაქტები, რომლებიც თავისი ინდივიდუალობის კვალს ამჩნევენ ამ ურთიერთობათა ევოლუციის პროცესს, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ და რიგ შემთხვევაში თვითონ განაპირობებენ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა მიმართულებას.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში მეტნაკლებად ინტენსიური პერიოდები განირჩევა. საბჭოთა ლიტერატურების შემოქმედებით კონტაქტებში პირველი დიდი აღმავლობით გამოჩენილი ეტაპი 20-30-იანი წლებია. ამ პერიოდში თვალნათლივ გამოჩნდა, რა უზარმაზარი ლიტერატურული, თუ საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება შეუძლიათ ცალკეულ პიროვნებებს. ფრიალ მნიშვნელოვანია მათი საქმიანობა და მოღვაწეობა მოძმე ლიტერატურების ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების საქმეში. ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნებიან ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და კიდევ მრავალი სხვა. ტიციანის ოჯახი ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთგვარი ბირთვი იყო, რომელიც წვრილი თუ მსხვილი არტერიებით უკავშირდებოდა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს წამყვან შემოქმედებით ცენტრებსა თუ კულტურისა და ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლებს. ამ ოჯახში გაჩაღებული აქტიური ლიტერატურული საქმიანობა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ყველა უმნიშვნელოვანეს ასპექტს მოიცავდა. ტიციან ტაბიძის ოჯახმა და მისმა მეგობრებმა ბევრად განაპირობეს ამ პერიოდის ლიტერატურულ ურთიერთობათა ხასიათი.

ცალკეულ პიროვნებათა როლს ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროში კარგად წარმოაჩენს XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს სალიტერატურო ცხოვრებაც. ამ პერიოდში ლიტერატურული ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებულად წარმართული, მხოლოდ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ვერახერხებდა ფართო ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობის გაშლას. ამდენად, ლიტერატურული ურთიერთობანი ძირითადად ცალკეული პიროვნებების პირადი ინიციატივით, მათი ლიტერატურულ-

ესთეტიკური გემოვნების საფუძველზე ხორციელდებოდა. ამ ეტაპზე აღნიშნულ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლიტერატურულ სალონებს, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ და თავიანთ შემოქმედებას აცნობდნენ არა მარტო ქართველი, არამედ საქართველოში სტუმრად ჩამოსული თუ დროებით მცხოვრები რუსი და ევროპელი მოღვაწეები. ამ სალონებში ხდებოდა რუსული, ევროპული და ქართული ლიტერატურის მიღწევათა გაცნობა და მათი გავრცელება. ქართულ ლიტერატურას ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა ორბელიანისა და სხვათა ლიტერატურულმა სალონებმა.

ასე რომ, ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორიაში ზოგადი კანონზომიერების წარმოჩენა და სრულყოფილი თეორიის შემუშავება ისტორიული მატერიალიზმის უზოგადესი კატეგორიების — ბაზისისა და ზედნაშენის, თავისუფლებისა და აუცილებლობის, პიროვნებისა და საზოგადოების როლის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.

ლიტერატურულ ურთიერთობათა წარსული, აწმყო, მომავალი...

სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ესოდენ ინტენსიურ და მრავალფეროვან კონტაქტებს, როგორსაც ჩვენს სინამდვილეში ვხვდებით, არც ერთ ისტორიულ ეტაპზე არ ჰქონია ადგილი. ლიტერატურული ურთიერთობანი თანამედროვეობის უდიდესს ამოცანას — საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას უწყობს ხელს. მისი მიზანია ერთა დაახლოება. ამ ურთიერთობების გაზრდასა და გაფართოებასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება ეთმობა მათ მეცნიერულ შესწავლას დღიდან მათი წარმოშობისა ჩვენს თანამედროვეობამდე. იმდენად, რამდენადაც ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ ურთიერთობათა დასაწყისს, მკვლევარს საშუალება ეძლევა თვალი მიაღედენოს და გააანალიზოს მისი განვითარება ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამასთანავე, ლიტერატურული კონტაქტების მდიდარი პრაქტიკა ფართო განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

ცხადია, ყოველ ეროვნულ ლიტერატურას სპეციფიკურთან ერთად ზოგადი ნიშნებიც გააჩნია, პირველი — ერის დამოუკიდებელ სახეს წარმოაჩენს და ამით ამდიდრებს მსოფლიო ლიტერატურას, ხოლო მეორე — მსოფლიო ლიტერატურის ერთგვარ შინაგან ბირთვს ქმნის. ამიტომ კონკრეტული ეროვნული ლიტერატურის შესწავლა სხვა ლიტერატურებთან მიმართების გარეშე შეუძლებელია. სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურები კონტაქტების საშუალებით ერთმანეთს უზიარებს თავიანთ გამოცდილებას, რომელსაც თითოეული მათგანი თავისი ტრადიციების შესაბამისად გადაამუშავებს, ამდიდრებს იდეური, თემატური და მხატვრული თვალსაზრისით. გარდა ამისა, ერთი ქვეყნის ლიტერატურამ მეორე ქვეყნის ლიტერატურა შეიძლება სხვა, უფრო ახალი კუთხით დაინახოს და თავისებურად, ორიგინალურად აღიქვას. ამდენად, ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა მეტად აქტუალურია, რამეთუ იგი როგორც ცალკეული ეროვნული ლიტერატურების, ასევე ერთიანი მსოფლიო ლიტერატურული პროცესის სიღრმისეულად შესწავლას ემსახურება.

ერთი ქვეყნის პირველი ლიტერატურული დაინტერესება მეორე ქვეყნით, ლიტერატურულ ურთიერთობათა ნებისმიერი ფორმით გაშუქდებულის, ამ ორ ქვეყანას შორის ლიტერატურულ ურთიერთობათა საწყისად უნდა მივიჩნიოთ. ლიტერატურული კონტაქტების პირვე-

ლი; თუნდაც უმნიშვნელო ფაქტიც კი გარკვეული წინაპირობის არსებობას გულისხმობს. უმეტეს შემთხვევაში წანამძღვრებად კონკრეტულ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები და ტერიტორიული სიახლოვე გვევლინება. როდესაც ეს ფაქტორები დომინირებს, ორ ქვეყნის ლიტერატურული ურთიერთობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს და თავიდანვე შეტ-ნაკლებად სისტემატურ ხასიათს ატარებს. ეს წანამძღვრები ლიტერატურულ ურთიერთობათა სწრაფ გაფართოებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონკრეტულ ქვეყნებს შორის ლიტერატურულ ურთიერთობათა დასაწყისი შესაძლოა არც ერთი შემოთდასახლებული ფაქტორიდან არ გამომდინარეობდეს და სულ სხვა მიზეზებით იყოს განპირობებული. ლიტერატურულ ურთიერთობათა ზოგიერთი ფაქტი ვერავითარი კანონზომიერებითა და ობიექტური წანამძღვრებით ვერ აიხსნება. მაგალითად, ჯერ კიდევ უცნობ ქვეყანაში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც ახალი სამყარო, ახალი ხალხი, მისი ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, კულტურა, ბუნება აღწერილი მოგზაურის მშობელ ხალხს წარმოდგენას უქმნის მისთვის ჯერ კიდევ უცნობ ქვეყანაზე და ამასთანავე, გარკვეულ ინტერესს აღუძრავს. პირადი შთაბეჭდილებები, თუნდაც მცირე ინფორმაცია სხვადასხვა ხასიათის პატარ-პატარა ცნობები, მართალა, სუბიექტურია (რომანტიზებული, ჰიპერბოლიზებული, გაიდვალებული, სკეპტიკურად დანახული და ა. შ.); მაგრამ რეალურ მარცვალს თითქმის ყოველთვის შეიცავს და შეიძლება ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომი გაგრძელების იმპულსად იქცეს.

ასევე შესაძლებელია ისტორიული ბედუქუდმართობის, ან სხვა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის გამო ერთი ეროვნების წარმომადგენელს ცხოვრება მოუხდეს არა მარტო მისთვის, არამედ მისი ხალხისთვისაც უცნობ ქვეყანაში, შეისწავლოს მისი ენა, კულტურა და ამ ორი ხალხის ლიტერატურა გააცნოს ერთმანეთს.

ზიარია შემთხვევები, როდესაც ერთი ქვეყნის ლიტერატურა მეორე ქვეყანაში არაპირდაპირი გზით — სხვა ქვეყნის ლიტერატურის მეშვეობით შედის. ამ დროს დიდი ხვედრითი წონა თარგმანებსა და ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის ნაშრომებზე მოდის.

ლიტერატურული ურთიერთობის ისეთი დასაწყისი, რომელიც შემთხვევითობის ხასიათს ატარებს, ყოველთვის ვერ იქნება იმის საწინდარი, რომ ეს ურთიერთობები შემდგომში სისტემატური, კანონზომიერი გახდება, თუმცა არც ესაა გამორიცხული, მით უფრო, თუ დროაღდრო ხელისშემწყობი ფაქტორებიც დაემატება.

წარსულში ლიტერატურულ ურთიერთობათა შემფერხებელ გარე-

შოებას მიმოსვლის სირთულე და ინფორმაციის ნაკლებობაც წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, ეს ურთიერთობები მაინც ყალიბდებოდა და შეძლებისდაგვარად ღრმავდებოდა.

ისტორიული და პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობა, ტექნიკური აღმავლობა და ახალ-ახალი მიღწევები ამ დარგში ლიტერატურულ ურთიერთობათა შემდგომი გაფართოების, ხალხთა ურთიერთდინტერესების, სულიერ ღირებულებათა მასშტაბური გაცვლის საწინდარი გახდა. ბუნებრივია, ეს ყოველივე ხანგრძლივი დროის მანძილზე ხორციელდებოდა, რის შესაბამისად ლიტერატურული კონტაქტები იზრდებოდა და მისი ფორმები მრავალფეროვანი ხდებოდა. ასე თანდათანობით ვითარდებოდა და იხვეწებოდა ლიტერატურული ურთიერთობანი სხვადასხვა ქვეყანას შორის. ასე მოაღწია მან დღევანდლამდე. თანამედროვე ეპოქა კი ელვისებური ტრანსპორტის, მასობრივი კომუნიკაციებისა, და ტექნიკური საშუალებების გაუმდუმებული სრულყოფით ხასიათდება. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის სოციალურ-ეკონომიკურმა შედეგმა თანამედროვე ადამიანის კულტურული დონე გაცილებით ამაღლეს, მისი თვალსაწიერი გააფართოეს და გაზრდილი ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობა მისცეს. დღევანდელი კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი აქამდე არნახული ტემპით, ინტენსივობითა და სიღრმით გამოირჩევა.

თანამედროვე ეტაპზე სსრკ ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობებისა და ერთიანი საბჭოთა ლიტერატურის სახით, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თვისობრივად ახალ მოვლენასთან გვაქვს საქმე. გარდა იმისა, რომ საბჭოთა ხალხები, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კულტურულ და ლიტერატურულ გამოცდილებასა და შემოქმედებით მიღწევებს, რითაც საბოლოო ჯამში ამდიდრებენ როგორც ერთიან საბჭოთა ლიტერატურას, ასევე კონკრეტულ ეროვნულ ლიტერატურებს, მკიდრო კავშირს ამყარებენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, გააქვთ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები ამ ქვეყნებში და ასევე აქტიურად ეცნობიან მათ კულტურულ-ლიტერატურულ გამოცდილებას. დღითიდღე იზრდება კაპიტალისტური სამყაროს ინტერესი სოციალისტური ქვეყნების კულტურისა და ლიტერატურისადმი. თავის მხრივ სოციალისტური ქვეყნებიც ინტერესით ეკიდებიან მათი ლიტერატურის პროგრესული ნაწილის გაცნობასა და ათვისებას. გაფართოვდა კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები განვითარებად ქვეყნებთან. ამდენად, მთელი მსოფლიო აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კულტურულ ფასეულობათა გაფაციცებულ გაცვლა-გამოცვლაში. ამ საყოველთაო ლიტერატურულ წრებრუნვაში, ცხადია, ყველა ქვეყნის წვლილი ერთნაირი არაა, მაგრამ ფაქტია, რომ თითოეული მათგანი ლიტერატურული

კონტაქტების დინამიური პროცესის ერთიან ჯაჭვშია ჩაბმული. ვინაიდან ეს ურთიერთობები სწრაფი ტემპით ვითარდება, სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ინტენსიური ხდება, ბუნებრივია, ლიტერატურების ურთიერთგამდიდრების, ურთიერთზეგავლენისა და ურთიერთდაახლოების პროცესიც ჩქარდება. ამასთან დაკავშირებით ერთი ფრიად საგულისხმო პრობლემა წამოიჭრება — საითკენ მივყავართ ამ პროცესს? ხომ არ გამოიწვევს ეს ეროვნული ხასიათისა და ფორმის კედომას, ლიტერატურების ეროვნულ ნიშანთა წაშლას მომავალში?

ლიტერატურათა ურთიერთდაახლოების პროცესი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული დაახლოების პროცესია. გაძლიერებული კონტაქტების პირობებში ლიტერატურათა უსასრულო დაახლოება ხდება, მაგრამ ეს არ გულისხმობს ტოლობის ნიშნის დასმას ყველა ან ცალკეულ ლიტერატურებს შორის არც უახლოეს და არც შორეულ მომავალში. სანამ ერი არსებობს, იარსებებს მისი ლიტერატურაც.

ეროვნული ფორმა და შინაარსი ლიტერატურაში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე ყალიბდება. მასზე ერის ისტორიული ცხოვრება, ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები მოქმედებს. ეროვნული ნიშნები უცვლელ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ გაყინულ ფენომენად არ გვევლინება. როგორც ბუნებაში არსებული ყველა მოვლენა, ისიც იცვლება, იხვეწება, გარდაიქმნება და დიალექტიკურად ვითარდება. ამავე დროს სხვადასხვა ლიტერატურაში მსგავსი, მონათესავე ან იდენტური ნიშნები რჩება.

სამართლიანად მიუთითებს გიორგი ლომიძე, რომ „ნაციონალური ფორმა ბუნებაში დისტილირებული სახით არ არსებობს. ლიტერატურის ეროვნული ფორმა სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს ამა თუ იმ ნაციონალური ფორმის ნიშანდობლივი თავისებურებები უკვე აღარსად მეორდება. ყოველ ეროვნულ ფორმაში არის, აგრეთვე, საყოველთაოც, ინტერნაციონალურიც. ამ საყოველთაოს გარეშე ერთი ეროვნების წარმომადგენლისათვის გაუგებარი იქნებოდა მეორე ეროვნების კულტურა და პირიქით, მის გარეშე გაქრებოდა მხატვრული ტიპობის გრძნობაც“ [(22), 78].

ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრება, ურთიერთზემოქმედება და ურთიერთდაახლოება არავითარ შემთხვევაში ეროვნული ნიშნების კედომის წინამორბედად არ გვევლინება. ყოველ ეროვნულ ლიტერატურას თავისი წვლილი შეაქვს ერთიანი მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ასეთნაირად წარმოგვიდგება ლიტერატურულ ურთიერთობათა წარსული, აწმყო და მომავალი.

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ნაირსახეობების კლასიფიკაციის საკითხისათვის

1. ლიტერატურული ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ნაირსახეობანი მკვლევარებს მათი კლასიფიკაციის აუცილებლობის წინაშე აყენებს. კორექტული კლასიფიკაცია, რომელშიც დაცული იქნება ადეკვატურობისა და გამიჯნულობის პირობა, გაადვილებს ლიტერატურათმცოდნის პროცესების შესწავლა-გააზრებას. ბუნებრივია, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ნაირსახეობების სისტემატიზაცია თუ კლასიფიკაცია არაერთ მეცნიერს მოუხდენია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვ. ჟირმუნსკის შრომები, მ. ალექსეევის, პ. ბერკოვის, დ. მარკოვის, მ. ხრაპჩენკოს და სხვათა გამოკვლევები. საგულისხმო და ანგარიშგასაწევია ასევე სლოვაკი მეცნიერის დიონიზ დიურიშინის კლასიფიკაცია [(54)].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ირინა ნეუპოკოვეას მოსაზრება, რომელიც მან 1960 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამართულ დისკუსიაზე ჩამოაყალიბა [(64)].

ი. ნეუპოკოვეას ეკუთვნის თვალსაზრისი ლიტერატურული ურთიერთობების ორ ტიპად დაყოფის შესახებ. მას მიაჩნია, რომ სხვადასხვა ერებსა და ეროვნებებს შორის არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურულ ურთიერთობებში ორი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს: კონტაქტური და ლიტერატურული პროცესების ისტორიულად განპირობებული მსგავსება.

ურთიერთობათა პირველ ტიპში ი. ნეუპოკოვეა დამოუკიდებელი მნიშვნელობისა და განსაკუთრებული აქტუალობის მქონე რამდენიმე საკითხს გამოყოფს: 1. ისტორიული ბედით ახლოს მყოფი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობები (მაგალითად, სლავური, სკანდინავური, ლათინური ამერიკის ქვეყნების და სხვ.), 2. ლიტერატურული ურთიერთობები იმ ხალხებს შორის, რომლებიც მსგავს ისტორიულ პირობებში ვითარდებიან (მაგალითად, სსრკ ხალხთა ლიტერატურები, სოციალისტური ბანაკის ლიტერატურები), 3. ლიტერატურული ურთიერთობები მსგავს, ან ერთი და იგივე სალიტერატურო ენის მქონე ხალხებს შორის (მაგალითად, ინგლისური და ამერიკული, ინგლისური და ავსტრალიური, ავსტრიული და გერმანული ლიტერატურების ურთიერთობა, აგრეთვე შვეიცარული ლიტერატურის გერმანულ და ფრანგულ შტოთა ურთიერთობა გერმანიისა და საფრანგეთის ლიტერატურ-

რებთან, ფრანგულ ენაზე შექმნილი ბელგიური ლიტერატურის ურთიერთობა ფრანგულ ლიტერატურასთან) და სხვ., 4. სხვადასხვა ისტორიულ პირობებში სხვადასხვა ეროვნულ და მხატვრულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ურთიერთობები, რომელნიც ახლოს დგანან თავიანთი იდეურ-ესთეტიკური მიმართულებით (მაგალითად, საბჭოთა და კაპიტალისტური ქვეყნების სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურათა ურთიერთობა), 5. ლიტერატურულ ურთიერთობათა როლი ახალგაზრდა ლიტერატურების ფორმირებისა და განვითარების საქმეში (მაგალითად, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა ლიტერატურები).

ვფიქრობთ, რომ ი. ნეუპოკოევის მიერ გამოყოფილ საკითხებს უნდა დაემატოს კიდევ ერთი, კერძოდ, ერთმორწმუნე და რელიგიურად განსხვავებული ქვეყნების ლიტერატურული ურთიერთობები. ამ საკითხის აქტუალობა განსაკუთრებით იჩენს თავს წინა საუკუნეების ლიტერატურული პროცესების შესწავლისას (მაგალითად, ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი...).

ლიტერატურულ ურთიერთობათა მეორე ტიპის (ლიტერატურული პროცესების ისტორიულად განპირობებული მსგავსება) შესახებ ი. ნეუპოკოევა წერს, რომ მსგავსი მოვლენები სხვადასხვა ხალხების ლიტერატურაში წარმოიშობა არა კონტაქტების შედეგად (თუმცა ამ კონტაქტებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ), არამედ როგორც მსგავს ისტორიულ საფუძველზე, დამოუკიდებელი განვითარების შედეგი. სხვადასხვა ლიტერატურებში მსგავსი ისტორიული პირობებით გამოწვეული მსგავსი პროცესების შესწავლისას უნდა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: სხვადასხვა ლიტერატურებში მსგავსი პროცესები ზოგჯერ სინქრონულია, ზოგჯერ კი ქვეყნების არათანაბარი ისტორიული განვითარების გამო საუკუნეებითაც კი შორდებიან ერთმანეთს (მაგალითად, ევროპულთან შედარებით რეალისტური რომანის მოგვიანებით განვითარება ინდოეთისა და შორეული აღმოსავლეთის ლიტერატურებში). ერთი და იმავე ტიპის მოვლენათა წარმოშობა სხვადასხვა დროს საზოგადოების არათანაბარი ისტორიული განვითარებითაა გამოწვეული. ამასთანავე, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიულ-ლიტერატურული განვითარების მსგავსი პროცესები არასოდეს იგივეობრივი არ არის. ყველა ლიტერატურას შეაქვს რაღაც ახალი და ორიგინალური ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესში. ისტორიულ-ლიტერატურული განვითარების საერთო კანონზომიერებები მოცემული ლიტერატურების ეროვნული ფორმით ვლინდება. ასე ასაბუთებს ი. ნეუპოკოევა ლიტერატურულ ურთიერთობებში ზემოაღნიშნული ორი ტიპის არსებობას და თან დასძენს: «Разработка на конкретном историко-литературном материале этих проблем важна не только для полн-

მანია многих сложных процессов современной мировой литературы, но и для теории вопроса о литературных связях и взаимодействии» [(64), 16—17].


ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ნაირსახეობების კლასიფიკაციას ჩვენ საფუძვლად ვუდებთ ი. ნეუპოკოვეას მიერ გამოყოფილ ორ ტიპს, იმ განსხვავებით, რომ გავაფართოვებთ მეორე ტიპის ჩარჩოებს. იგი ამ ტიპში ლიტერატურათა შინაგან კავშირებს გულისხმობს, რომლებიც ლიტერატურული პროცესების მსგავსება-განსხვავებათა მთელ კომპლექსს მოიცავს. ამის მიუხედავად, მკვლევარი მხოლოდ მსგავსებაზე ამახვილებს ყურადღებას. განსხვავებები კი, რომლებიც ლიტერატურათშორისი პროცესების მნიშვნელოვანი ასპექტია, კვლევის მიღმა რჩება. სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა პროცესებს შორის არსებული შინაგანი მსგავსება-განსხვავებანი ტიპოლოგიის სფეროს მიეკუთვნება. იმისათვის, რომ სრულყოფილად მოვიცვათ ლიტერატურული პროცესების ეს სფერო და ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს ლიტერატურების ურთიერთმიმართებათა მთელი სისტემა, უმჯობესია მას ტიპოლოგიური ვუწოდოთ.

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა კონტაქტური ტიპიდან, ვფიქრობთ, რომ სამი ქვეტიპი შეიძლება გამოიყოს — ა) მხატვრულ-ლიტერატურული, ბ) ლიტერატურათმცოდნეობითი და გ) სამეცნიერო-შემოქმედებითი.

თავის მხრივ მეორე ტიპიდანაც ორ ქვეტიპს გამოვყოფთ — ა) ერთი და იგივე ლიტერატურულ მიმდინარეობათა ტიპოლოგია და ბ) სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ტიპოლოგია.

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ნაირსახეობების ეს კლასიფიკაცია შემდეგნაირი სქემით შეიძლება გამოიხატოს:

ლიტერატურული ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი



2. ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ბიზანი

ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა წარმოშობას, ხარისხსა და ინტენსივობას ძირითადად ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს. ამ პირობებიდან ერთ-ერთი მაინც ყოველთვის აუცილებელია დროის გარკვეულ მონაკვეთში პერმანენტული ლიტერატურული ურთიერთობების არსებობისათვის. თუ ეს პირობები გამოირიცხა (ე. ი. თუ არ არსებობს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა და ტერიტორიულადაც მოწყვეტილები არიან ერთმანეთს), ლიტერატურული კონტაქტები არასისტემატური ხასიათისაა. ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ინტენსივობას ასევე მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის კულტურული განვითარების დონე. ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებები შეიძლება ატარებდეს როგორც კანონზომიერ, ასევე სტიქიურ ხასიათს. მათი მკვეთრი გამოჩენა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული — ისინი ეპოქის შესაბამისად მონაცვლეობს. კანონზომიერი ურთიერთობანი შესაძლოა გადაიზარდოს სტიქიურში და პირიქით — სტიქიური ურთიერთობანი გარკვეულ ეტაპზე შეიძლება გახდეს კანონზომიერი. ორივე მათგანში არის აუცილებლობისა და შემთხვევითობის მომენტები.

კანონზომიერი ლიტერატურული ურთიერთობანი და ურთიერთმიმართებანი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაკავშირებულ ან ისეთ ქვეყნებს შორის შეიძლება დამყარდეს, რომლებიც იდენტურ ან მსგავს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ვითარდება.

გეოგრაფიული ფაქტორი ერთგვარი კატალიზატორის როლს თამაშობს. სხვადასხვა შემთხვევაში ამ ფაქტორთაგან მხოლოდ ერთი, ორი ან სამივე ერთად ფიგურირებს კანონზომიერი ლიტერატურული ურთიერთობებისა და ურთიერთმიმართებების არსებობისათვის.

ლიტერატურული კონტაქტებისათვის პოლიტიკური ერთობა ან კეთილგანწყობილი პოლიტიკა აუცილებელი არ არის. ქართველები საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ დამპყრობელ აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რაც ჩვენს ეროვნულ კულტურაში უცხოურ ელემენტთა შემოჭრის გარკვეულ საფუძველს წარმოადგენდა. ამასთანავე, დამპყრობელი და დაპყრობილი ქვეყნების ლიტერატურული ურთიერთობანი გარკვეულ შემთხვევებში ორმხრივ ხასიათს ატარებს. ამის საუკეთესო მაგალითია სპარსული და ქართული ლიტერატურების ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთზემოქმედების პროცესში შექმნილი ქართული ეპოსის მნიშვნელოვანი ძეგლები (საგმირო, რომანტიკული, დიდაქტიკური, საზღაპრო ეპოსის ნიმუშები). არაერთი ქარ-

თველი ფლობდა სპარსულ ენას, სპარსულად ქმნიდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ღირსეული ადგილი ეკავა სპარსული ლიტერატურის ისტორიაში (სოპრა-ბეგი, ქაიხოსრო ხანი, ნეინალ-ბეგი და სხვ.).

ლიტერატურულ კონტაქტებს გარდა წმინდა ლიტერატურული და საზოგადოებრივი დანიშნულებისა, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია ეროვნული ენის გამდიდრებისათვის. მკიდრო ლიტერატურული ურთიერთობების პირობებში ადგილი აქვს სიტყვათა სესხებას, რაც, საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით, ენის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მისი ლექსიკური მარაგის გაზრდის აქტიური საშუალებაა. აქ ერთგვარი ციკლური პროცესი შეინიშნება — ლიტერატურულ ურთიერთობათა საშუალებით მდიდრდება ენა, გამდიდრებული ენა კი მეტ შესაძლებლობას ქმნის როგორც ორიგინალური ლიტერატურის, ასევე ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესო და მრავალფეროვან მასალას იძლევა ქართული ენა, სადაც ნასესხები სიტყვების გამიჯვნა იმის გამო, რომ ის შესისხლბორცებული და შეგუებულია ქართულ ენობრივ სამყაროსთან, ზოგჯერ ძალიან რთულდება. ქართულ-საზღვარგარეთულ ენობრივ ურთიერთობათა მკვლევარები წარმოაჩენენ და სწავლობენ ქართულ ენაში ირანულ, არაბულ და სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვათა ფონდს [(1)...]. ენობრივი ნასესხობა, რომელიც ლიტერატურული ურთიერთობებით, წიგნური გზით დამკვიდრდა, ძირითადად კონტაქტური ტიპის ურთიერთობის პროდუქტია.

ერთ საინტერესო ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. თუ დაპყრობილი ქვეყნის კულტურული დონე უსწრებს დამპყრობელი ქვეყნის კულტურის განვითარებას, ამ უკანასკნელის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფიზიკური ძლიერების მიუხედავად, იგი მაინც ექცევა დაპყრობილი ქვეყნის კულტურის გავლენის ქვეშ. ამის მაგალითად გამოდგება ირანისა და არაბეთის ურთიერთობა. დაუსრულებელი ომებისაგან პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაძაბუნებული ირანი ხელთ იგდო არაბეთმა, რომელსაც ბრძოლებში უკვე მრავალი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. „არაბებმა მალე განიცადეს ირანული კულტურის გავლენა. სასანელოთა ეპოქის დიდი კულტურული შემოქმედება მათთვის გახდა ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი. იწყება საშუალო სპარსულზე შექმნილი ლიტერატურული ძეგლების თარგმნა არაბულად“ [(17), 50]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბასიანთა სახალიფოში (750-1258) შეინიშნება ირანის კულტურული ტრადიციების გაძლიერება და საერთოდ მათი კულტურა ძველი ირანული კულტურის მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამდენად, არაბეთის მიერ დაპყრობილი ირანი ერთგვარად თავად განაპირობებდა არაბული

კულტურის განვითარებას გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. ცნობილია, ასევე დავით აღმაშენებლის ღვაწლი საქართველოში მოწინავე არაბული კულტურის ელემენტთა შენარჩუნებისათვის.

ასე რომ, ლიტერატურათა ისტორია იცნობს სხვა ეროვნულ კულტურაში რაციონალური მარცვლის მოძებნისა და მისი ათვისების ტრადიციას. როგორც ლენინი მიუთითებს, „არის ორი ნაციონალური კულტურა თვითოეულ ნაციონალურ კულტურაში“ [(20),21] და მათში პროგრესულის დანახვა და გადმოღება, ცხადია, ამდიდრებს ნებისმიერ ეროვნულ კულტურას. რაც უფრო მაღალია ერის კულტურული დონე, მით უფრო ფართო ლიტერატურულ კონტაქტებს ამყარებს იგი სხვა ქვეყნებთან.

ქართველი მოღვაწენი არასდროს გაურბოდნენ სხვა ლიტერატურათა ნიმუშების გადმოღებას. ისინი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ და ითვისებდნენ ყოველივე რაციონალურს როგორც კეთილგანწყობილი, ასევე დამპყრობელი ქვეყნებისაგან, შემოჰქონდათ არა მარტო ერთ-მორწმუნე, არამედ რელიგიურად განსხვავებული ხალხების სულიერი სიმდიდრე.

ქართულ კულტურაში უძველესი დროიდან ორი ნაკადის (აღმოსავლური და დასავლური) ისტორიულ თანაარსებობასთან გვაქვს საქმე. ეს არაერთი მიზეზითაა გამოწვეული. უპირველესად უნდა აღინიშნოს ქართველთა ინტერესი ყოველივე საუკეთესოს, პროგრესულის შეთვისებისადმი, ამასთანავე, არანაკლებ როლს თამაშობდა რომელთა, სპარსთა თუ არაბთა პოლიტიკური გავლენა, (რაც კულტურული ურთიერთობის გაფართოებას უწყობდა ხელს) და გეოგრაფიული არეალი — საქართველო თავისი ადგილ-მდებარეობის გამო კონტინენტის ევროპულ და აზიურ ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებდა, რაც ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას განაპირობებდა. ცნობილია, რომ ინდოეთიდან წამოდებული საქონელი საქართველოს გავლით შედიოდა დასავლეთში. დასავლეთში კი ცივილიზაციის მნიშვნელოვან კერას საბერძნეთი წარმოადგენდა. „ელინიზმმა თვალსაჩინო გავლენა მოახდინა საქართველოზეც. საქართველოს ალებ-მიცემა გარეშე ქვეყნებთან ახლა უფრო ცხოველი გახდა, ვაჭრობას თან სდევდა კულტურულ მონაპოვართა და გამოცდილების გაზიარება. უფრო, კიდრე ეს მანამდე იყო, გავრცელდა ჩვენში ბერძნული ენა და ბერძნული მწერლობა“ [(45),52]. ქართულ-ბერძნულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ურთიერთობანი კიდევ უფრო გაძლიერდა და ინტენსიური გახდა ბიზანტიურ პერიოდში. ათონის სალიტერატურო სკოლამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მათი განმტკიცების საქმეში, რამეთუ იქ ორი-

გინალურ მოღვაწეობასთან ერთად ორმხრივ მთარგმნელობით საქმიანობას ჰქონდა ადგილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ კონტაქტებს თანაბრად განაპირობებდა ჩვენს მიერ დასახელებული სამივე ფაქტორი და სწორედ მათმა ერთიანობამ ოდითგანვე განსაზღვრა ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული კონტაქტების ინტენსივობა და დაამკვიდრა მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ცივილიზებულ მსოფლიოსთან.

სტიქიურ ლიტერატურულ ურთიერთობებად ჩვენ მიგვაჩნია ის ტემპორალური კონტაქტები, რომლებიც შესაძლებელია დამყარდეს პოლიტიკურ-ეკონომიკურად სუსტად დაკავშირებულ ან ამ თვალსაზრისით საერთოდ გათიშულ, ტერიტორიულად ახლო მდებარე, თუ დაშორებულ ქვეყნებს შორის. სტიქიური ლიტერატურული ურთიერთობებიც შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ აუცილებლობით ან რაიმე შემთხვევითობით.

ისტორიულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ქართველები და რუსები ისტორიულ ასპარეზზე ჯერ კიდევ კიევის რუსეთის ეპოქაში შეხვდნენ ერთმანეთს. იმის გამო, რომ ისინი პოლიტიკურ-ეკონომიკურად და გეოგრაფიულადაც დაშორებული იყვნენ, მათი ურთიერთობები თავიდან არასისტემატური იყო. დროთა განმავლობაში ქართულ-რუსულმა ურთიერთობებმა მრავალმხრივი ხასიათი მიიღო და გაფართოვდა, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაიზარდა, გაღრმავდა, დიალექტიკურად განვითარდა და ისტორიული აუცილებლობით გახდა ნაკარნახევი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ასევე სტიქიურიდან კანონზომიერში გადაიზარდა საქართველოს ურთიერთობანი მოძმე რესპუბლიკებთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მათგანთან ეს ურთიერთობები ძველთაგანვე ისტორიულად იყო განპირობებული და კანონზომიერ ხასიათს ატარებდა (სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვა). მოძმე ხალხთა ეროვნული ლიტერატურებით შეიქმნა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა, „მაგრამ საბჭოთა ლიტერატურა ეროვნული ლიტერატურების უბრალო ჯამი არ არის, იგი ერთიანი და მთლიანია თავისი იდეურ-მხატვრული პრინციპებით. იგი ერთი, ამასთან ყველაზე მოწინავე მხატვრული მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ეპოქისეული წარმონაქმნია. სწორედ ამითაა განპირობებული სოციალისტური ერების ლიტერატურათა შინაგანი სიახლოვე“ [(40), 133]. ერთიანმა პოლიტიკამ, ეკონომიკამ და იდეოლოგიამ გამოიწვია საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მხატვრულ ფასეულობათა ურთიერთგაზიარების აუცილებლობა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული, XVII საუკუნიდან მოკიდებული დასავლეთ ევროპის ქვეყნები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსადმი. XVIII საუკუნიდან ქართველებმაც შესამჩნევად აიღეს გეზი დასავლეთზე და ცდილობდნენ ჩვენში ევროპული კულტურის შემოტანას, მაგრამ ეს ურთიერთობები თავდაპირველად პერიოდულად ხორციელდებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში აღმოსავლური ლიტერატურის თარგმანები სჭარბობდა, რაც ისტორიულად განპირობებული ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო და უფრო გაძლიერდა ინტერესი დასავლეთ ევროპის კულტურისადმი. რუსეთთან შეერთების შემდეგ შეწყდა აღმოსავლეთის დამპყრობელი ქვეყნების გამუდმებული თარეში და დასრულდა მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენა საქართველოზე. ამან განაპირობა ლიტერატურულ ურთიერთობათა შესუსტებაც, თუმცა საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული ტრადიცია უკვალოდ არ დაკარგულა, იგი კვლავაც გრძელდება. ძველ პერიოდთან შედარებით ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობანი ნაკლებად ინტენსიურია, მაგრამ იმის გამო, რომ აღმოსავლური ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ სულიერ საგანძურს, დღესაც ითარგმნება მისი უძველესი თუ თანამედროვე ძეგლები, საქართველოში არსებობს ორიენტალისტთა ძლიერი სკოლა, რომელიც იკვლევს აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურების საკითხებსა და ქართულ ლიტერატურასთან მათი ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიას.

სადღეისოდ მასშტაბურ ხასიათს ატარებს ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი გაცილებით ინტენსიური გახდა. ეს მასშტაბურობა და ინტენსიურობა ჩვენმა სინამდვილემ განაპირობა. გარდა იმისა, რომ ქართულად ითარგმნება ევროპული ლიტერატურის ნიმუშები და პირიქით, ევროპულ ენებზე ქართული ლიტერატურა, გაღრმავდა ინტერესი ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების შესწავლისადმი.

გეოგრაფიული ფაქტორი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ლათინური ამერიკის, აფრიკის, აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა... მათი ლიტერატურებისადმი ინტერესის გაღვივება და თარგმნა მხოლოდ ჩვენს თანამედროვეობაში დაიწყო. ასევე დასაწყის სტადიაშია ამ ლიტერატურათა მეცნიერული კვლევა. ეს ურთიერთობები დღესდღეობით მხოლოდ სტიქიურ ხასიათს ატარებს.

სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე თუ მსგავს სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისზე

ერთი და იგივე ლიტერატურული მიმდინარეობის ჩასახვა, განვითარება და იდენტური თუ მსგავსი მოვლენების გაჩენა ამ მიმდინარეობების შიგნით. ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიებისათვის ქართულ ლიტერატურას საუკეთესო მასალის მოცემა შეუძლია. სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა შესწავლილ-დამუშავებული ქართული ლიტერატურის ტიპოლოგიური მიმართებანი სხვა ლიტერატურებთან, მაგრამ უსდა იოჰქვას, რომ ტიპოლოგიური კვლევა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს.

საინტერესოა ლ. ხიხაძის [(68)], მ. კვესელავას [(16)]. ი. კენჭოშვილის [(14)], ნ. ცხოვრებოვის [(71)] და სხვათა შრომები. თუმცა, ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ფართო დიაპაზონით კვლევის საშუალებას იძლევა XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურა. ფრიად საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა ამ პერიოდის, კერძოდ კი, ქართული სიმბოლიზმის ევროპულ და რუსულ სიმბოლიზმთან მიმართების პრობლემას ნ. ცხოვრებოვმა. მან წარმოაჩინა ქართული სიმბოლიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკური და სოციალური ფესვები, განიხილა ქართული სიმბოლიზმის გენეზისის პრობლემა და უჩვენა მისი მიმართება რუსულსა და ევროპულ სკოლებთან, შეისწავლა ქართული სიმბოლიზმის, კერძოდ კი, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების როგორც კონტაქტური, ასევე ტიპოლოგიური ურთიერთობები და მიმართებები რუსულსა და ევროპულ სიმბოლიზმთან. მკვლევარის მითითებით. «Только исходя из природы, признаков самого этого явления в Грузии, рассмотренного в сравнительном контексте одноименных литературных течений в Европе и России, можно до конца выявить природу грузинского символизма, положить конец субъективизму в его толковании [(71), 15].

ქართულ, რუსულ და დასავლეთევროპულ სიმბოლიზმს მრავალი საერთო ნიშანი აკავშირებს. უპირველეს ყოვლისა, ესაა რეალური სინამდვილისა და მისი შემეცნების უარყოფა, რეალისტური მეთოდის უარყოფა, ერთგვარი მისტიციზმი და ა. შ. ამასთან, ისინი გარკვეული ეროვნული, განმასხვავებელი ნიშნითაც არის აღბეჭდილი.

სხვადასხვა ლიტერატურების ტიპოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ ერთი და იგივე, ან მსგავსი სოციალური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური საფუძველი კანონზომიერად წარმოშობს ერთი და იგივე ლიტერატურულ მიმდინარეობებს სხვადასხვა ქვეყანაში, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირში, ან ტერიტორიულად ახლოს. ამ მიმდინარეობებს ეროვნული თავისებუ-

რეგებიდან გამომდინარე, ორიგინალური, განმასხვავებელი ნიშნების გარდა, მრავალი საერთო ნიშანიც ექნებათ.

ასე რომ, ერთი და იგივე ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობა სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად კანონზომიერ ხასიათს ატარებს. ხოლო რაც შეეხება ერთი და იგივე ქანრებს, თემატიკას, ხასიათებს, იდეებს და ა. შ. ისინი სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურებში სავსებით შესაძლებელია სტიქიურად, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშეც განვითარდნენ. აქედან გამომდინარე, ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ტიპოლოგიური ტიპის პირველი ქვეტიპი — ერთი და იგივე ლიტერატურულ მიმდინარეობათა ტიპოლოგია თავისი წარმოშობის თვალსაზრისით ძირითადად კანონზომიერებას ექვემდებარება, ხოლო მეორე ქვეტიპის — სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ტიპოლოგიის დაქვემდებარება ერთიანი კანონზომიერებისათვის უფრო რთულია.

ამგვარად, ლიტერატურულ ურთიერთობებსა და ურთიერთმიმართებებს ახასიათებს როგორც კანონზომიერი, ასევე სტიქიური განვითარება. კანონზომიერება და სტიქიურობა ზოგჯერ თანაარსებობს, ზოგჯერ კი მონაცვლეობს ეპოქის შესაბამისად.

II. ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა კვალიაპი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა კონტაქტური ტიპიდან სამი ქვეტიპი შეიძლება გამოიყოს. ეს ქვეტიპები ლიტერატურულ ურთიერთობათა ყველა ფორმას აერთიანებს.

„ლიტერატურულ ურთიერთობათა განხორციელება სხვადასხვა ფორმით ხდება. სამწუხაროდ, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფორმათა ნაირსახეობანი (ურთიერთობათა ფორმების სახეები) დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიზუსტით გამოყოფილი და კვალიფიცირებული...“ [(40), 95].

ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მათი სიმრავლე და მრავალგვარობა. ლიტერატურული ურთიერთობების ფორმები კულტურულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მოიცავს. უცხოეროვნული ლიტერატურა თუ უშუალოდ მხატვრული ლიტერატურის სფეროში შემოდის. უცხოეროვნულ მწერლობაზე გამოქვეყნებული გამოკვლევები მეცნიერების სფეროს განეკუთვნება, ხოლო უცხოეროვნული მწერლებისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოები, დისპუტები, თუ იუბილეები

ეროვნული კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტია. ურთიერთობის ფორმების ასეთი მრავალპლანიანობა მათ სისტემატიზაციას მოითხოვს. მათი კლასიფიკაციის საფუძვლად იმ სფეროებს ვიღებთ, რომლებსაც ეს ფორმები მოიცავს. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით დაიყო ისინი სამ ქვეტიპად.

პირველ ქვეტიპში გაერთიანდება თარგმანი, გადმოკეთება, სესხება, მიბადება, გავლენა, აღუზია, უცხოეროვნული თემატიკა, ანალოგია; სტილიზაცია და სხვ. ე. ი. ურთიერთობათა ის ფორმები, რომლებიც თავისი შინაარსით შემოქმედებით ხასიათს ატარებს და უშუალოდ მხატვრულ ლიტერატურაში ვლინდება. პირობითად ვუწოდოთ მათ ლიტერატურული ურთიერთობების ფორმათა მხატვრულ-ლიტერატურული ჯგუფი.

მეორე ქვეტიპში შეიძლება გაერთიანდეს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი ნარკვევები თუ კრიტიკული ნაშრომები, უცხოური კრიტიკული ლიტერატურის თარგმანები, მონოგრაფიები უცხოელ მწერლებზე... ფორმათა ეს ჯგუფი სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება. ვუწოდოთ მას ლიტერატურათმცოდნეობითი ჯგუფი.

მესამე ქვეტიპში გაერთიანებთ სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, სემინარებს, დისპუტებს, თათბირებს, პოლემიკებს, საიუბილეო-შემოქმედებით საღამოებს, მწერალთა პირად კონტაქტებს...


ამ ქვეტიპებში გაერთიანებულ ყველა ფორმას თავისი ისტორია აქვს. ისინი ყველა ერთნაირად მდგრადი არ არის. ეს ფორმები იცვლებიან დროის შესაბამისად. სადღეისოდ ზოგი მათგანი ტრადიციულია, ზოგიერთი მოძველებული, არაპროდუქტიული, ზოგიც თანამედროვე. ფაქტია, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვან გზაზე ეს ფორმები მრავალფეროვანი ხდებოდა, იცვლებოდა მათი ადგილი სალიტერატურო ცხოვრებაში, იცვლებოდა მათი როლი როგორც ცალკეული ეროვნული ლიტერატურის, ასევე ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებისათვის, იცვლებოდა ლიტერატურათა დამოკიდებულება მათ მიმართ. ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეს ფორმები, მათი არსი და მნიშვნელობა, ფუნქცია და მიზანდასახულობა დღითიდღე უფრო იხვეწებოდა და დიალექტიკურად ვითარდებოდა. ყოველივე ეს ნათლად დასტურდება ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საფუძველზე.

ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალფეროვანი ფორმებიდან ჩვენ მხოლოდ ძირითად ფორმებზე შეეჩერდებით და მოკლედ დავახასიათებთ მათ.

მხატვრულ-ლიტერატურული ჰეგემონია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ქვეტიპი მხატვრულ-შემოქმედებითი ხასიათის ფორმებს აერთიანებს და გამოირჩევა როგორც ფორმათა სიმრავლით, ასევე მათი პროდუქტიულობით. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია თარგმანი.

თარგმანი ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი, მდგრადი და დომინანტური ფორმაა. იგი ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და ყველა შემდგომი ეპოქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად რჩება. რაც უფრო მაღალია ცივილიზაციის დონე, მით უფრო იზრდება მოთხოვნილება ნათარგმნი ლიტერატურისადმი, რომელიც ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს სხვა ერების კულტურულ-ლიტერატურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობისა თუ სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების შესახებ. ნათარგმნი ლიტერატურა თავისი შინაარსით შეიძლება იყოს სამი სახის — მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური და პუბლიცისტური, ხოლო შესრულების ფორმის მიხედვით — ლაბორატორიული, ზეპირი და მანქანური. ამავე დროს უნდა გავარჩიოთ თარგმანის ტენდენციებიც — ისტორიულად ცნობილია, რომ დასაბამიდანვე თანაბრდებოდა ორიგინალიდან და არაორიგინალიდან თარგმნის ტენდენციები. მოგვიანებით მას დაემატა პწკარედული თარგმანი, რომელიც ტრადიციულად მხატვრული თარგმანის სფეროში გამოიყენება და, როგორც წესი, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. სადღეისოდ ორიგინალიდან თარგმნის ტენდენციამ შეავიწროვა არაორიგინალიდან შესრულებული და პწკარედული თარგმანები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითი საქმიანობის გარკვეული ხვედრითი წონა ამ ორ უკანასკნელზეც მოდის. მთარგმნელობითი ხელოვნება იცნობს თარგმნის ორ ძირითად პრინციპს — თავისუფალსა და სიტყვასიტყვითს, ხოლო თარგმანის ტიპებში კი განირჩევა პროზაული და პოეტური თარგმანი. თარგმანის სახეების, შესრულების ფორმების, ტენდენციების, პრინციპებისა და ტიპების თვალსაჩინოდ წარმოჩენისათვის მოგვაქვს შემდეგი სქემა:



ლიტერატურული ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე ძველსა და ინტენსიურ ფორმას მხატვრული თარგმანი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული თარგმანის პრობლემა — მისი ისტორია და თეორია ოდითგანვე მეცნიერთა თუ პრაქტიკოს მთარგმნელთა ყურადღების ცენტრში იდგა, ინტერესი ამ საკითხების შესწავლისადმი დღესაც არ განელებულა. მხატვრული თარგმანის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე საყურადღებო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული გაჩეჩილაძეს, კაშკინს, როსელს, სმირნოვს, ფეოდოროვს, ჩუკოვსკის, ხასხაჩის და სხვებს.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით ქართული ნათარგმნი ლიტერატურა წინ უსწრებდა ორიგინალურ მწერლობას. თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ქართული ორიგინალური მწერლობა და ნათარგმნი ლიტერატურა ორგანულად თანაარსებობს და ეროვნული ინტერესებისა და კულტურის წინსვლის სამსახურში დგას. აკი მიუთითებდა კიდევ კორნელი კეკელიძე „ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს იმიტომ, რომ მასში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობო და სასიცოცხლო საკითხებზე“ [(12), 185].

მხატვრული თარგმანი ეროვნული ლიტერატურის გამდიდრების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. ძალიან ხშირად სწორედ თარგმანის მეშვეობით შემოდის მწერლობაში ახალი მხატვრული ფორმები და

ტენდენციები, იდეები, ჟანრები, სახეები... ამავე დროს მხატვრული თარგმანის ისტორია ორიგინალური მწერლობის განვითარების შესასწავლადაც საინტერესო მასალას იძლევა, რადგან ნათარგმნი თხზულებები კარგად ასახავენ ამა თუ იმ ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკურ თუ იდეურ მოთხოვნილებებს.

სესხება ლიტერატურულ ურთიერთობათა ფრიად საინტერესო ფორმაა. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია იცნობს ისეთ კორიფეებს, რომელთა თხზულებებსა თუ ცალკეულ მხატვრულ სახეებს ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ეროვნების მწერლები და შემოქმედები. სესხების ძალიან გავრცელებული ფორმაა გახმაურებული ფოლკლორული ნაწარმოების, მითისა თუ ლეგენდის საფუძველზე ახალი ლიტერატურული ძეგლის შექმნა. ამ თვალსაზრისით მდიდარ მასალას იძლევა ბერძნული მითოლოგია და საერთოდ, ანტიკური მწერლობა. სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მწერლის შთაგონების წყაროდ იქცა მითი არგონავტების შესახებ, ლეგენდარული სიცილიელი მწყემსის დაფნისის სახე, ელექტრა თუ მშვენიერი ელენე. მარტო ელენეს თემაზე შეიქმნა არა მხოლოდ ბერძენ მწერალთა (სოფოკლე, ევრიპიდე) თხზულებები, არამედ იგი გახდა უცხოელ მწერალთა, მხატვართა და კომპოზიტორთა ნაწარმოებების თემად (გოეთე, რაფაელი, კლოდ ლორენი, სენ-სანსი, შტრაუსი, ოფენბახი).

ესპანური საგმირო ეპოსის „სიმღერა სიდზე“ ლიტერატურული გადამუშავების მაგალითია ფრანგი დრამატურგის პიერ კორნელის „სიდი“, რომლის შექმნისას მწერალმა ასევე ისარგებლა ესპანური ისტორიული წყაროებით, რომანებითა და გ. დე კასტროს პიესით. მიუხედავად იმისა, რომ კორნელი თითქმის მთლიანად ესპანური ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურის ძეგლებს ეყრდნობოდა, მისი „სიდი“ სამართლიანად ითვლება ფრანგული ორიგინალური მწერლობის შესანიშნავ ნიმუშად.

სესხება, როგორც ლიტერატურული ურთიერთობის ფორმა, ყველა ეპოქაში ერთნაირად პროდუქტიული არ არის. სესხებისადმი ინტერესი პერიოდულად იფეთქებს ხოლმე. სესხების ერთ-ერთ პიკად მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში უნდა მივიჩნიოთ რენესანსის ეპოქა, როდესაც არნახულად გაძლიერდა ანტიკური კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესება. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ანტიკური სიუჟეტებისა და სახეების სესხება და მათი მაღალმხატვრულად გადამუშავება.

სესხება შეიძლება მრავალსაფეხურიანი იყოს. ერთი ავტორის სიუჟეტი თუ თემა ზოგჯერ ქვეყნიდან ქვეყანაში და ეპოქიდან ეპოქაში გადადის. ასეთი ბედი ეწია ეზოპეს იგავებს, რომლებსაც სხვადასხვა

ქვეყნისა და სხვადასხვა დროის ლიტერატურამ მიმართა. მის სიუჟეტებს სესხულობდნენ ლაფონტენი, ფერდა, ლესინგი, კრილოვი, სულხან-საბა ორბელიანი, აკაკი წერეთელი.

მიბაძვა ლიტერატურულ ურთიერთობათა ის ფორმაა, რომელიც ხშირად მკვლევართა თუ ლიტერატურისმოყვარულთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ხშირ შემთხვევაში მწერლისათვის არაპრესტიჟულად ითვლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიბაძვისადმი ასეთი დამოკიდებულება ცალმხრივია და უსათუოდ გადასინჯვას მოითხოვს, მიბაძვის ობიექტად ჩვეულებრივ იქცევა ხოლმე მსოფლიო ლიტერატურის კორიფეთა შემოქმედება ან მათი რომელიმე შედეგრი, ის მწერლები და ნაწარმოებები, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნის მსოფლიო ლიტერატურულ საუნჯეს. ჯერ კიდევ პუშკინი წერდა: «Талант неволен, и его подражания не есть постыдное похищение — признак умственной скудности, но благородная надежда на собственные силы, надежда открыть новые миры, стремясь по следам гения, — или чувство в смирении своем еще более возвышенное желание изучить свой образец и дать ему вторичную жизнь» [(67), 150].

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მიბაძვა ტრადიციულად დიდ როლს თამაშობს მრავალი მწერლის, როგორც შემოქმედისა და მხატვრული სიტყვის ოსტატის ჩამოყალიბებაში. ამდენად, მიბაძვა ლიტერატურული მოწაფეობის ფორმაც არის, რომელიც, რასაკვირველია, ამის პარალელურად ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმად მოგვევლინება იმ შემთხვევაში, თუ მიბაძვის ობიექტი უცხოეროვნული მწერალია.

მიბაძვა ლიტერატურული ურთიერთობებისა, თუ ზოგადად ლიტერატურული მოღვაწეობის არაპრესტიჟულ ფორმად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ფორმალურ მიბაძვასთან, როცა მიბაძვის ავტორს ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული მიბაძვის ობიექტის ფორმისა და შინაარსის ის ჰარმონია, რაც მას დიდ ლიტერატურულ ღირებულებას ანიჭებს და მისი მხოლოდ გარეგნული მხარე გადმოაქვს. ამ შემთხვევაში მიმბაძველები მხატვრულ ინდივიდუალობას მოკლებული მწერლები არიან, რომელთაც საკუთარი უნიჭობის დასაფარად გენიოსების მიერ გაკვალული გზებით სიარული აურჩევიათ.

ლიტერატურათმცოდნეთა ამოცანაა, მიბაძვის ეს უკანასკნელი სახე მკვეთრად გამიჯნონ მიბაძვის იმ სახეებისაგან, რომლებზედაც ზემოთ-გვეყენა საუბარი.

მიბაძვას სხვადასხვა მიზანი და დანიშნულება ჰქონდეს. ცნობილია, რომ ზოგჯერ მიბაძვა თარგმანთან ერთად პროგრესული

იდეების ქადაგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა მკაცრი ცენზურის პირობებში.

ქართული ლიტერატურისათვის მიბაძვა, როგორც ლიტერატურული ურთიერთობის ფორმა, უცხო არ არის. იგი საქართველოში, ალბათ, ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო აღორძინებისა და რომანტიზმის ეპოქებში. სადღესოდ კი ლიტერატურულ ურთიერთობათა ეს ფორმა ნაკლებ პროდუქტიულია.

გავლენა ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც მკვლევართა განსაკუთრებით ფაქიზ და დაკვირვებულ მიდგომას მოითხოვს. გავლენა, ისევე როგორც მიბაძვა, მხოლოდ ცალმხრივად და უარყოფითად არ უნდა იქნას გაგებული. გავლენასა და მიბაძვას შორის ლიტერატურულ ურთიერთობათა თუ მათი კვლევის გარკვეულ დონეზე ტოლობის ნიშანიც შეიძლება დაისვას, თუმცა გიორგი ლომიძის მითითებით, «Воздействие одного писателя на других не сводится только к подражательности. Крупный художник, синтезирующий в своем творчестве художественные завоевания времени, чаще выступает в роли возбудителя творческой энергии» [(62), 103].

გავლენა, როგორც ლიტერატურული ურთიერთობის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს როგორც ლიტერატურული კონტაქტების, ასევე ეროვნული ლიტერატურის განვითარებას, შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს გამოვლენილი. ძირითადად ეს არის უცხოეროვნული ნაწარმოებიდან გამომდინარე ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად: «...влияние пушкиново поэта на других поэтов заметно не в том, что его поэзия отражается в них, а, в том, что она возбуждает в них собственные их силы» [(47), 562].

იგივე მოსაზრებას ავითარებს რუმინელი ლიტერატურათმცოდნე ალექსანდრე დიმა: «Подлинное назначение влияния — быть стимулом творчества» [(53), 142].

როდესაც შემოქმედებით ბიძგზე ელაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს ის მომენტიც, რომ იგი შეიძლება იყოს აშკარა და ფარული. იმპულსის შედეგად უცხოეროვნული ნაწარმოებისაგან შეიძლება რადიკალურად განსხვავებული ნაწარმოები შეიქმნას და თუ ავტორისავე მითითება, რაიმე ცნობა, ან მოგონება არ შემორჩება, ნებისმიერი მკვლევარისა თუ მკითხველისათვის ყოველთვის უცნობი იქნება ეს ფაქტი.

გავლენა არ ნიშნავს იმას, რომ მის შედეგად აუცილებლად უფრო ნაკლები დონის ნაწარმოები უნდა შეიქმნას. შესაძლოა მოხდეს პირიქითაც. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, რომ გი დე მოპასანის ნოველა „კარები“ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის „ლილ“

შექმნის შემოქმედებით იმპულსად ქცეულიყო. თუმცა ამის შესახებ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს (გიორგი ჭიბლაძე, აკაკი ბაქრაძე და სხვ).

გამსახურდიასა და მოპასანის ამ ორი ნოველის მიმართების საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. თუ დავუშვებთ, რომ შემოქმედებითი ბიძგი მართლაც არსებობდა, მაშინ ჩვენ ხელთ გვაქვს ნიმუში იმისა, რომ ლიტერატურული გავლენის შედეგად შეიქმნა უფრო მრავალპლანიანი და ფართო პრობლემატიკის მქონე თხზულება.

ზოგ შემთხვევაში ორ მხატვრულ ნაწარმოებს შორის მრავალი მსგავსი თუ იდენტური ნიშანი შეიძლება არსებობდეს, რის გამოც მოსალოდნელია გაჩნდეს ვარაუდი ლიტერატურული გავლენის შესახებ. თუ არ მტკიცდება, რომ ერთ-ერთი ავტორი, რომელსაც გავლენას მიაწერენ, ნამდვილად იცნობდა მეორის შემოქმედებას, მაშინ, ბუნებრივია, ყოველგვარ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია, და ეს ფაქტი ტიპოლოგიის კრილში უნდა იქნას განხილული.

გავლენა, ვ. ჟირმუნსკის განმარტებით «не есть случайный, механический толчок извне... Всякое идеологическое (в том числе литературное) влияние закономерно и социально обусловлено. Эта обусловленность определяется внутренней закономерностью предшествующего национального развития, общественного и литературного. Для того чтобы влияние стало возможным, должна существовать потребность в таком идеологическом импорте, необходимо существование аналогичных тенденций развития более или менее оформленных в данном обществе и в данной литературе» [(55), 59].

ალუზია ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი პროდუქტიული და ტრადიციული ფორმაა. იმის მიუხედავად, რომ ლიტერატურულ პრაქტიკაში იგი ძალიან ხშირად გვხვდება, ურთიერთობათა სხვა ფორმებთან შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ალუზია სტილისტიკური ფიგურაა, რომლის დროსაც მწერალი გადაკვრით, ან პირდაპირ მოიხსენიებს, ანდა მიმართავს სხვა მწერლის ნაწარმოების პერსონაჟს, იდეას, მოტივს, მხატვრულ სახესა და ა. შ. ალუზია, როგორც ლიტერატურული ურთიერთობის ფორმა ამა თუ იმ მწერლის მიერ მხოლოდ უცხოეროვნული ნაწარმოებისა თუ მწერლისადმი მიმართვის გულისხმობს. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ალუზია შეიძლება მოცემული იყოს სათაურშივე, ეპიგრაფში; ალუზიის დროს კარგად წარმონდობა ავტორის მიმართება უცხოეროვნული მწერლის შემოქმედებასთან. ამ ფორმის საშუალებით მწერალი ან თავის სიმბათიასა და დადებით პოზიციას გამოხატავს სხვა ლიტერატურის ძეგლის იდეურ-ესთეტიკური სამყაროს მიმართ, ან კიდევ უარყოფით დამოკი-

დებულებას ამჟღავნებს და ამ შემთხვევაში უცხოეროვნული პერსონაჟისა თუ ნაწარმოების რომელიმე ასპექტის მოხმობა ხშირად პაროდულ ხასიათს ატარებს. ასე რომ, განსხვავებულია ალუზიის არა მარტო ფორმები, არამედ მისი ფუნქციონალური მნიშვნელობაც.

ალუზიის დროს დიდ როლს თამაშობს მწერლისეული ასოციაციები. ამა თუ იმ ცხოვრებისეულმა მოვლენამ, სიტუაციამ, განწყობილებამ მწერალს ასოციაციურად შეიძლება სხვა თანამოკალმის მხატვრული სამყარო გაახსენოს და ყოველივე ამან ასახვა პოეზოს ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებში. ასეთი ასოციაციური ალუზია ბევრი მწერლის შემოქმედებაში გვხვდება. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, რომელსაც მეტად რთული და მრავალფეროვანი ასოციაციური წარმოსახვები ახასიათებს. ისინი მეტწილად რომელიმე ლიტერატურული ფაქტიდან თუ თხზულებიდან მომდინარეობს, მისი ემოციურ-მხატვრული კავშირები შორს სცილდება ერთი ფაქტისა თუ სურათის ვიწრო ჩარჩოებს, ასახავს მწერლის დამოკიდებულებას მოვლენასთან და მკითხველშიც თავისებურ სულიერ მღელვარებას იწვევს. 1925 წელს გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

„თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.
გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება ხელნაწერი...
ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში...
თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი...“ [(33), 290].

ამ შემთხვევაში დიდი ინგლისელი მწერლის მხატვრული ატმოსფეროს გახსენებით გალაკტიონი თავის სულიერ განწყობილებას გადმოსცემს და დიკენსის მიერ შექმნილ სურათებს მოგვაგონებს:

ინგლისური ზამთრის სუსხიანი ღამე... თავის ბედზე მწარედ ჩაფიქრებული ჯონ პირიბინგი ბუხარს მისჯდომია. ბუხრიდან, გამოდის ფერია კრიკინობელა. იგი მოაგონებს ჯონს წარსულ ბედნიერ დღეებს და ცდილობს გაუქარწყლოს მას ნაღველი.

მისის კოპერფილდი, „ავადმყოფი და სევდიანი, ბუხართან იჯდა და თვალცრემლიანი ცეცხლს შეჰყურებდა. იგი ფიქრობდა განსვენებულ ქმარზე, თავის მარტოობაზე და იმ ახალ, უსახლკარო, ქვეყნისთვის ჯერ კიდევ უცნობ მგზავრზე, რომლისთვისაც უკრაში კიდევ ელაგა ათას-გვარი ქინძისთავეები“.

„სმაიკი და ნიუმენ ნოგსი, რომელსაც გულმა ველარ გაუძლო და დათქმულ დროზე გაცილებით უფრო ადრე დაბრუნდა შინ, ბუხარს

მისხდომოდნენ და ნიკოლასის მოლოდინში გატაცებულთ აყურადებდნენ კიბეზე ფეხის ხმას“.

ბუხარი დიკენსის თხრობის დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენს. მისი გმირები სშირად უხმოდ უზიარებენ თავის გულის ნადებს გაღვივებულ ნაკვერჩხლებს, იხსენებენ წარსულს, ფიქრობენ მომავალზე... ამ მომენტს ჩანს ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია გალაკტიონ ტაბიძეზე. 1927 წელს შექმნილ ლექსში იგი კვლავ დიკენსს უბრუნდება:

„ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.
ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.
დიკენსის გმირებით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ლაშა, საცაა სანთელი ჩამიქრება.
ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები,
საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება.
და ბინა პოეტის გადიქა ქვეთინად,
უეცრად გრიგალმა დააღო კარები,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ,
მე თვალთ ვეძებდი ზამბახის პრინციას,
მწყუროდა ცისფერი ვარდები“ [(33), 350].

აქ პოეტი რთულ ემოციურ კავშირებს აღძრავს.

დიკენსის შემოქმედებაში ბუხარის სიმბოლიკა თუ ზოგჯერ გმირთა სევდიანი განწყობილების გამომხატველია, სხვა შემთხვევებში იგი პირიქით, უზრუნველი საზოგადოების მხიარული დროსტარების ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს:

„უორღ, — მიმართა მასპინძელს მისტერ პიკვიკმა, როდესაც ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ — ერთი ეგ თასი მომართვით ღვინით, გეთაყვა, არ შეიძლება ასეთი ბედნიერი შემთხვევის გამო თითო ჭიქა არ შევსვათ...“

მეინორის ფერმაში საუკეთესო სასტუმრო დარბაზი მოგრძო, შავი პანელით იყო გაწყობილი, ერთ-ერთ კედელში პირი დაეღო უზარმაზარ ბუხარს, რომლის მილში თავისუფლად ჩავიდოდა მთელი ეტლი თავის ბორბლებიანად და აკაზმულობით, ოთახის ზედა თავში ფანჩატური მოეწყოთ, წიწვოვანი ფოთლებისა და ფითრის ტოტებით დაჩრდილული. მის ქვეშ მყუდროდ მოეკალათა მთელს მაგლტონში სახელგანთქმულ ორ საუკეთესო მუსიკოსს. ერთი ვიოლინოზე უკრავდა. მეორე ქნარზე. ნიშებში კონსოლებზე ძველი ვერცხლის დატოტვილი შანდლები იდგა, მოსარკული იატაკიდან ხალიჩა აედოთ. სანთლები ციმციმებდნენ, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და ტკაცუნობდა. მთელს დარბაზს მხიარული ხმები, ლაღი და უდარდელი სიცილ-კისკისი ავსებდა, ერთი სიტყვით, ინგლისელი ომენი ფერიად რომ გადაქცეულიყო, დროს გასატარებლად და მოსალხენად სწორედ ამ დარბაზს ამირჩევდა“.

ეს არის ნაწყვეტი „პიკეიკის კლუბის ჩანაწერების“ მზიარული საშობაო თავიდან, რომელიც აგვიწერს ბედნიერ ქორწილსა და სხვა საახალწლო გასართობებს...

ბუხრიდან გამოსული სიტბო მთელ დარბაზს მოედო და გაახალისა იქ მყოფნი. იყო მუსიკა, ცეკვა, ღვინის სმა, ნათელი ოცნება და სიყვარული. ლექსში „ისევ ოცნება და სიყვარული“ გალაკტიონ ტაბიძე კვლავ დიკენსისეულ მხატვრულ სამყაროს უბრუნდება და ასე გადმოსცემს თავის განწყობილებას:

„(დაღალულს ვხედავ იმ ამაყ ირემს,
მიუვარდა, როგორც დიკენსის გმირებს,
ცეცხლთან ღვინის სმა და გაფიქრება,
რომ გულში ცეცხლი არ გაგიქრება.
მრავალი ფიქრი მას შემდეგ ახდა,
ვნების ისრებმა დაცხროლეს გული,
ისევ მაისი მშვენიერ ბაღთა
იყავ ოცნება და სიყვარული“ [(33), 333].

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ დიკენსი, მის მიერ აღწერილი სურათები და მისი გმირები არაერთხელ იქცნენ პოეტური ალუზიის წყაროდ. რუსულ პოეზიაში დიკენსს (მის რომანს „პიკეიკის კლუბის ჩანაწერები“) პირველად 1853 წელს გ. დანილევსკიმ მიმართა. შემდგომ ამისა, შეიქმნა ა. ორლოვის, პ. ჟადოვსკის, ს. ესენინის, ვ. როფდესტვენსკის, ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკის, მ. გალპერინის და სხვათა პოეტური მიძღვნები.

გახმაურებული ლიტერატურული ძეგლები ყოველთვის როგორც ფართო მკითხველთა, ასევე მწერალთა დიდ ინტერესს იწვევს. აბატ პრევოს „მანონ ლესკოს“ ხშირად მიმართავენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“ ალუზიის შესანიშნავი ნიმუშია. ფრიად საინტერესო მასალას გვაწვდის ამ ლექსის შემოქმედებით ისტორიაზე შალვა რადიანი — „ოცდაათიან წლებში ქეთევან ირემაძე თარგმნიდა აბატ პრევოს სახელგანთქმულ „მანონ ლესკოს“. მსგავსად ზოგიერთი ფრანგული და რუსული გამოცემებისა, მთარგმნელმა სთხოვა გალაკტიონს, დაეწერა ლექსი მანონ ლესკოს თემაზე. მცირედი ფიქრის შემდეგ პოეტი დაეთანხმა ამ თხოვნას, ოღონდ ქეთევან ირემაძეს დაავალა, შეეგროვებინა მანონ ლესკოსადმი მიძღვნილი ლექსები. ქეთევან ირემაძემ შეაგროვა უმთავრესად ფრანგულ და რუსულ ენაზე არსებული ლექსები: მიუსესის, ვერლენის, ლეკონტ დე-ლილის, ბლოკის, კუზნინის და სხვათა; აგრეთვე ობერის, მასნეს და პუჩინის მიერ ამავე თემაზე დაწერილი ოპერების მუსიკა და ლიბრეტო; იმ ფრანგი მომღერალი ქალების პორტრეტები, რომლებიც ასრულებდნენ მანონ

ლესკოს როლს. გალაკტიონი კმაყოფილი დარჩა. რამდენიმე კვირის შემდეგ მან წაგვიკითხა ბრწყინვალე ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“ [(29), 38].

უცხოეროვნული თემატიკა. ლიტერატურულ ურთიერთობებში ჩაბმული ქვეყნების ლიტერატურულ ძეგლებში ხშირად გვხვდება ერთმანეთის ცხოვრების, ყოფის, ისტორიის ამსახველი ე. წ. უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები. ლიტერატურულ ურთიერთობათა სრულყოფილად წარმოჩენისათვის დიდ ინტერესს იწვევს მწერლების ის ნაწარმოებები, რომლებშიც რეალისტურად და სრულყოფილადაა წარმოჩენილი სხვა ხალხთა ცხოვრება.

კონკრეტულ ეროვნულ ლიტერატურაში უცხოეროვნული თემატიკის გაჩენა მიუთითებს იმაზე, რომ ამა თუ იმ ხალხს განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდა სხვა ქვეყნის კულტურის, ლიტერატურის, ისტორიისა თუ ყოფა-ცხოვრებისადმი. უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებში იგრძნობა სურვილი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, უკეთ ჩასწვდნენ ერთმანეთის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ ხასიათსა და ტრადიციებს. მართალია, ჩვენს ეპოქაში ყველა მოძმე ერის შესახებ ზღვა ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ექვგარეშეა, რომ ამ შემთხვევაში მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მხატვრულ სამოსელში გახვევა, მწერლის ფანტაზია ხალხის ცხოვრების ფაქტებსა და მოვლენებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს, რაც შემეცნებითი და ესთეტიკური ფენომენის ორგანული შერწყმითაა განპირობებული.

ქართულ ლიტერატურას თავისი ინტერნაციონალისტური ბუნებიდან გამომდინარე უცხოეროვნული თემატიკის უმდიდრესი და უძველესი ტრადიცია გააჩნია. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ორიგინალურ ძეგლში იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ უკვე ვხვდებით უცხოეროვნულ პერსონაჟს. თხზულების მთავარი მოქმედი გმირი და ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, ქრისტიანული რელიგიისათვის თავდადებული დედოფალი შუშანიკი სომხეთის ცნობილი მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასულია. თხზულება დედოფლისადმი სიყვარულითა და მოწიწებით არის განმსჭვალული. მასში ნათლად წარმოჩნდება როგორც ავტორის კეთილგანწყობა, ასევე ხალხის თანაგრძნობა და მოკრძალება მისდამი. მრავალტანჯულ დედოფალს, რომელიც ვარსკენს საპყრობილოში ჩასასმელად მიჰყავს, ხალხი ტირილით მიაცილებს. მის ნახვასა თუ გამხნევებას ვარსკენისაგან მალულად ციხეშიც ახერხებენ, რათა ერთხელ კიდევ გამოხატონ თავიანთი პატივისცემა დედოფლისადმი. თხზულების ავტორიც შუშანი-

კის თანამოაზრეა და დაუფარავად გამოხატავს თავის სიმპათიას. ასე რომ, ქართული მწერლობის ერთ-ერთი პირველი და უძველესი ჟანრი — აგიოგრაფია უკვე იცნობს და ამუშავებს უცხოეროვნულ თემატიკას. „შუშანიკის წამების“ გვერდით ასევე შეგვიძლია დავასახელოთ იოვანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“, სტეფანე მტბევიარის „გობრონის წამება“, უცნობი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამება“ და სხვა თხზულებები, რომლებშიც უცხოეროვნული პერსონაჟები, თუ უცხოეროვნული სამყაროს განსხვავებული ასპექტებია წარმოჩენილი.

უცხოეროვნული თემატიკის ტრადიციები კიდევ უფრო განავრცო და განავითარა საერო მწერლობამ. მაგალითისათვის „ვეფხისტყაოსანიც“ იკმარებს, სადაც მოქმედება სხვადასხვა ეროვნულ ნიადაგზე ვითარდება.

უცხოეროვნული თემატიკის განვითარება დიდად არის დამოკიდებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე. მხედველობაში გვაქვს ინფორმაციის არხებისა და საშუალებების გაფართოება, მიმოსვლის გამარტივება და დაჩქარება და ა. შ. ეს კი უფრო მეტ ინტერესსაც აღძრავს და ამ ინტერესის დამკაყოფილების საშუალებასაც იძლევა, რაც ხშირ შემთხვევაში ლიტერატურის სფეროში, უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებში რეალიზდება. თანამედროვე ეტაპზე ინონაციონალურ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთა წრე ფრიად გაფართოებულია. ბუნებრივია, ადვილი არ არის ისეთი ნაწარმოების შექმნა, სადაც სხვა ერის ცხოვრება, მისი ჭირ-ვარამი დამაჯერებლად და გულში ჩამწვდომად იქნება აღწერილი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა იმ ხალხის ისტორიის, ყოფის, ხასიათის სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნა, რომლის შესახებაც ვწერთ. იმ თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინება, რაც სხვა ხალხებისაგან განასხვავებს მათ, და შემდეგ ამ თავისებურებების სწორი, რეალისტური და მხატვრულად დამაჯერებელი ასახვა ლიტერატურულ ნაწარმოებში. უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოების ანალიზისას ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. დავუშვათ, თუ ვიკვლევთ ქართულ ლიტერატურაში რუსულ თემატიკას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი ნაწარმოები შინაარსით „რუსულია“, ხოლო ფორმით „ქართული“. ე. ი. მოხმობილი ფაქტობრივი მასალა ეხება და ასახავს რუსეთს. ამასთან იგი ხორცშესხმულია ქართველი მწერლის მიერ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე დაყრდნობით. ესაა უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებების ძირითადი სპეციფიკა. მათში ორი სხვადასხვა ეროვნული ნაკადის თანაარსებობასთან გვაქვს საქმე და ნაწარმოების წარმატება, მისი მხატვრული ღირებულება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ თანაარსებობს

ბობს ეს ორი ნაკადი, მათი ორგანული შერწყმა, ბუნებრივია, მაღალ-მხატვრული ნაწარმოების შექმნის საწინდარია.

ეროვნულ ლიტერატურაში უცხოეროვნული თემატიკის გაჩენა შემთხვევითი მოვლენა არ არის. მწერალი, რომელიც უცხოეროვნულ თემატიკას აშუშავებს, ჩვეულებრივ, ღრმად და საფუძვლიანად იცნობს ახალ ეროვნულ სამყაროს, რის შედეგადაც თავის თხზულებაში კმნის რეალურ, ნამდვილ უცხოეროვნულ გარემოს და არა მხოლოდ თავისი ფანტაზიით შექმნილ სამყაროს, რომელსაც პირობითად „უკრაინას“, „ბელორუსიას“ და ა. შ. უწოდებს. თუმცა, ლიტერატურის ისტორიისათვის უცხო არ არის ისეთი ფაქტები და მოვლენები, როდესაც ინონაციონალური თემატიკის შემცველი ნაწარმოებების შექმნას მწერლის მიერ მხატვრულად ასახული სამყაროს სიღრმისეული ცოდნა არ განაპირობებს. ასეთი ნაწარმოებები, როგორც წესი, ლიტერატურის ფაქტი ვერ გახდება და თავის მხატვრულ თუ საზოგადოებრივ მისიას ვერ შეასრულებს. ისინი, ჩვეულებრივ, არც იდეურ-მხატვრული დონით გამოირჩევა. ინონაციონალურ თემატიკაზე შექმნილი დახვეწილი ნაწარმოებების ავტორები მომეგ ხალხთა ცხოვრებისა თუ სულის უღრმეს შრეებში ყურადღებით ეძებენ და შემდეგ მხატვრულად ასახავენ მათ ეროვნულ, პოლიტიკურ და ზნეობრივ სახეს, რაც მწერლის მშობელ ხალხს საშუალებას აძლევს მის შემოქმედებით ქურაში გადადნობილი მაღალმხატვრული და მართალი ნაწარმოები მიიღოს მომეგ ხალხის ცხოვრების შესახებ.

უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს, მით უფრო თუ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, თან მოჰყვება ლიტერატურის გაზიარება ახალი თემატიკით, მწერლობაში შემოდის ახალი მხატვრული საშუალებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ახალი სამყაროს დამაჩერებელი მხატვრული ასახვა.

თემატიკური ურთიერთგამდიდრების დროს ხდება ერთი კულტურის მხატვრული სახეების ტრანსფორმაცია მეორე კულტურის ეროვნული თავისებურებების შესაბამისად. თემატიკის გაცვლისას მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს გეოგრაფიული, ისტორიული და ყოფითი რეალიბი, აგრეთვე, მხატვრული სახეები, რომლებიც ლიტერატურაში სხვადასხვა ციტატების, ალუზიების და ა. შ. სახით შედის.

ლიტერატურის თემატიკური ურთიერთგამდიდრება და თემატიკის გაცვლა მხატვრულ ასახვას პოულობს სხვადასხვა ენარის ფარგლებში, ხოლო მწერლის მიერ უცხოეროვნული თემატიკის დამუშავება დიდად არის დამოკიდებული მის პირად გამოცდილებაზე.

თუ გადავხედავთ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, სადაც გამოყვანილი არიან უცხოეროვნული პერსონაჟები, აღწერილია უცხო-

როვნული ყოფა, ნათელი გახდება, რომ ქართველი მწერლები უცხო-
 როვნული თემატიკის დამუშავებისას საუკეთესო ტრადიციებს ამკვი-
 დრებენ — ისინი თითქმის ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებიან
 და ფაქიზად ძერწავენ უცხოეროვნულ გმირებს და ცდილობენ ისინი
 თავისი ხალხის საუკეთესო ნიშან-თვისებების მატარებლად წარმო-
 ჩინონ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საერთოდ ლიტერატურული
 ურთიერთობების, კონკრეტულად კი, უცხოეროვნული თემატიკის მხატ-
 ვრულ-შემეცნებით ფუნქციას და მის როლსა და მნიშვნელობას ხალხ-
 თა ურთიერთდაახლოების საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზო-
 გიერთი მწერალი არღვევს ლიტერატურული ეთიკის ნორმებს და სხვა
 ქვეყნის შვილების შეურაცხმყოფელ-უარყოფით სახეებსაც ხატავს.
 მაგალითად, დროთა განმავლობაში როგორც ქართულ, ასევე ბელო-
 რუსულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიცია ცხადყოფს, რომ
 ქართულმა მწერლობამ შემოიტანა რა ბელორუსული თემატიკა, რეა-
 ლისტურად ასახა ბელორუსული ყოფა, ბელორუსი ხალხის ხასია-
 თი და სულიერი სიმდიდრე. იგივე ითქმის ბელორუსულ ლი-
 ტერატურაზე, რომელიც წლების მანძილზე ასევე რეალისტური
 პოზიციიდან უდგებოდა ქართული ეროვნული ხასიათის ასახვას
 და გადმოსცემდა ქართველი ხალხის სულის სიმაღლესა და სიმ-
 ტიციეს. 1981 წელს გამოქვეყნებული მოთხრობით „ზაფხულის
 გაყვითლებული ფოთლები“, რომლის ავტორია ვ. კარამაზოვი,
 ბელორუსულ ლიტერატურაში შემოდის უარყოფითი ქართველი
 პერსონაჟი. მოთხრობა ეხება ცხოვრებაში ადამიანის ადგილის, ფუნ-
 კციისა და მორალის საკითხებს. მისი მთავარი მოქმედი გმირია ლიო-
 ლია, ორმოც წელს გადაბიჯებული ქალი, რომელმაც ცხოვრებაში
 ყველა სურვილი აისრულა და, რაც მისთვის მთავარი იყო, ჰყავს კე-
 თილი, წყნარი ქმარი, რომელმაც მატერიალური კეთილდღეობა შეუქ-
 მნა. ბოლოს იგი მიხვდა, რომ თავისი სულისათვის არაფერი გაუქე-
 თებია, სული გაუღარიბდა. მისთვის ელვარება დაკარგა ბროლმა და
 ოქრომ, აგარაკმა და მანქანამ: „... ყველაფერი მაქვს, სიხარული არა.
 ბინა, ავეჯი, ნოხები, ბროლი, აგარაკი ჩემთვის რაღაცნაირად ცივია,
 მკვდარი. ბავშვები? ქალიშვილმა უკვე არაერთხელ თქვა, რომ ჩვენ,
 მე და მამამისი, მოვბეზრდით და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა
 აღარ დავჭირდებით და მიგვატოვებს თავის ჩამორჩენილ წინაპრებს.
 ვაჟიც უცხოსავეითაა. ახლანდელი ბავშვები უხეშები არიან... რა მიხა-
 როდეს? იქნებ ქმარი?“ [(10)], ირონიულად კითხულობს იგი და განა-
 გრძობს, რომ ქმარი არ უყვარს და არც არასოდეს ჰყვარებია.

ყოველდღიურობისაგან გაბეზრებული ლიოლია ცდილობს კოსტიასთან შეხვედრებით დაიმშვიდოს სული, მაგრამ ეს იშვიათი შეხვედრები ბევრს ვერაფერს აძლევს „რადაცის“ შეცვლას მოწადინებულ ქალს, მით უფრო, რომ კოსტია მასთან არასოდეს არ ეძლევა თავდავიწყებას, არასოდეს ივიწყებს და ლიოლიასაც ხშირად ახსენებს, რომ ორივეს ოჯახები აქვთ.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ლიოლია კოსტიას საშუალებით გაიცნობს ამ უკანასკნელის სტუდენტობისდრინდელ მეგობარს, ქართველ ექიმ — გოჩას, რომელმაც კოსტიასთან ერთად დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და მინსკშია ჩასული ტრავმატოლოგთა სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მოთხრობის დასაწყისში ველით, რომ ამ მონაცემებიდან გამომდინარე, გოჩას სახით გავიცნობთ სერიოზულ ადამიანსა და სპეციალისტს, მაგრამ მოლოდინი სწრაფად ცრუვდება — ჩვენს წინაშე წარმოდგება ქარაფშუტა. არასერიოზული, პრიმიტიულად მოზროვნე ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომლის უამრავი გრამატიკული შეცდომით აღსავსე ფრაზები მუდამ მსუბუქი იუმორის სამოსშია გახვეული.

ლიოლია გოჩას გულისთვის მიატოვებს ქმარს და თბილისში მოდის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც გოჩაში იპოვის იმას, რაც „სულისათვის უნდოდა“, მინსკში ბრუნდება და მარტო ცხოვრობს ქმრისა და შვილებისაგან უარყოფილი.

მოთხრობაში გოჩას სახე სქემატურადაა დახატული. არადამაჯერებელია მისი საქციელი, მხატვრული სიმართლე აკლია. თვით მის მეტყველებასაც. ზოგჯერ გოჩა დახვეწილი ენით, უშეცდომოდ ლაპარაკობს, ზოგჯერ კი იმდენ უხეშ შეცდომას უშვებს, რომ ყოველად უვიცისა და გაუნათლებლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მხატვრული დამაჯერებლობა აკლია იმ ეპიზოდს, როცა გოჩა შედის სასამართლოში და მხიარულად ებაასება ქალებს, რომლებიც რიგში ჩამდგარან, რომ განქორწინებაზე შეიტანონ განცხადება. გოჩა ხუმრობს, ენაწყლიანობს. მოულოდნელად „რიგიდან, როგორც ჯარისკაცმა, გოჩასაკენ ნაბიჯი გადადგა ქალმა. მან ჯანმრთელი მუშაკაცის ხელები დაიწყო უზარმაზარ მუცელზე და თქვა:

„თქვენ აქ რა გინდათ? კამაროვკის ბაზარი აღარ გყოფნით?“
[(10)]

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ უსამართლო და, ამავე დროს, შეურაცხმყოფელ შენიშვნაზე გოჩას არ ეპასუხა, ან თუ არ უპასუხებდა, გულში მაინც არ გაევლო წყენა და არ გაეკიცხა ქალი, რომელმაც მისი ერის ღირსება შეურაცხყო და კვლავ მხიარულ ტალღაზე განეგრძო კოსტიასთან ბაასი.

სქემატურადაა დახატული გოჩასა და ლიოლიას ურთიერთობა, არ ჩანს მათი კონფლიქტის მიზეზი, მხატვრულად დაუსრულებელია გოჩას სახე, მისი ხასიათი.

ყველაზე მეტი მხატვრული დამაჯერებლობით ხასიათდება ლიოლიას სახე. ეს არის ქალი, რომელსაც არა აქვს საყვარელი საქმე, არა ჰყავს საყვარელი ადამიანი, არა აქვს ადგილი, სადაც ბედნიერად იგრძნობს თავს.

ლიოლია ცარიელი, პასიური ადამიანია. მისი სურვილი — რაიმეთი შეივსოს ცხოვრება და ცარიელი სული, ქალის ჩვეულებრივ ჰირვეულობას უფრო ჰგავს, ვიდრე სასიცოცხლო აუცილებლობას.

ასეთნაირადაა წარმოდგენილი ვ. კარამაზოვის მოთხრობაში ქართული თემა. სამწუხაროდ, სწორედ ქართული თემის შემომტანი პერსონაჟის, გოჩას სახეა ნაწარმოებში მხატვრულად დაუსრულებელი და სქემატური, სწორედ მისი საქციელია დაუსაბუთებელი.

ასეთი გახლავთ სალიტერატურო ეთიკის ნორმების დარღვევის ერთი მაგალითი.

ამგვარად, ჩვენ შევეხეთ მხატვრულ-ლიტერატურული ჯგუფის ძირითად ფორმებს და წარმოვაჩინეთ მათი მნიშვნელობა და ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულება.

ლიტერატურათმცოდნეობითი ჰეზიტიზმი

უცხოეროვნული ლიტერატურის გაცნობის, მისი პოპულარიზაციისა და შემოქმედებითად ათვისების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ლიტერატურათმცოდნეობითი ქვეტიპის ფორმებს. მასში ერთიანდება უცხოეროვნული ლიტერატურისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევები, მონოგრაფიები, ნარკვევები, გამომავლებები სხვა ერის სალიტერატურო ცხოვრების ცალკეულ მოვლენებზე, რეცენზიები უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებზე, უცხოური კრიტიკული ლიტერატურის თარგმანები, უცხოური სალიტერატურო ცხოვრების ქრონიკები, სხვადასხვა ეროვნების მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა და სხვ.

ლიტერატურათმცოდნეობა და სალიტერატურო კრიტიკა აქტიურად არის ჩართული ლიტერატურულ ურთიერთობათა რთულ სისტემაში და ბევრად გახაპირობებს უცხოეროვნული მწერლობის აღქმას, ამ აღქმის თავისებურებებს. ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად „სალიტერატურო კრიტიკამ წარმოშობიდან დღემდე განვითარების რთული გზა განვლო და შესაბამისი სოციალური პირობების მიხედვით იცვლებოდა მი-

სი ხასიათი, თვალსაზრისი, განხილვის მანერა. საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციები ყოველთვის იყო საფუძველი კრიტიკის განვითარებისა და, ამ აზრით, იგი ღრმად სოციალურია ფენომენია“ [(43), 7-8].

ამა თუ იმ ქვეყანაში რომელიმე მწერლით ფართოდ დაინტერესება შეიძლება სწორედ სალიტერატურო კრიტიკის დამსახურება იყოს. სწორედ მან შეიძლება შეუწყოს ხელი უცხოელი მწერლის შემოქმედების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შექმნას. ეს განსაკუთრებით კარგად მელაგნდება იმ შემთხვევაში, როცა თარგმნილი მასალა მწირია და მწერლის შემოქმედებაზე სრულ შთაბეჭდილებას ვერ ქმნის.

ლიტერატურული ურთიერთობებისა და ურთიერთმიმართებების ამ ქვეტიპს ქართულ სინამდვილეში დიდი ტრადიცია გააჩნია. კიდევ უფრო მეტი — შეიძლება ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი ძირითადი ფორმის — თარგმანის თეორიის ჩამოყალიბებით იწყება. მხედველობაში გვაქვს XI საუკუნეში ეფრემ მცირის მიერ თარგმანის პრინციპების შემუშავება, რაც ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ პირველ წერილობით ნიმუშს წარმოადგენს.

უცხოეროვნული მწერლობის ლიტერატურათმცოდნეობითი ქვეტიპის ფორმების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი XIX საუკუნეში მელაგნდება და სწორედ ამ პერიოდში ხდება ამ ჯგუფის ფორმები უფრო აქტიური და პროდუქტიული. ეს განსაკუთრებით ითქმის სამოციანი წლების ქართულ კრიტიკაზე, რომელმაც სალიტერატურო აზროვნების მაღალ საფეხურს მიაღწია, მჭიდროდ დააკავშირა ქართული მწერლობა რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურასა და მოწინავე დასავლეთევროპულ მწერლობასთან. მან წინ წამოსწია რეალისტური ხელოვნება და ქართული მწერლობის რეალისტურ კალაპოტში განვითარების საკითხი დააყენა. ამასთანავე, „ამ ხანებში სალიტერატურო კრიტიკამ ყურადღება გაამახვილა ნაციონალური მწერლობის თავისებურებებზე და ამავე დროს შეეცადა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან პარალელებისა და ანალოგიების მოხშობით ეჩვენებინა, რომ ყოველი ეროვნული მწერლობა საერთო ლიტერატურული პროცესის განუყოფელი ნაწილია“ [(43), 348].

აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდში გადაიდგა პირველი ნაბიჯები ქართული ტიპოლოგიური და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების გზაზე. ფართო ერუდიცია, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, მშობლიური და უცხოური ლიტერატურების ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევდა იმ დროის ქართველ მოღვაწეებს, სრულიად გამართლებული და ლოგიკურად დასა-

ბუთებული პარალელები მოენახათ ქართულ და ევროპულ მწერლობაში.

მეცნიერების განვითარების დღევანდელი პოზიციებიდანაც კი საესებით მისაღებია ალექსანდრე ცაგარელის მსჯელობა ლიტერატურული ზეგავლენის შესახებ. მისი აზრით, გავლენა არაფრით არ ამცირებს ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსებას, თუ მას ეროვნულ ნიადაგში აქვს ფესვები გადგმული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება მას კოსმოპოლიტური, ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა — „არ შეიძლება დიდი კოსმოპოლიტური თხზულება იმავე დროს ნაციონალურიც არ იყოს; საკმაოა ჩამოვთვალოთ მართო სახელები იმ მსოფლიო გენიოს პოეტებისა, რომლების თხზულებებშიც პირველად იმათი სამშობლო, ზალხი და მამული სჩანს და მერე მთელი ქვეყანა: პომეროსი, დანტე, შექსპირი, გეტე...“ [(39), №2].

XIX საუკუნის სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი და გააზრებული ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-შემეცნებითი ღირებულება. ისინი ბარათაშვილის შემოქმედებას ვიწრო ეროვნულ ჩარჩოში კი არ აღიქვამდნენ, არამედ მასშტაბურად, მსოფლიოს მოწინავე ლიტერატურების კონტექსტში განიხილავდნენ. საყურადღებოა, რომ ანტონ ფურცელაძე ბარათაშვილს „ჩვენს ბაირონს“ უწოდებს [(66)], ხოლო ნიკოლოზ ბერძენიშვილი 1859 წ. გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილის მიხედვით ლერმონტოვთან სულიერ ნათესაობაზე საუბრისას, აღნიშნავს: „მისი ნიჭი აღბეჭდილი იყო იმ უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების ნიშნით, იმ გამოუვალი შელანქოლით, რაც ასე საგრძნობია ლერმონტოვთან და ბაირონის სკოლის სხვა მიმდევრებთან“ [(48)].

„ბაირონის სკოლა“, ე. წ. „ბაირონიზმი“, ბაირონისტული მსოფლშეგრძნება ესაა „მსოფლიო სევდის“, უკიდურესი ინდივიდუალიზმის და პესიმიზმის განწყობილებათა ორგანული მთლიანობა. ბაირონიზმის, „მსოფლიო სევდის“ განწყობილებები ქართულ რომანტიკულ პოეზიაშიც მძაფრადაა გამოვლენილი. საერთოდ, XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმის მომენტი ჭარბობს, რაც თვალნათლივ აისახა სალიტერატურო-ესთეტიკურ აზროვნებაშიც. ქართველი რომანტიკოსები, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვები ეკუთვნოდნენ პირველ თაობას, რომელიც ევროპულ ლიტერატურულ სულსა და ევროპულ იდეალებს ამკვიდრებდა საქართველოში.

ალექსანდრე ცაგარელმა თავის წერილში „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, სადაც ქართულ რომანტიზმზეც და, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილზეც საუბრობს, პირველად დაუკავშირა ქართული მწერლობა ევროპულ ლიტერატურულ მიმართულებას, რომანტიზმს და წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ბარათაშვილის პოეზიაში შეი-

ძლება ვიპოვოთ იგივე საკითხები, რაც ბაირონისა და ლერმონტოვის ნაწარმოებებშია დასმული და გახსნილი მანფრედის, ლუციფერის, კაენის, მწირისა და დემონის ხასიათებში [(39)]. ქართული რომანტიკული დემონიზმის თავისებურება ისაა, რომ დემონი, ბოროტი სული, ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი, არ არის პერსონიფიცირებული. თუ ბაირონის კაენი ლუციფერს მიჰყვება შეძახილით — „მოვდივარ, სულო!“, „მერანის“ ლირიკული გმირი, ეს უსახელო ტრაგიკული „მე“, როგორც გ. ქიქოძე იტყოდა, თავად ამხნევენს საკუთარ თავს. საინტერესო აზრს გამოთქვამს ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე: „აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაენმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა“ [(41), 662].

რომანტიზმმა მსოფლიოს მოაზროვნე კაცობრიობას სრულიად ახალი იდეალები და ესთეტიკური მრწამსი შესთავაზა: „საქართველო XIX საუკუნეში რომანტიზმის იდეათა ზიარებით გახდა მონაწილე იმ ახალი იდეალებისა და კაცობრიობის ახალი სულიერი სწრაფვის, რომელმაც მოიცვა იმ პერიოდში მთელი პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა, ევროპულად ცივილიზებული სამყარო, მათ შორის რუსეთი“ [(9), 33].

ლიტერატურათმცოდნეობითი ქვეტიბი მოწოდებულია, ერთის მხრივ, ხელი შეუწყოს უცხოეროვნული ლიტერატურის სწორ პერცეფციას და მკითხველისათვის მართებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებათა ჩამოყალიბებას და, მეორეს მხრივ, გააცნობიეროს უცხოეროვნული ლიტერატურის ინტერესები და გამოავლინოს მისი განვითარების თავისებურებანი.

სამეცნიერო-შემოქმედებითი ღონისძიებანი

თანამედროვე ეტაპზე ფრიად გაიზარდა სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებათა მნიშვნელობა. დღევანდელი სალიტერატურო ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია სიმპოზიუმების, კონფერენციების, სემინარების, დისკუტების, პოლემიკების, თათბირების, საიუბილეო თუ შემოქმედებითი საღამოების გარეშე. ერთი შეხედვით, ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში ეს ფორმები უაღრესად თანამედროვედ გამოიყურება და მხოლოდ ბოლო პერიოდის სა-

ლიტერატურო ცხოვრების პროდუქტად გვევლინება, მაგრამ ქართული ლიტერატურა სულ სხვა მაგალითს იძლევა. ამასთან დაკავშირებით მოგვყავს გიორგი ციციშვილის მსჯელობა: „ქართული მწერლობის ისტორია იცნობს ლიტერატურულ ურთიერთობათა დღემდე არსებულ ყველა ფორმას და თითოეულს ამ ფორმათაგან ქართულ სინამდვილეში საკუთარი ისტორია აქვს. მართალია, ზოგიერთმა მათგანმა სახე იცვალა, მაგრამ თავისი ტრადიციული საზოგადოებრივი მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგავს. მაგალითად, ავიღოთ ისეთი თითქოს ძალზე „თანამედროვე“ ფორმა, როგორიცაა კონფერენცია, თათბირი ანდა დისკუსია. თვით ეს სახელწოდებანი დღევანდელობის ასოციაციას იწვევს ჩვენში, მაგრამ განა ძველი საეკლესიო კრებები, სადაც ჰაგიოგრაფიული თუ სხვა სახის მხატვრულ თხზულებათა შინაარსობრივ ან ფორმისეულ საკითხებს იხილავდნენ, ანდა ენისა და ძეგლთა წარმომავლობის საკითხებზე მსჯელობდნენ, იგივე კონფერენციებსა და დისკუსიებს არ წარმოადგენენ?

ერთი სიტყვით, ლიტერატურულ ურთიერთობათა ყველა ფორმას, თვით ისეთსაც კი, რომელიც დღესაც მეტად „თანამედროვედ“ გამოიყურება, ქართულ სინამდვილეში უაღრესად ძველი, ამასთან მდიდარი ტრადიციები მოსდგამს და ქართულ მწერლობას ყველა მათგანი (გარკვეული ასპექტითა და ოდენობით) თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან მანძილზე არაერთხელ გამოუყენებია“ [(40), 96-97].

დღესდღეობით სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ლონისძიებების განსაკუთრებული გააქტიურება უაღრესად დინამიკურმა სალიტერატურო ცხოვრებამაც განაპირობა. ეს მით უფრო ითქმის ქართულ ლიტერატურაზე, რომელსაც ამ ჯგუფის ფორმათა შესანიშნავი ტრადიციები გააჩნია.

სხვა ქვეტიპებისაგან სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ჯგუფის ფორმათა უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი გარდა იმისა, რომ კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება, მდგომარეობს მის კოლექტიურ ხასიათში. ამგვარ ლონისძიებებში, როგორც წესი, მრავალი სპეციალისტი მონაწილეობს. აქ გამართული საჯარო კამათი, სჯა-ბაასი, შეხედულებათა გაზიარება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს უცხოეროვნულ ლიტერატურაზე, მის ცალკეულ ფაქტსა თუ მოვლენაზე გარკვეული აზრის ჩამოყალიბებას. ფასდაუდებელია ამ რიგის ლონისძიებების როლი უცხოეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტი, როცა ამა თუ იმ უცხოელი მწერლის შემოქმედებისადმი ინტერესი მკითხველთა ფართო მასებში სალიტერატურო დისპუტებისა თუ პოლემიკების დროს გამართული ცხარე კამათიდან გადასულა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი როგორც საკავშირო, ასევე მსოფლიო მასშტაბით, სწორედ პოემის ავტორის პირველი (1937 წ.) და განსაკუთრებით მეორე (1966 წ.) იუბილეების დროს გაძლიერდა. ძნელი წარმოსადგენია, სხვა რა საშუალებით შეიძლება ასე მასშტაბურად გაგვეტანა რუსთაველის პოემა მსოფლიო სალიტერატურო ასპარეზზე.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენში უცხოეროვნული ლიტერატურის დღეების ჩატარება. ბოლო ხანს გაიზარდა საერთაშორისო თუ საკავშირო სიმპოზიუმების რიცხვი. ასეთები იყო ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერიის 1 000 წლისთავი, პეტრიწონის 800 წლისთავი, მსოფლიო ცივილიზაციის ბედი სოციალისტურ ლიტერატურებში და სხვ.

ლიტერატურული ურთიერთობების ფორმათა სამეცნიერო-შემოქმედებითი ქვეტიპი აქტიურად ემსახურება სალიტერატურო კონტაქტების შემდგომ გაღრმავებას.

ახლა კი მოკლედ შევჩერდებით ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა მეორე ტიპში — ტიპოლოგიურში ჩვენს მიერ გამოყოფილ ორ ქვეტიპზე.

ტიპოლოგია ფრიად რთული და საინტერესო სფეროა. ტიპოლოგიური კვლევა სხვადასხვა ასპექტს გულისხმობს. მეცნიერები სწავლობენ მსოფლმხედველობათა, ენათა, ხასიათთა და სხვ. ტიპოლოგიას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობების წარმოშობას, ცხადია, ძირითადად მსგავსი წინაპირობები, მსგავსი ბაზისი განსაზღვრავს. თუმცა მსგავსებასთან ერთად კონკრეტული ეროვნული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად მათ ბევრი განმასხვავებელი ნიშანიც აქვთ.

ასე მაგალითად, რომანტიზმმა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურები მოიცვა. იმის მიუხედავად, რომ ევროპული რომანტიზმის ნიმუშები ქართულად ითარგმნებოდა, ქართულმა რომანტიზმმა შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა, გამოიყენა ქართული პოეზიის მდიდარი ტრადიციები და არ განიცადა ევროპული რომანტიზმის მძაფრი და ზედმეტი გავლენა. ასევე ძალიან ნაკლებად განიცადა სხვა ევროპული ქვეყნების რომანტიზმის გავლენა ინგლისურმა რომანტიზმმა. ქართულ და ინგლისურ რომანტიზმს საერთო ამოსავალი წერტილების გარდა, რაც საზოგადოდ რომანტიზმს გააჩნია, სპეციფიკური თავისებურებანიც ახასიათებს. რამდენადაც ქართველი პროგრესული საზოგადოებ-

რიობის წინაშე ძირითადად ეროვნული საკითხი იდგა, ამდენად სწორედ იგი გახდა ქართული რომანტიკული სკოლის მამოძრავებელი ღერძი. ინგლისურ რომანტიკულ პოეზიაში კი სოციალური საკითხებია წინ წამოწეული, რაც ეპოქის გამოძახილს წარმოადგენდა.

„ქართულ და ინგლისურ რომანტიზმთა მშობლიურ ქვეყნებს დიდი მანძილი აცილებს ერთმანეთს. და მაინც ეპოქის მოწინავე იდეებმა, საოცარმა ალლომ პროგრესული იდეებისადმი, ეპოქის მთავარი გეზის, ღროის მაჯისცემის სათუთმა გრძნობამ განაპირობა ქართველი და ინგლისელი პროგრესული, რევოლუციური რომანტიკოსების შემოქმედების იდეური ნათესაობა.

ენობრივი, ენარული, სიუჟეტური თუ თემატური სხვაობების უკან იგრძნობა სულთა და იდეათა, განწყობილებათა და მიზანსწრაფვათა ნათესაობა“ [(26), 192].

ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა ქართული და უკრაინული რომანტიზმი, მაგრამ მათი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანში მაგისტრალურ ხაზს ეროვნული საკითხი წარმოადგენს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით შეიარაღებულ უკრაინულ პროგრესულ რომანტიზმში საზოგადოებრივი განვითარების მოწინავე ტრადიციები აისახა. ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი საკითხია წინ წამოწეული იტალიურსა და უნგრულ რომანტიზმში, რაც მათი ეროვნული ტიპიულობით იყო გამოწვეული, ხოლო რამდენადაც ინგლისისა და საფრანგეთისათვის ეროვნული საკითხი ძირითადი არ იყო, ამდენად მათი რომანტიზმის ყურადღების ცენტრში მწვავედ იდგა სოციალური პრობლემები. საქართველოსა და მისგან სოციალურ-პოლიტიკურად და გეოგრაფიულად მოცილებულ ქვეყნებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებულ ერთი და იმავე ლიტერატურულ მიმდინარეობაში მსგავსი ისტორიული პირობების შესაბამისად ლიტერატურის ძირითად . ქვაკუთხედს ერთი და იგივე პრობლემა წარმოადგენდა.

ლიტერატურათშორის კონტაქტებში სერიოზულ ნაკადს ქმნის სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ტიპოლოგია. ეს კი იმით აიხსნება, რომ ყველა ეროვნულ ლიტერატურას განსაკუთრებულთან ერთად ზოგადი ნიშნებიც გააჩნია.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ნათლად ადასტურებს ხალხური შემოქმედებისა და მხტვრული ლიტერატურის მჭიდრო კავშირს. ცნობილი მწერლები არა მარტო ღრმად იცნობენ ფოლკლორულ მასალას, არამედ ფართოდ იყენებენ მას თავიანთ შემოქმედებაში. ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ხალხურ წყაროზე არაერთი ნაწარმოები აამეტყველა, წერდა: „... ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გოეტისი ხალხურ თქმულებაზეა აშენებული... ავტორები „ფაუსტს“

გოეტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გოეტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერაფერს შეძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადადუღება, ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა. ასევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვა. ასევე იოჰიმის ღიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“... [(36) 382].

ქართული კრიტიკული რეალიზმის ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველა და ინგლისური წინარომანტიზმის თვალსაჩინო პოეტი რობერტ ბერნსი ორი სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია. მათ შემოქმედებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი აახლოვებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ ხალხურ პირველწყაროებს ორივე უხვად იყენებს. მათი არაერთი ნაწარმოებია შექმნილი ფოლკლორულ ძირზე. ორივე მათგანი თავთავიანთ დიალექტზე წერდა. ამასთანავე ფშავეური დიალექტი არ წარმოადგენდა ვაჟასათვის თხრობის ერთადერთ საძეალებას, ისევე როგორც შოტლანდიური დიალექტი ბერნსისათვის. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას პროზაული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წარჩილები, ისევე როგორც ბერნსის შემოქმედების ნაწილი, დახვეწილი, სალიტერატურო ენით იწერებოდა. ისინი როგორც უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტები, თავიანთ შემოქმედებაში ხშირად ჩვეულებრივ, ჰუმანური, პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთების რიგით ადამიანებს ხატავდნენ. ჩვენ არაფერს ვამბობთ ამ ორი მწერლის პოეტურ აზროვნებაში არსებულ იმ მრავალრიცხოვან და მრავალმხრივ განსხვავებებზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ორი ნებისმიერი მწერლის შემოქმედება.

რაც შეეხება მხატვრული ფორმების მსგავსებას, საკმაოდ ხშირად შეიძლება მათი მოძებნა როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის მწერალთა შემოქმედებაში. აქ შეიძლება გავიხსენოთ „საშობაო მინიატურები“ და „საშობაო მოთხრობები“ ქართულსა და ინგლისურ ლიტერატურებში. ქართველმა იმპრესიონისტმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ და ინგლისური კრიტიკული რეალიზმის ღიდებულმა წარმომადგენელმა ჩარლზ დიკენსმა შობის დღესასწაულის ფონზე თავისი ეპოქის ღრმა ტკივილები აღწერეს. მათ ნაწარმოებებში შობის დღესასწაული არის ის საერთო ფონი, რომელზეც ინგლისელმა მწერალმა სოციალური, ხოლო ქართველმა ეროვნული ტრაგედია წარმოაჩინეს. ასევე შეიძლება სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობების ძეგლებში მხატვრულ საშუალებათა, მხატვრულ სახეთა მსგავსების მიგნება.

სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა დროის განსხვავებული მიმდინარეობის ლიტერატურებში პარალელური თემატიკის, იდეებისა და მხატვრული ფორმების არსებობა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ესა თუ ის ეროვნული ლიტერატურა სხვა ლიტერატურებისაგან მოწყვეტილად არ არსებობს.

4. უცხოეროვნული ლიტერატურის აღქმა, როგორც ლიტერატურული ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი

აღქმა ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეული ფორმებისაგან განსხვავებით კომპლექსური ფენომენია, მაგრამ ერთი ლიტერატურის მიერ მეორის აღქმა ცალკეული კომპონენტების, ე. ი. ლიტერატურული კონტაქტების სხვადასხვა ფორმათა მექანიკურ ჯამს არ წარმოადგენს. იგი ერთიანი სტრუქტურის მქონე მოვლენად გვევლინება და დიდი ფუნქცია აკისრია ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში. აღქმა ლიტერატურული ურთიერთობების მრავალფეროვან ფორმათა ორგანული შერწყმის ერთ-ერთი შედეგია. იგი განპირობებულია ლიტერატურული კონტაქტების ისეთი ფორმებით, როგორიცაა მხატვრული თარგმანი, უცხოეროვნული ლიტერატურის კრიტიკული შესწავლა-გაანალიზება, მისი შემოქმედებითი ათვისება და სხვ.

იმის მიუხედავად, რომ აღქმა ლიტერატურულ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ასპექტია, ეროვნულ ლიტერატურათა ისტორიაში მაინც იშვიათად გვხვდება ხოლმე ცალკეული უცხოეროვნული მწერლისა თუ მთლიანი ლიტერატურის სრულყოფილი აღქმის შემთხვევები. შეუძლებელია, რომელმე უცხოელი მწერლის შემოქმედების სრულყოფილ პერცეფციაზე ლაპარაკი, თუ ამ ენაზე არ არსებობს მისი თხზულებების სრული კრებული. ვალერი ბრიუსოვი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ «настоящее понятие о данном авторе получается не из знакомства с его отдельными произведениями, даже не из его избранных работ, а именно из «Полного собрания сочинений». Иная вещь, слабая сама по себе, не удавшаяся автору, или же представляющая простое подражание другому. — на своем месте в собрании сочинений получает смысл и значение... Только из собрания сочинений облик писателя выступает вполне; отдельные «сочинения» отражают лишь отдельные грани его души» [(50.)7]. თხზულებების სრულ კრებულთან ერთად, აღქმის სრულფასოვნებისათვის, ვფიქრობთ, საჭიროა ესა თუ ის მწერალი უცხოეროვნულ მკითხველს ისტორიულ პერსპექტივაში, იმ ისტორიულ-ლიტერატურულ გარემოცვაში მივაწოდოთ, რომელშიც მას ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა. აქ ერთხელ კიდევ წარმოჩნდება ანთოლოგიების მნიშვნელობა, რადგან მისი საშუალებით კარგად

აისახება ნებისმიერი მწერლის ისტორიულ-ლიტერატურული გარემო, მით უფრო, თუ ეს ანთოლოგია დახვეწილი, პროფესიულ დონეზე შესრულებული სამეცნიერო აპარატითაა აღჭურვილი (ეს, რაც შეეხება, ცალკეული უცხოეროვნული მწერლის შემოქმედების აღქმას). უცხოეროვნული ლიტერატურის პერცეფცია ბევრად უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ცალკეული უცხოეროვნული მწერლების შემოქმედების აღქმა. იდეალურ შემთხვევაში ეს ფენომენი მთელი ლიტერატურული პროცესის წარმოჩენას გულისხმობს მნიშვნელოვან თუ ნაკლებ მნიშვნელოვან მწერალთა შემოქმედების გათვალისწინებით. ლიტერატურული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის და როგორც წესი, ამა თუ იმ ლიტერატურის აღქმა მისი ცალკეული თვალსაჩინო წარმომადგენლების შემოქმედების აღქმით შემოიფარგლება.

ქართული ლიტერატურის მაგალითი რომ ავიღოთ, თავისუფლად შეიძლება მსჯელობა რუსთველის აღქმაზე ლატვურ, ლიტვურ, ესტონურ, ბელორუსულ და სხვა მოძმე ლიტერატურებში. იმდენად, რამდენადაც ამ ენებზე არსებობს პოემის თარგმანები და ამასთანავე. ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომები რუსთველისა და მისი ეპოქის შესახებ და აგრეთვე პოეტური მიძღვნები „ვეფხისტყაოსნისადმი“, მაგრამ ძნელია საუბარი ძველი ქართული ლიტერატურის ამ პერიოდის აღქმაზე დასახელებულ რესპუბლიკებში, რადგან იქ რუსთველის გარდა, არც ერთი სხვა ქართველი მწერალი არ არის წარმოდგენილი. მართალია, „კლასიკური პერიოდის მდიდარი ქართული მწერლობიდან მხოლოდ მცირედი რამ გადაურჩა ჟამთა სიაყეს. ასევე ხარვეზებითაა საცხე საისტორიო და სამეცნიერო მწერლობაც. დაღუპულია დიდძალი ნათარგმნი ლიტერატურა. კლასიკური პერიოდის ქართული სულიერი კულტურა ამიტომაც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს“ [(2), 24], მაგრამ ამის მიუხედავად, „ამირანდარეჯანიანის“, „აბდულუმესიანის“, „თამარიანის“ გარეშე შეუძლებელია კლასიკური პერიოდის ქართულ საერო მწერლობაზე სიღრმისეული და სრულყოფილი საუბარი.

უცხოეროვნული ლიტერატურის სრულყოფილი აღქმისათვის მეორე ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ნაშრომები ლიტერატურათმცოდნეობისა და სალიტერატურო კრიტიკის დარგში, რომლებიც მოწოდებულია გვიჩვენოს უცხოეროვნული ლიტერატურისა თუ ცალკეული მწერლის შესახებ როგორ ვითარდება და ყალიბდება აზრი კონკრეტულ ეროვნულ ლიტერატურაში. ლიტერატორების ამოცანაა, ახსნან უცხოეროვნული მწერლობის ესა თუ ის ფაქტი და მოვლენა, იმსჯელონ მის შესახებ. გააშუქონ იგი როგორც ეროვნული, ასევე უცხოეროვნული ლიტერატურის ტრადიციების პოზიციიდან, ე. ი. უჩვენონ ამა თუ იმ მწერლისა თუ ნაწარმოების ადგილი და მნიშვნელობა როგორც აღსაქმელ, ასევე აღქმულ ლიტერატურაში. ლიტერატურათმცოდ-

დნობამ და სალიტერატურო კრიტიკამ უცხოეროვნული ლიტერატურის აღქმის ჭანსალი რეალისტური ტენდენციები უნდა დაამკვიდროს. აღქმის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს უცხოეროვნული ლიტერატურის შემოქმედებითი ათვისება, რაც უცხოეროვნული ლიტერატურის რომელიმე თხზულების იდეის, თემის, სახის, განწყობილების, პოეტური სამყაროს და ა. შ. ათვისებასა და საკუთარ ნაწარმოებში შემოქმედებითად ასახვას გულისხმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის ეროვნული ლიტერატურა კარგად და ფართოდ იცნობს უცხოეროვნულ მწერლობას, მის სალიტერატურო სამყაროს, შეუძლია მისი შემოქმედებითად აღქმა და ორიგინალურ ლიტერატურაში შემოტანა.

შემოაღნიშნული კომპონენტების ერთიანობა სრულ საფუძველს ქმნის უცხოეროვნული ლიტერატურის სრულყოფილი აღქმისათვის.

საინტერესოა ი. ლევინის მოსაზრება — «Когда мы выясняем значение творчества иностранного писателя для литературного процесса, следует различать активное и пассивное освоение. Только в первом случае этот писатель как бы включается в развитие данной литературы, его произведения играют в ней действительную роль, решают злободневные ее задачи. Во втором же случае они становятся лишь культурным наследием, знакомством с которым признается необходимым для общего образования».

Эти два вида восприятия не определяются числом воспринятых субъектов, ибо регулируются они совершенно различными процессами: первый — в внутренними потребностями национальной литературы, второй — общим ростом культуры» [(60), 243—244].

ლიტერატურათა აღქმის, როგორც ერთი ეროვნული ლიტერატურის შინაგანი მოთხოვნილებების, გამოვლენის საუკეთესო მაგალითია რუსული და ქართული ლიტერატურების აღქმა აფხაზური ლიტერატურის მიერ. აფხაზური ლიტერატურა ახალდამწერლობიან ლიტერატურათა რიცხვს მიეკუთვნება და მის განვითარებაში ქართულმა და რუსულმა ლიტერატურამ, მათმა ტრადიციებმა უდიდესი როლი შეასრულა. აფხაზურ ფოლკლორსა და ქართული და რუსული ლიტერატურების მხატვრულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიქმნა აფხაზური ლიტერატურა, რომლისთვისაც ქართულ და რუსულ ლიტერატურასთან კავშირი სწორედ შინაგანი მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი. ქართულ ენაზე 1980 წლის მონაცემებით ძველბერძნულიდან ოცდათორმეტი ძეგლი იყო ნათარგმნი. ალბანური, ნეპალური, ძველგვიპტური და ზოგიერთი სხვა ენიდან კი მხოლოდ თითო-თითო. მიუხედავად იმისა, რომ ძველბერძნულიდან სამ ათეულზე მეტი ძეგლია ნათარგმნი, ხოლო ძველგვიპტურიდან — ერთი, ამ შემთხვევაში,

რაოდენობას პრინციპული მნიშვნელობა არ ენიჭება, ვინაიდან ამ თარგმანებს ზოგადკულტურული დანიშნულება აქვს ქართული ლიტერატურისათვის — კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

შსსოპროკონსულ ლიტერატურათმცოდნეობის ქართული ლიტერატურის ურთიერთობათა პერიოდიზაციისათვის

ლიტერატურული ურთიერთობანი ნებისმიერი ისტორიული პროცესის კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს, რომლის კონდენსირებულ გამოხატულებად გვევლინება კ. მარქსის სიტყვები „კაპიტალის“ წინასიტყვაობიდან: „ყოველმა ერმა შეიძლება ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდეც სხვა ერისაგან“ [(23), LIX].

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლის მეთოდთა ეფუძნება მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას ყველა მოვლენის დიალექტიკური კავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ. ამ პრობლემასთან მიმართებაში განსაკუთრებით ფასეულია ვ. ი. ლენინის მოსაზრება: «Весь дух марксизма, вся его система требует, чтобы каждое положение рассматривалось лишь (α) исторически; (β) лишь в связи с другими; (γ) лишь в связи с конкретным опытом истории» [(61), 329].

ლენინის ამ მითითებიდან გამომდინარე მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობა ლიტერატურათა ურთიერთობის საგანს განმარტავს, როგორც «общения между разными национальными литературами, рассматриваемые в неразрывном единстве их идейного и эстетического содержания, а также независимое от возможных контактов возникновение и развитие в сходных исторических условиях сходных явлений литературы» [(64), 13] და ლიტერატურის ისტორიკოსების წინაშე სვამს ამოცანას ესთეტიკური, ეროვნული და ეპოქალური თავისებურებების გათვალისწინებით მთლიანად მოიცვან ლიტერატურათა ურთიერთობის პროცესი.

ცალკეულ ლიტერატურათა ურთიერთობის როლის, მისი მასშტაბებისა და მნიშვნელობის ბოლომდე წარმოსაჩენად აუცილებელია მათი კვლევა საფეხურებად, კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართველები ოდითგანვე ცხოველ ინტერესს იჩენდნენ მსოფლიოს მოწინავე კულტურებთან ურთიერთობისადმი, თვალს ადევნებდნენ სხვა ქვეყნების ლიტერატურულ პროცესებს და საჭიროებისამებრ ითვისებდნენ მას. კორნელი კეკელიძე წერდა: „ჩვენს ქვეყანას იზოლირებულად არ უცხოვრია არასდროს. მას ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა ჰქონდა სხვა, მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან, მისი კულტურა და ლიტერა-

ტურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ზემოქმედების სფეროში“ [(13), 43].

ქართული კულტურა მსოფლიოს უძველეს კულტურათა შორის იხსენიება. იგი წინაქრისტიანულ ეპოქაში ჩაისახა და სხვა მოწინავე კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში მდიდრდებოდა, იხვეწებოდა და ვითარდებოდა. სხვა ქვეყნებთან ქართველი ხალხის ურთიერთობის უძველესმა ტრადიციამ ლიტერატურის სფეროშიც ჰპოვა გამოხატულება.

ვინაიდან ლიტერატურული ურთიერთობები ეროვნული ლიტერატურებისაგან მოწყვეტილად არ არსებობს, ამიტომ ორიგინალური მწერლობის ევოლუციის პროცესი მოცემული ლიტერატურის უცხოეროვნულ ლიტერატურებთან კავშირშიც აირეკლება, და ამდენად, ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების ეტაპები თითქმის ყოველთვის ეროვნული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს შეესატყვისება. იგივე ითქმის ქართულ ლიტერატურასა და მის ურთიერთობებზეც. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, ქართული ლიტერატურა სამ პერიოდად არის დაყოფილი — ძველი, ახალი და უახლესი ლიტერატურა. სხვა ლიტერატურებთან მისი ურთიერთობის განვითარების ეტაპები ძირითადად ამ პერიოდებს ემთხვევა. თუმცა, ჩვენი აზრით, მას პირველ პერიოდად უნდა დაემატოს ანტიკური ხანის ურთიერთობები, რომლებიც დღემდე შემორჩენილი წყაროების მიხედვით ცალმხრივ ხასიათს ატარებდა და წარმოადგენილი იყო ურთიერთობის მხოლოდ ერთი ფორმით — ქართული თემატიკით ანტიკურ ლიტერატურაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლიტერატურულ ურთიერთობათა პერიოდიზაცია ქართული ლიტერატურის მაგალითზე შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

- ა) ანტიკური ხანის ლიტერატურული ურთიერთობანი;
- ბ) ძველი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი უცხოეროვნულ ლიტერატურებთან;
- გ) ახალი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი უცხოეროვნულ ლიტერატურებთან;
- დ) უახლესი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი უცხოეროვნულ ლიტერატურებთან.

ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს უცხოეროვნულ ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობათა მთელი ისტორიის დეტალური აღწერა. ვუჩვენებთ მხოლოდ თითოეული პერიოდის ძირითად მოვლენებსა და მიმართებებს. რაც შეეხება ლიტერატურათა ურთიერთმიმართებებს, მათი პერიოდებად დაყოფა ძნელია,

ვინაიდან ისინი ყოველთვის სინქრონულნი არ არიან. ასე რომ, ეს პერიოდიზაცია მხოლოდ ლიტერატურულ ურთიერთობებზე ვრცელდება.

1. ანტიკური ხანის ლიტერატურული ურთიერთობანი

ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმებზე მსჯელობისას ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმაზე — უცხოეროვნულ თემატიკაზე. ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში ეს ფორმა ქრონოლოგიურად უპირველესად გვევლინება. მხედველობაში გვაქვს ძველი ბერძნული ლიტერატურის მიერ ქართული თემატიკის ასახვა, რომელმაც განვითარების შემდგომი საფეხურები გამოიარა: ა) კოლხური ისტორიული სინამდვილის ბერძნულ მითოლოგიაში ასახვა, ბ) კოლხურ თემატიკაზე შექმნილი ბერძნული მითის ბერძნულსავე ლიტერატურაში გადამუშავება.

ცხადია, ისევე როგორც საერთოდ ყველა ლიტერატურის, ბერძნული მწერლობის აღმოცენებასაც წინ უსწრებდა ხალხური ზეპირსიტყვიერება, კრეტა-მიკენის კულტურის დროინდელ ზეპირსიტყვიერებაში დიდი ადგილი ეკავა თქმულებათა სამ ციკლს: თებეს, ტროისა და არგონავტების შესახებ. ამ უკანასკნელში კოლხური სამყაროა ასახული. უცხოეროვნულ თემატიკაზე შექმნილი მითი კი ლიტერატურაში არსებული უცხოეროვნული თემატიკის ადექვატური მოვლენაა და მის ერთგვარ პრეისტორიად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ცივილიზებული მსოფლიოს კულტურულ ფასეულობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მითს. მითი საფუძვლად უდევს უამრავ ლიტერატურულ ძეგლს. უცხოეთში საქართველოზე შექმნილ მითთა შორის, რომლებმაც რეალიზაცია ჰპოვა მწერლობაში, ყველაზე პოპულარულია მითი არგონავტებზე. თესალიურ-ბეოტიური თქმულება შემდგომ იონურ ნიადაგზე გადამუშავდა. თქმულება კოლხეთში ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის შესახებ საკმაოდ ფართოდ აისახა ბერძნულ მწერლობაში. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში „ილიადასა“ და „ოდესეაში“ უკვე ვხვდებით ცნობებს არგონავტებისა და კოლხეთის შესახებ. იმ ავტორთაგან, რომელთაც მხატვრულად გადაამუშავეს მითი არგონავტების შესახებ, უნდა დავასახელოთ ეპიკოსი პოეტი ევმელოსი, ლირიკოსები მიმნერმე, სიმონიდე კეოსელი, პინდარე და სხვები. ამავე თემაზე ტრაგედიები შექმნეს ესქილემ, სოფოკლემ, ევრიპიდემ და სხვ. არგონავტების მითის საფუძველზე დაიწერა არისტოფანეს, სტრატი-სის, ანტიფანეს და სხვათა კომედიები. თქმულებამ არგონავტებზე

ასახვა ჰპოვა ბერძნულ საისტორიო პროზაშიც (ჰეროდოტე, თუკიდიდე, ანტიოქე, სიმონიდე გენეალოგოსი და სხვ.). არგონავტების მითს იმოწმებენ ბერძენი ფილოსოფოსებიც — პლატონი, არისტოტელე. ამ მითის საფუძველზე შექმნილ ყველაზე ვრცელ პოეტურ ტილოს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ წარმოადგენს. ასე რომ, ბერძნული მწერლობის არც ერთი ჟანრი არ დარჩენილა, რომელსაც ფართოდ არ წარმოეჩინოს არგონავტების ამბავი. ქართული თემატიკის დამუშავებამ ძველ ბერძნულ ლიტერატურაში ფრიად მასშტაბური ხასიათი მიიღო. ეს ლიტერატურული წყაროები უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართველ ტომთა შესახებ და ლიტერატურული კავშირ-ურთიერთობების საწყისად გვევლინება.

ანტიკური ხანის ლიტერატურული ურთიერთობის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ქართული სინამდვილე ბერძნულ მწერლობაში ბერძნულსავე სამყაროში ქართულ თემატიკაზე შექმნილი მითიდან გადავიდა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ქართული ორიგინალური მწერლობა შეიქმნებოდა. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ცივილიზებულმა კაცობრიობამ თავდაპირველად სწორედ ბერძნული თხზულებების საშუალებით გაიცნო საქართველო.

ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობები დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ბერძნებთან პოლიტიკურმა კონტაქტებმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა გარკვეული ზეგავლენა იქონია იმდროინდელი საქართველოს (იბერიისა და კოლხეთის) განვითარებაზე როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. „ელინიზმმა თვალსაჩინო გავლენა მოახდინა საქართველოშიდაც. საქართველოს აღებ-მიცემა გარეშე ქვეყნებთან ეხლა უფრო ცხოველი გახდა, ვაჭრობას კიდევ თან სდევდა კულტურულ მონაპოვართა გამოცდილების გაზიარება. უფრო, ვიდრე ეს მანამდე იყო, გავრცელდა ჩვენში ბერძნული ენა და ბერძნული მწერლობა. მცხეთაში. ნაპოვნი ბერძნული წარწერები, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ეკუთვნიან, ცხადად მოწმობენ, თუ როგორ კარგად იცოდნენ ჩვენში ეს ენა“ [(45), 52]. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელინისტური კულტურის გავლენა საქართველოში ემპირიულ ხასიათს ატარებდა.

მას შემდეგ, რაც ქართული მწერლობა აღმოცენდა, ქართულ-ბერძნულმა ლიტერატურულმა ურთიერთობებმა ორმხრივი ხასიათი მიიღო, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ამ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა.

**2. ძველი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი
უცხოეროვნულ ლიტერატურებთან**

ქართული ლიტერატურის ისტორია, ჩვენამდე მოღწეულ ორიგინალურ თხზულებებს თუ დავეყრდნობით, თხუთმეტ საუკუნეს ითვლის. სხვა ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობის პირველი წერილობითი ცნობებიც დაახლოებით იგივე ხნისაა. პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში „შუშანიკის წამება“ მოიხსენიება წიგნები: „სახარება“, „დავითნი“ და წმინდა ცხოვრების აგიოგრაფიული კორპუსი „წიგნი იგი მოწამეთა“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ქართველებს ჰქონიათ ნათარგმნი ლიტერატურა. მემათიანის ცნობით, საგდუხტ დედოფლისათვის სპეციალურად უთარგმნიათ სახარება „უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“. ასე რომ, ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობები სხვა ხალხებთან ისეთივე ძველია, როგორც თვით ქართული ლიტერატურა. როგორც აღვნიშნეთ, ამ ურთიერთობებს კეთილმყოფელი გავლენა ჰქონდა როგორც ქართულ, ისე მასთან ურთიერთობაში მყოფ სხვა ლიტერატურებზე. ეს ურთიერთობები ხელს უწყობდა ქართული კულტურის საერთო აღმავლობას და ამავე დროს ამდიდრებდა მასთან ლიტერატურულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების კულტურას. ლიტერატურულ ურთიერთობებს ქართველთათვის ოდითგანვე უტილიტარული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ვინაიდან ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ხანგრძლივ პერიოდს, თითქმის მთელ ცამეტ საუკუნეს, მოიცავს და ქართული ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპს აერთიანებს, მასზე მუშაობის გაადვილების მიზნით იგი ოთხ პერიოდად არის დაყოფილი. პირველი პერიოდი — ადრინდელი ფეოდალიზმის ხანა (V — X სს.), მეორე პერიოდი — ფეოდალური მონარქიის ხანა (X ს. 80-იანი წლებიდან XIII ს. II ნახევრამდე), მესამე პერიოდი — ფეოდალური მონარქიის დაცემის ხანა (XIII ს. II ნახევრიდან XVI ს. დამდეგამდე), მეოთხე პერიოდი — აღორძინების ხანა (XVI ს. დამდეგიდან XIX ს. დასაწყისამდე).

ძველი ქართული ლიტერატურის ურთიერთობები სხვა ლიტერატურებთან ასევე მიჰყვება ამ პერიოდიზაციას. მოკლედ მიმოვიხილოთ ძველი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი სხვა ლიტერატურებთან.

ქართული ლიტერატურის კონტაქტების დამყარებასა და გაძლიერებას ქრისტიანულ სამყაროსთან ფრიად უწყობდა ხელს ქრისტიან-

ნული რელიგია. უფრო მეტიც, იგი უშუალოდ იყო დაინტერესებული სხვა ქვეყნების სასულიერო მწერლობის რაც შეიძლება მეტი ნიმუში შემოეტანათ საქართველოში. ეს კი თავის მხრივ, ცხადია, ეროვნული ლიტერატურის განვითარებასაც იწვევდა, რადგან დასაწყისში ქართული ლიტერატურა ქრისტიანული იდეოლოგიის გამომხატველი სასულიერო მწერლობით იყო წარმოდგენილი. ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში საქართველო თავდაპირველად აღმოსავლეთის ქრისტიან ქვეყნებთან (სირია, პალესტინა, სომხეთი) იყო დაკავშირებული, ზოლო მას შემდეგ, რაც ქართლმა დიოფიზიტობა მიიღო (VII ს. დამდეგიდან), გაძლიერდა ქართული ლიტერატურის კონტაქტები ბიზანტიურ ლიტერატურასთან. ცნობილია, რომ ძველი პერიოდის ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის დიდ ნაწილს ბიზანტიური ძეგლები შეადგენს. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მრავალი ბიზანტიური თხზულება თუ ავტორი მხოლოდ ქართულ წყაროებში შემოგვრჩა. „იოანე დამასკელის ცხოვრების“, „იოანე ურჩაელის ცხოვრების“ და ზოგიერთ სხვა ძეგლთა ორიგინალები დაკარგულია, ისინი მხოლოდ ქართულმა თარგმანებმა შემოინახა. იგივე ითქმის მისტიკოსი ავტორების პიმენის, საპაკის და სხვათა თხზულებებზეც. ამ ავტორთა შესახებ ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიამ არავითარი ცნობა არ დაგვიტოვა. როდესაც ვლასარაკობთ ქართული ლიტერატურის მნიშვნელობაზე ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის, საგანგებოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართული ლიტერატურა პირველხარისხოვან მასალას იძლევა ბიზანტიური ლიტერატურის რეტროსპექტული სურათის აღსადგენად. რამდენადაც ბიზანტიურმა ლიტერატურამ მეტად დიდი და დადებითი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, ზოლო „ქართულ მწერლობას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა უმდიდრეს ბიზანტიურ ლიტერატურაში. ამგვარად, ეს ურთიერთობა ორმხრივი ლიტერატურული ურთიერთობის რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის ყოველმხრივი შესწავლა აუცილებელია როგორც ქართული ლიტერატურის, ისე ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის“ [(44), 11].

უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ურთიერთობები კულტურის სფეროს ფართო მასშტაბით მოიცავდა. ცნობილია, რომ კოლხეთში. ფოთის მახლობლად, რიტორიკული სკოლა არსებობდა, სადაც ლაზებს გარდა, ბიზანტიელებიც სწავლობდნენ. აქ უსწავლია ცნობილ ბერძენ ორატორს თემისტოქოსს და მის მამას ევგენიოსს, შემდგომში ფილოსოფიის მასწავლებელს კონსტანტინოპოლში. სიმონ ყაუხჩიშვილის რწმენით, „ის თავისებურებანი, რომელნიც ახასიათებენ თემისტოქოსის რიტორი-

კულ ხერხებს, ერთგვარ გამართლებას იპოვიან იმ სპეციფიკურ თვისებებში, რომლებიც მკვერმეტყველ ლაზთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებში აღმოჩნდება, და, ამგვარად, ეს იქნება ერთ-ერთი კვალი იმ მონაწილეობისა, რომელსაც იღებდნენ აღმოსავლეთის ხალხები, მათ შორის ქართულ ენაში, ბიზანტიური კულტურის შექმნაში.“ [(37). 88].

ბუნებრივია, ქართველები გაზრდილ ინტერესს იჩენდნენ ერთმორწმუნე ხალხების კულტურებისადმი. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ — როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ქვეყნებში. ისინი ცნობილი იყვნენ მთელს ქრისტიანულ სამყაროში. ახლო აღმოსავლეთში ქართული კულტურის მოღვაწენი უკვე IV-V საუკუნეებში დამკვიდრდნენ და იქ ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა გააჩაღეს. მოგვიანებით კი თავიანთი კოლონიებიც დააარსეს, რომლებიც ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანეს კერებს წარმოადგენდნენ. ესენი იყო შავი მთა, სინა, საბაწმინდა, იერუსალიმი, ანტიოქია, პალაფრა, ჯვარი. ამ კერებში მოღვაწეობდნენ იოანე ზოსიმე, იოანე მინჩხი, კვირიკე მიძნაძორელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, ანტონ ტბელი, ბასილ საბაწმინდელი და სხვანი, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგებში მუშაობდნენ — აგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიაში, ჰომილეტიკაში, პოლემიკაში, დოგმატიკაში, ეგზეგეტიკაში და ა. შ. ამავე დროს აქ ვითარდებოდა ქართული ფილოსოფიური აზროვნება, მზადდებოდა ხელნაწერთა პირები, იხვეწებოდა სალიტერატურო ენა, ყალიბდებოდა მთარგმნელობითი პრინციპები... ამ კერებში „საუკუნეების მანძილზე ჩქედდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული წერილობითი კულტურის საგანძური. ამის შედეგად გვიანი ხანის ქართველ მოღვაწეებს ახლო აღმოსავლეთისაკენ იზიდავდა არა მხოლოდ მსოფლიო ქრისტიანული მწერლობა, არამედ წინამორბედ თანამემამულეთა მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობაც“ [(25), 278].

ორიგინალური ქართული ლიტერატურის განვითარებისა და მისი კონტაქტების გაღრმავებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ ურთიერთობებს დასავლეთთან. IX საუკუნეში გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ ილარიონ ქართველმა ორი ქართული სავანე დააარსა — ოლიმპისა და რომანას მონასტრები. ფრიად საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობა იყო გაჩაღებული ათონის სავანესა და პეტრიწონის მონასტერში, კონსტანტინეპოლის სავანეებში (ხორა, ტრიანდაფლივი), ქალის ქართულ მონასტერში, კუნძულ კვიპროსზე.

აქ მოღვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი ათონელები, გიორგი მცირე, იოანე პეტრიწი. ათონის სალიტერატურო სკოლამ ახალი ეპოქა შექმნა ქართული მწერლობის ისტორიაში, რომელიც კლასიკური პერიოდის სახელითაა ცნობილი. ამ სკოლამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცების საქმეში, რამეთუ იქ როგორც ორმხრივ მთარგმნელობით, ასევე ორიგინალურ მოღვაწეობასაც ჰქონდა ადგილი. „დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა კარგად გაართვეს თავი რთულ ამოცანას; მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მეგვიდრეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის. ამასთანავე, დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც“ [(25), 285].

ქართული ეკლესია სომხეთის ეკლესიასთან ერთად VI საუკუნიდან დიოფიზიტურ ბიზანტიას გაემიჯნა და მონოფიზიტობის გზას დაადგა. ამან განაპირობა სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავება. ეს ურთიერთობები თავიდანვე ორმხრივი იყო. ხოლო VII საუკუნეში ქართლის კვლავ დიოფიზიტობაზე გადასვლამ ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობებიც გააძლიერა. უნდა ითქვას ისიც, რომ ბიზანტიურ ლიტერატურასთან ხანგრძლივი და ინტენსიური კონტაქტების მიუხედავად, ქართულმა მწერლობამ დამოუკიდებელი სახე შეინარჩუნა.

ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობის საქმეში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურმა მდგომარეობამ. საქართველოს სხვადასხვა კუთხე ხან რომაელების, ხან სპარსელების, ხან არაბების პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაც თავის მხრივ კულტურული ურთიერთობების გაფართოებასაც იწვევდა. მართებულად მიუთითებს გიორგი ციციშვილი, რომ „სახელმწიფოებრივი პარტიკულარიზმი და თითოეული კუთხის განსხვავებული კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია (რამდენადაც ეს პარადოქსალური არ არის), გარკვეული კუთხით ერთგვარი სარგებლობის მომტანიც გამოდგა, რადგან იგი ხელს უწყობდა კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას, მათ მრავალგვარობასა და სიმყარეს“ [(40), 91]. მართლაც, ქართულ-საზღვარგარეთული კულტურული ურთიერთობები ადასტურებს, რომ მათ დასამყარებლად კეთილგანწყობილი პოლიტიკა არ იყო ქართველთათვის მთავარი. ისინი სწორად აფასებდნენ დამპყრობელი ქვეყნების კულტურის საგანძურს და ეროვნული კულტურის გამდიდრების მიზნით მათგან ყოველივე პროგრესულს ითვისებდნენ.

VII საუკუნიდან საქართველოში არაბობა დაიწყო, რასაც ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობის წარმოშობაც მოჰყვა. ეს კონტაქტები მოიცავდა როგორც ქრისტიანულ-არაბულ, ასევე მაჰმადიანურ-არაბულ ლიტერატურასაც. ლიტერატურული ურთიერთობის ნათელსაყოფად თუნდაც ის ფაქტიც კმარა, რომ VIII საუკუნეში იოანე საბანისძემ დაწერა „აბო თბილელის წამება“, რომელიც ქრისტიანული და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შექმნილ ქადაგებას წარმოადგენს. ქართველები არაბულიდან სასულიერო, სამედიცინო და ასტროლოგიური ხასიათის ლიტერატურას თარგმნიდნენ.

საკუთარ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ-სპარსული ურთიერთობები შორეული წარსულიდან მომდინარეობს, მაგრამ რაც შეეხება ლიტერატურულ ურთიერთობებს, იგი XII საუკუნიდან დაიწყო და ინტენსიურად განვითარდა. ამ შემთხვევაში დამპყრობელი და დაპყრობილი ქვეყნების ლიტერატურულ ურთიერთობათა ორმხრივობასთან გვაქვს საქმე, რაც შეიმჩნეოდა ქართული და სპარსული ლიტერატურების ხანგრძლივი შემოქმედებითი კონტაქტების განვითარების თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე. ისტორიულად ცნობილია, რომ ისევე, როგორც საქართველოში სპარსული ენის მცოდნე, სპარსეთშიც ბევრი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნე. პირი, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც ქართულ-სპარსულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ისე კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებში.

ასევე ორმხრივი ხასიათისა და ხანგრძლივი ისტორიის მქონეა ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობები. საქართველო აზერბაიჯანელ მწერალთა ფალექი შირვანის, ნიზამი განჯევის შემოქმედებაში XII საუკუნეში იხსენიება. იგივე პერიოდში რუსთველი და ჩაბრუხაძე თავიანთ ნაწარმოებებში ასახელებენ ნიზამი განჯევის გმირებს. ნიზამის ზოგიერთი ნაწარმოები მისსავე სიცოცხლეში ითარგმნა ქართულად. ასევე ცნობილია, რომ ხაყანი ფლობდა ქართულ ენას და კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს, რაც მის პოეზიაშიც აისახა. „კლასიკური პერიოდის დიდმა ქართულმა ლიტერატურამ თავისი გავლენა მოახდინა, ან ასახვა ჰპოვა მეზობელი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს მოვლენა შეინიშნება ყველა იმ კულტურული ხალხის ლიტერატურაში, რომელსაც ამ პერიოდის საქართველოსთან ურთიერთობა ჰქონდა, კერძოდ სომხურ, ბიზანტიურ, სპარსულ და არაბულ მწერლობაში“ [(44), 26].

ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ლიტერატურებთან ურთიერთობის მესამე პერიოდი ფეოდალური მონარქიის დაცემის ხანად არის ცნობილი. ამ პერიოდში არ შექმნილა რაიმე მნიშვნელოვანი არც

ორიგინალური და არც ნათარგმნი ნაწარმოები ან ახალი კულტურული-ლიტერატურული ცენტრები. ამ დროს ქართველები თავს იცავდნენ ფიზიკური განადგურებისაგან — ჯერ მონღოლებისა და შემდეგ ოსმალთა შემოსევებისაგან. შექმნილმა ვითარებამ დააყენა ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთაც.

აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურა ლიტერატურული კონტაქტების ახალი დონითა და მასშტაბებით გამოირჩევა. ქართული სალიტერატურო ცხოვრების გამოცოცხლება და აღმასვლა შესანიშნავი საფუძველი გამოდგა ძველი ლიტერატურული ურთიერთობების აღორძინებისა და ახლის ჩასახვისათვის. ამ პერიოდის ლიტერატურული ურთიერთობანი და მიმართებანი აღბეჭდილია როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ნიშნით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავლფეროვან მასალას იძლევა XVII-XVIII საუკუნეები, რაც ერთგვარი ისტორიული გზაჯვარედინი იყო როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე ქართული ლიტერატურისა და მისი კონტაქტებისათვის. მაგალითად, თეიმურაზ პირველი მთელი თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით თუ სპარსეთის წანალმდეგ გამოდიოდა, თავის მხატვრულ შემოქმედებაში სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებს ამკვიდრებდა. მოგვიანებით, არჩილთან, სულხან-საბა ორბელიანთან, დავით გურამიშვილთან მკვეთრად გაძლიერდა ეროვნული ტრადიციები და მათი შემოქმედებაც ეროვნული ნიშნით წარიმართა. ქართული ლიტერატურის დასავლურ ლიტერატურასთან დაახლოების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა. მისი მემუარული ჟანრის თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს. როგორც ცნობილია, XVII-XVIII საუკუნეებში ირანისა და თურქეთისაგან შევიწროებული საქართველო იძულებული გახდა ევროპაში მოექდებნა მოკავშირე. ამის გამო საფრანგეთში ლუი XIV-სთან ელჩად სწორედ სულხან-საბა გაემგზავრა. მართალია, საბამ როგორც ელჩმა, კრახი განიცადა, მაგრამ ამ მოგზაურობას ლიტერატურული თვალსაზრისით უკვალოდ არ ჩაუვლია. თხზულებაში შესანიშნავად არის აღწერილი საფრანგეთისა და იტალიის ცხოვრების სურათები. საბა ყურადღებით აგვიწერს ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეთნოგრაფიულ და ა. შ. მდგომარეობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანმა საფუძვლიანად გადაამუშავა ვახტანგ მეფის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანა“ და დაგვიტოვა მისი ახალი რედაქცია. მკვლევართა აზრით, „ვახტანგის თარგმანი შესრულებულია საქმის ცოდნით, გულისხმიერებითა და სიყვარულით. ვახტანგს ქართულად ჩამოუყალიბებია განთქმული იგავ-

არაკთა კრებულის სრული, სწორი და საზოგადოდ კარგი თარგმანი. ოლონდ ვახტანგის თარგმანი ერთგვარ შავს წარმოადგენს. ტექსტს ჯერ კიდევ სჭირდებოდა რედაქციული ჩალხი“ [(11), 493]. ამდენად, „ჩილი-ლა და დამანას“ ქართულ ლიტერატურაში დაფუძნებისათვის უდიდესი სამუშაო გასწია სწორედ ამ ორმა პიროვნებამ.

აღორძინების პერიოდის ლიტერატურისათვის დიდმნიშვნელოვანია ასევე დავით გურამიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. იგი ქართულ ლიტერატურაში დასავლეთის ლიტერატურულ ტრადიციებს ამკვიდრებს, უარყოფს აღმოსავლურ ნაკადს და ეროვნული პოეზიის ტრადიციებს ეფუძნება. დავით გურამიშვილმა საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ყოფის მართალი სურათების გვერდით უცხოეროვნული თემატიკა შეიტანა, აღწერა უკრაინული ცხოვრების სურათები, წარმოაჩინა რუსი ხალხის კეთილშობილება. დავით გურამიშვილის პოეზია ნოვატორულ ხასიათს ატარებს და ქართული, რუსული, უკრაინული და პოლონური ვერსიფიკაციის ტრადიციებს ემყარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლური ლიტერატურა ამ პერიოდში ჯერ კიდევ მძლავრ ნაკადად იჭრებოდა ქართულ მწერლობაში. ამის დასტურია თუნდაც ბესიკისა და საიათნოვას შემოქმედება, რომელიც აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელ სალექსო ფორმას — მუხამბაზს ამკვიდრებენ ქართულ პოეზიაში.

აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უკანასკნელი და კოლორიტული წარმომადგენელია საიათნოვა. იგი არსებითად სამი ერის საერთო პოეტია, რომელიც თხზავდა და მღეროდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

XVII-XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთაგან კულტურულ ურთიერთობათა გაფართოების საქმეში გამორჩეული ადგილი უკავია ანთიმოზ ივერიელს (1650-1716), რომელმაც თავისი მოღვაწეობა რუმინული კულტურის აღორძინებას მიუძღვნა. მან ბუქარესტში დააარსა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები რუმინულ, ბერძნულ, არაბულ, ძველ სლავურ ენებზე. ანთიმოზ ივერიელმა ბუქარესტში ააგო მონასტერი, რომლის ორნამენტებში ქართული სტილი რუმინულთანაა შერწყმული. მისი ხელშეწყობით მისმა მოწაფეებმა სირიაში დააარსეს სტამბა. მისივე სახელს უკავშირდება სტამბის დაარსება საქართველოში. ვახტანგ VI-მ ვლახეთიდან მოიწვია ანთიმოზ ივერიელის ნამოწაფარი მიხაი იშტენაოვიჩი (უნგრეოვლახელი), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სტამბას და პირველი წიგნებიც თვითონ დაბეჭდა.

ფრიად ნაყოფიერი იყო ამ პერიოდის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობანი. ეს საკითხი ქართულ ლიტერატურათმცოდ-

ნეობაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ტრიფონ რუხაძის მითითებით, „აღორძინების ხანის ქართველი მწერლები... დიდად აფასებდნენ ძველსა და XVIII საუკუნის რუსულ ლიტერატურას. რუსულიდან ან რუსული თარგმანების მეშვეობით ქართველებს გადმოუღიათ იმ დროის ცნობილი თითქმის ყველა ჟანრის — საისტორიო, მხატვრული და სამეცნიერო-ტექნიკური ნაწარმოებები“ [(32), 6]. XIII საუკუნეში ქართული კოლონიების შექმნამ (მოსკოვში, ასტრახანში, პეტერბურგში, უკრაინაში) დიდად შეუწყო ხელი ამ კონტაქტების გაღრმავებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოსა და ქართველ ტომთა შესახებ პირველი წერილობითი ცნობები საბერძნეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში გვხვდება. არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპა საქართველოს პირველად სწორედ ბერძნული თქმულებებით, ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაწარმოებებით გაეცნო. მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ანგლო-საქსურ საგმირო ეპოსში „ბეოვულფი“ მოხსენებულია კავკასიური იარაღი, ხოლო XII-XIII საუკუნეების დასავლეთევროპულ მწერლობაში მეფე დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახეები გამოყვანილი. კავკასიით დაინტერესებაზე მეტყველებს ეშენბახის სარაინდო რომანები, ვოლკენშტაინის, შილდბერგერის ნაწარმოებები, იტალიელი მოგზაურის რამუზიოს ნაშრომი, ინგლისელი მოგზაურის პალკუტის შთაბეჭდილებები და სხვა.

უცხოეროვნული ლიტერატურიდან დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში შესული მასალა საქართველოსა თუ ქართველებზე, ქართული თემა, სხვადასხვა სახის ცნობები, ცალკეული პიროვნებები თუ მათი საგმირო საქმეები ცხადყოფს, რომ დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ადრე, შუა საუკუნეებიდანვე ღვივდებოდა ინტერესი საქართველოს მიმართ. ამ პერიოდში დასავლეთ ევროპას ქართულ კულტურასა და ლიტერატურასთან ფრაგმენტული, არასისტემატური ურთიერთობა ჰქონდა და ევროპაში გამოქვეყნებული ინფორმაციებიც, ემპირიული ან აღწერილობითი იყო. შეიძლება ითქვას ისიც, რომ ეს ცნობები არც ცალკეულ უზუსტობათაგან იყო დატული.

სავსებით სამართლიანად აღნიშნა ნატალია ორლოვსკაიამა რომ ევროპაში საქართველოს ცხოვრების გაცნობის ახალი ეტაპი XVII საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო [(65), 33], რამეთუ ამ დროიდან გაიზარდა მიმოსვლა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. უცხოელი ვაჭრები, მისიონერები, დიპლომატები, მოგზაურები ჩერდებოდნენ რა საქართველოში, თავიანთ ჩანაწერებში აღწერდნენ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, კულტურას, ზნე-ჩვეულებებსა და სხვ.

აღსანიშნავია პაოლო და ფენცას, პიეტრო დელა ვალეს, ჟან შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ნაშრომები. „მართალია, არც ეს „მოგზაურობანი“ და „ინფორმაციები“ არის მთლიანად თავისუფალი ევროპულ მწერლობაში საქართველოზე ადრე არსებული ცნობებისათვის დამახასიათებელი მითურ-ლეგენდური გადმოცემებისა და ეგზოტიკისაგან, მაგრამ იმ ძველი ცნობებისაგან განსხვავებით აქ ზღაპრულ-ეგზოტიკურის მიღმა მთავარი ყურადღება ექცევა კონკრეტულ-ფაქტიურ ვითარებას, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას, ხალხის ყოფაცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას. ზოგი მათგანი უაღრესად მნიშვნელოვან და სანდო ცნობას გვაწვდის ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენასა და პიროვნებაზე“ [(19), 151]. არაერთი უცხოეროვნული, კერძოდ კი ქართული თემატიკის შემცველი მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა XVII-XVIII საუკუნეებში. მათ შორისაა პროსპერ ჟოლიო დე კრებიონის „რადამისტი და ზენობია“, კარლო გოცის „ქალი-გველი“, კარლო გოლდონის „მომხიბლავი ქართველი ქალი“ და სხვ.

XVII საუკუნე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დასავლეთ ევროპაში ამ დროს გადაიდგა პირველი ნაბიჯები ქართული ენის, კულტურისა და ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. XVII საუკუნის 30-იან წლებში დაიბეჭდა ნიკიფორე ირბაქისა და პატრი სტეფანო პაოლინის მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ფრანცისკო მარია მაჯის „ქართული გრამატიკა“. მოგვიანებით გამოიცა ვიტზენის „პოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“ და სხვ.

3. ახალი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი უცხოეროვნულ ლიტერატურებთან

XIX საუკუნე ქართული ლიტერატურის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის ეპოქაა. როგორც ცნობილია, ამ საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ გაირკვა საქართველოს ახალი ისტორიული ორიენტაცია. რუსეთთან შეერთებით საქართველომ თავი დააღწია ფიზიკური განადგურების საშიშროებას, ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. ისტორიული ორიენტაციის შეცვლამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული ორიენტაციის შეცვლა და ქართულმა ლიტერატურამ გეზი რუსულსა და დასავლეთევროპულ ლიტერატურებზე აიღო. აღნიშნულ პერიოდში მკვეთრად გამოვლინდა ქართველ მწერალთა დიდი ინტერესი ევროპელი და რუსი მწერლების შემოქმედებისდმი, რაც მათი მხატვრული ნააზრევის აქტიურ შემოქმედებით

ათვისებაში გამოვლინდა. ეს იყო დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე მოვლენა, რამაც წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული მხატვრული სიტყვის, ქართული მწერლობის მთელ შემდგომ განვითარებას, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ კიდევ, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ რუსული და ევროპული ლიტერატურით დაინტერესება საქართველოში XIX საუკუნეზე გაცილებით ადრეც შეინიშნებოდა, მაგრამ შეზღუდული კონტაქტებისა და ინფორმაციის სიმცირის პირობებში ქართული ლიტერატურის კავშირები ევროპულსა და რუსულ ლიტერატურებთან სპონტანურ ხასიათს ატარებდა და თანმიმდევრული, მასშტაბური და პერმანენტული განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. ასე რომ, რომანტიზმის ეპოქამდე აღნიშნული ლიტერატურები ქართული სალიტერატურო ცხოვრებისათვის სრულ ყამირსა და უცხო სამყაროს არ წარმოადგენდა. პერმანენტული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება ახალ ნაყოფიერ ნიადაგს ელოდა. ამ უკანასკნელად კი საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში მომხდარი დიდი ისტორიულ-კულტურული ხასიათის ძვრები მოგვევლინა.

რუსულ და ევროპულ ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის შემაკავშირებელ რგოლს როგორც კონტაქტური, ასევე ტიპოლოგიური თვალსაზრისით ქართველ რომანტიკოსთა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ რაზმაძის, მიხეილ თუმანიშვილისა და სხვათა ცხოვრება და შემოქმედება წარმოადგენს.

ქართული ლიტერატურის ორიენტაციის შეცვლა, ალბათ, ყველაზე მკაფიოდ და ნათლად მხატვრულ თარგმანებში წარმოჩნდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თარგმანების დიდი უმრავლესობა მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე რუსი და ევროპელი მწერლების თხზულებების თარგმანებს წარმოადგენს. ქართველ რომანტიკოსთა თარგმანებზე მსჯელობისას გივი გაჩეჩილაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „თარგმანის სფერო ახალი ქართული ლიტერატურის ამ ორიენტაციას აშკარად აკავშირებს დასავლეთსა და ჩრდილოეთთან: ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ნაწარმოებთა შორის მხოლოდ ჩვენთვის უცნობი ერთი სპარსული, რუბაის მსგავსი, ოთხსტრიქონიანი ლექსი გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი თავის ორიგინალურ შემოქმედებაში აღმოსავლურ ფორმებს საკმაო ყურადღებას უთმობს, მისი თარგმანების მიხედვით, ფიქრობთ, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ დროის ლიტერატურის ორიენტაციის შეცვლაზე და წინა საუკუნეში დასახული ახალი ხაზის ორგანულ გაგრძელებაზე. ამის ყველაზე მკაფიო

დადასტურებას დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება წარმოადგენს“ [(3), 40].

ქართველ რომანტიკოსებს მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ეპოქაში მოუხდათ მოღვაწეობა. მათ წინაშე უდიდესი ეროვნული და სოციალური პრობლემები იდგა. ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა ყოველნაირად ზღუდავდა ეროვნულ კულტურასა და ლიტერატურას, რითაც პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეების პროტესტს იწვევდა. ასეთ შემთხვევაში კი თარგმანი, მიბაძვა, გადმოკეთება საუკეთესო იარაღად იქცა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა სიმართლის თქმა და მოწინავე იდეების ქადაგება, რაც პირდაპირი გზით, ე. ი. ორიგინალური მწერლობით ფრიად გაძნელდა. პუშკინის, ლერმონტოვის, ჰიუგოს, გოეთეს, ლაფონტენის, კორნელისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმნით ქართველმა რომანტიკოსებმა ადამიანის თავისუფლების პროგრესული იდეები შემოიტანეს მშობლიურ მწერლობაში.

ქართველი რომანტიკოსები თავისი ერის და ეპოქის ღვიძლი შვილები არიან. მათი თარგმანებიც ეპოქის მაჯისცემას ეხმაურება, ერის ინტერესების სამსახურშია და ღრმა სოციალურსა და პატრიოტულ ხასიათს ატარებს.

უცხოეროვნულ ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის დაკავშირების საქმეში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლიტერატურული სალონების როლი. მათგან დიდმნიშვნელოვანია ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა ორბელიანისა და რომან ბაგრატიონის სალონები, სადაც იკრიბებოდნენ როგორც ქართველი, ასევე რუსი და უცხოელი სტუმრები. აქ იკითხებოდა ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები, იმართებოდა სჯა-ბაასი სამშობლოს კულტურული აღორძინების თაობაზე.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი 20-იანი წლებიდან, საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთობას რუსული ლიტერატურის იმ სახელოვან წარმომადგენლებთან, რომელნიც საქართველოში ჩამოვიდნენ, როგორც მეფის მთავრობისაგან დევნილნი და ერთხანს აქ ცხოვრობდნენ — ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს სალიტერატურო წრეებთან ალექსანდრე გრიბოედოვს, რომელიც თბილისში მსახურობდა, ასევე, დეკაბრისტული მოძრაობის მრავალ გამოჩენილ მოღვაწეს (ოლოფესკი, ბესტუჟევი-მარლინსკი, კიუხელბეკერი და სხვ.), აქვე იყვნენ ჩამოსახლებული პროგრესულად მოაზროვნე პოლონელებიც. ამ გზით ქართველი მოღვაწენი კიდევ უფრო ფართოდ ეცნობოდნენ რუსეთისა და

დასავლეთ ევროპის კულტურას, ლიტერატურასა და რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს.

ასე რომ, ამ დროიდან ქართული კულტურისა და ლიტერატურისათვის ყველაზე დიდი და სასიცოცხლო ფუნქცია რუსულსა და ევროპულ ლიტერატურებთან კავშირურობებში შეიძინა. ჩვენს ეროვნულ კულტურაში ახალი ნაკადის შემოსვლასა და მის შესისლბორცებას გარკვეული დრო დასჭირდა. XIX საუკუნის II ნახევრისათვის კი ეს ტენდენცია უფრო გამოიკვეთა და ახლებური ჟღერადობა მიიღო.

ქართველი ერის ისტორიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც სოციალური მოვლენების, ასევე სულიერი კულტურის განვითარების თვალსაზრისით. სამოციანი წლების ქართველმა მოღვაწეებმა რუსეთში მიიღეს რა მსოფლმხედველობრივი წრთობა, მოწინავე აზრებით შეიარაღებულნი დაბრუნდნენ საქართველოში და რადიკალურ შეხედულებათა ცხოვრებაში გატარების საქმეს მოჰყიდეს ხელი. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ქართველ სამოციანელთა იდეური შთამაგონებლები იყვნენ. ამასთანავე, იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრი მჭიდრო კავშირში იყო დასავლეთ ევროპის კულტურასა და განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. სამოციანელთა მოწინავე თაობას, რომელიც ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძოდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ახალი დემოკრატიული აზრები შეჰქონდა. მათი მთელი მოღვაწეობა სახალხო იდეებით იყო გამსჭვალული. ასე რომ, საქართველოში გასული საუკუნის სამოციანი წლები ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ორგანული კავშირით ხასიათდება. ამ პერიოდში მატერიალისტურმა კონცეფციამ განსაზღვრული როლი შეასრულა ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში, რამაც მტკიცე თეორიული საფუძველი შეუქმნა ქართული კრიტიკული რეალიზმის ჩასახვასა და განვითარებას.

სამოციანი წლების კრიტიკული რეალიზმი, რომელმაც ღრმად და მრავალფეროვნად ასახა იმ დროის ეროვნული სინამდვილე, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უდიდესი მონაპოვარია. რადიკალური აზრები მხატვრულ ლიტერატურაშიც შეიჭრა. რეალისტური მეთოდის აუცილებლობა, რომლის გარეშე მწერლობის წინსვლა წარმოუდგენელი იყო, ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამაც დაასაბუთა. ამავე წლებში გადაწყდა ახალი სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების საკითხიც. ახალი აღმავლობა დაეტყო ლიტერატურულ ურთიერთობებსაც.

რუსეთის პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუშის შთამაგონე-

ბელი და გამზრდელი, მათი პოეტური სამშობლო, როგორც ბესარიონ ბელინსკი უწოდებდა საქართველოს, XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც რუს მწერალთა დიდი ინტერესის საგნად რჩებოდა. ამაზე მეტყველებს ლევ ტოლსტოის, ანტონ ჩეხოვის, ალექსანდრე ოსტროვსკისა და სხვათა შემოქმედება.

ქართული ლიტერატურის კონტაქტების გაღრმავებასა და გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი ჟურნალ-გაზეთების მომრავლებამ, რომელთა ფურცლებზეც ხშირად იბეჭდებოდა უცხოური ლიტერატურის ნიმუშები, სხვადასხვა ხასიათის წერილები — კრიტიკული მიმოხილვები, რეცენზიები, ქრონიკები, შენიშვნები, ცნობები ამა თუ იმ ქვეყნის სალიტერატურო ცხოვრების შესახებ. ამ პერიოდში უცხოური ლიტერატურის მთარგმნელებად ძირითადად ჩვენი სახელოვანი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები გვევლინებიან — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, ივანე კერესელიძე, იოსებ ბაქრაძე, კონსტანტინე ნიკოლაძე, ალექსანდრე ჭიჭინაძე, გიორგი ჩიქოვანი და სხვ. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ჩვენში რეგულარულად ითარგმნებოდა პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის ნაწარმოებები. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა გოეთესა და შილეს შემოქმედების ნიმუშების, ლესინგის პიესებისა და იგავების, ჰაინეს ლირიკის, ჰაუპტმანის დრამების, რიუკერტის ლექსების, გუტკოვის პიესის, ჰერდერის თხზულებათა, ძმები გრიმებისა და ჰოფმანის ზღაპრების, ცშოკეს ნაწარმოებთა, შექსპირის ლიტერატურული მემკვიდრეობის, ბაირონის პოეზიის, სკოტის, სვიფტის, დიკენსის, დეფოს, მურის, შელის, ჟორჟ სანდის ცალკეულ ნაწარმოებთა, მოლიერის კომედიების, ბერანეს ლექსების, ჰიუგოს რომანების, მიცკევიჩის სონეტების, სენეკევიჩის მოთხრობებისა და სხვათა ფრაგმენტული, ადაპტირებული თუ სრული ქართული თარგმანები. ამ თარგმანების ირგვლივ პრესაში ხშირად პოლემიკაც იმართებოდა. რეცენზენტები (ნიკო ნიკოლაძე, თეოფილე ხუსკივაძე, გიორგი წერეთელი, კიტა აბაშიძე, ანტონ ფურცელაძე და სხვ.) მიუთითებდნენ თარგმანთა ავკარგზე, გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს და ყურადსაღებ რჩევებს აძლევდნენ მთარგმნელებს. გარდა ამისა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სალიტერატურო კრიტიკა თითქმის ყოველთვის მართებულად, რეალისტური პოზიციებიდან აშუქებდა უცხოელ მწერალთა შემოქმედებას. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული წერილები. მან ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ქართველ მკითხველებს ინგლისური მწერლობა. გერმანული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედებას განიხილავდნენ რომანოზ ფანცხა-

ვა, არისტო ქუთათელაძე, გიორგი წერეთელი და სხვ. გიორგი წერეთელს ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში ფრანგული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. მისი წერილები ქართველ მკითხველს ერთგვარად უყვებდა ნათარგმნი ლიტერატურის სიმცირის გამო გამოწვეულ ხარვეზს. „გიორგი წერეთელი ევროპულ მწერლობასთან, ხელოვნებასთან გარკვეულ შემოქმედებით ურთიერთობაშია. ამ ურთიერთობის შედეგად ახლებურად გვესახება გიორგი წერეთელი, როგორც კრიტიკოსი, მთარგმნელი და სხვათა ნაშრომების შემფასებელი. მაგრამ ხშირად ეს სამი მომენტი მის მოღვაწეობაში ერთადაა წარმოდგენილი და კვალიფიცირებული, ლიტერატურისმცოდნის საღი თვალითაა მის მიერ დანახული ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამოსახული სინამდვილე“ [(42), 199].

ფრიად საყურადღებოა ალექსანდრე ცაგარელის ლიტერატურულ-კრიტიკული მიმოხილვა, რომელიც გაზეთ „დროების“ რამდენიმე ნომერში ქვეყნდებოდა [(39)]. ამ წერილში იგი ქართველ მწერალთა გვერდით ეხება ევროპული მწერლების შემოქმედებას და ტიპოლოგიურ ასპექტში განიხილავს მას.

XIX საუკუნეში დასავლეთევროპულ ლიტერატურასთან ქართული ლიტერატურის კონტაქტების გაღრმავებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ქართული ლიტერატურა კიდევ უფრო მჭიდროდ ჩაება მსოფლიო ლიტერატურულ ურთიერთობათა წრებრუნვაში, უფრო ახლოს გაიცნო და შეისისხლხორცა დასავლეთ ევროპის მოწინავე ლიტერატურის მრავალფეროვანი მხატვრულ-ესთეტიკური ტრადიციები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო წმინდა ინფორმაციული, არამედ ორიგინალური ეროვნული სწავლობის განვითარების თვალსაზრისითაც. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ-ევროპულმა ლიტერატურულმა ურთიერთობებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ამ დროიდან თავი იჩინა ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის ახალმა სწრაფვამ ევროპისაკენ, რასაც გარკვეულად ძველი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაშიც ჰქონდა ადგილი და დროებით შეწყდა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური კატასტროფის გამო.

აღნიშნული პერიოდის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობებს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა [(7), (18), (27), (30), (31), (34), (54)...]

ევროპაში საქართველოთი დაინტერესების, ქართველებთან კულტურული და მეცნიერული კონტაქტის, და საერთოდ, საქართველოს ცხოვრების გაცნობის ახალი ეტაპი თუ XVII საუკუნის დამდეგიდან იწყება, ამ თვალსაზრისით, XIX საუკუნე ხელახალი გარდატეხის პე-

რიოდან შეიძლება მივიჩნიოთ. „ევროპელთა ცოდნა საქართველოზე მნიშვნელოვნად ფართოვდება მეცხრამეტე საუკუნეში. ამ ცოდნის წყაროს ემპირიული აღწერილობის შემცველი ცნობების ნაცვლად წარმოადგენს შრომები, სადაც ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდომარეობის აღწერასთან ერთად, მისი ისტორიისა და კულტურის მეტ-ნაკლებად ღრმა ანალიზი და მეცნიერული განზოგადებაა მოცემული“ [(19), 152].

კალკე უნდა აღინიშნოს იმ უცხოელ ქართველოლოგთა ღვაწლი, რომლებმაც გარკვეული დრო დაჰყვეს საქართველოში, განავითარეს და გააღრმავეს ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები და მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს ქართული კულტურისა და ლიტერატურის მეცნიერულ კვლევას. მათ შორის არიან ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლად მიჩნეული მარი ბროსე, ქართველი ხალხის დიდი მეგობრები მარჯორი და ოლივერ უორდროპები, იულიამ რიჩარდ მორფილი, ბერტა და არტურ ზუტენერები, ფრიდრიხ ბოდენშტედტი, არტურ ლაისტი...

მარი ფელსიტი ბროსე (1802-1880) 1887 წელს რუსეთში მიიწვიეს და ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. მარი ბროსეს მეცნიერული ურთიერთობა აკავშირებდა თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომელიც იმ ხანად პეტერბურგში ცხოვრობდა. * ბროსემ 1847-48 წლები საქართველოში დაჰყო და მისთვის საინტერესო დოკუმენტური მასალა შეკრიბა. მან ფრანგულად თარგმნა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „ისტორიის“ გეოგრაფიული ნაწილი, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები. მარი ბროსეს კალამს ეკუთვნის ნარკვევები ქართული „სარაინდო რომანის“ თავისებურების, „ვეფხისტყაოსნის“, „რუსუდანიანის“ და სხვათა შესახებ. მან დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“.

მარი ბროსემ ასევე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ქართული ენის საკითხებზე. მისი მოღვაწეობით ახალი ეტაპი დაიწყო ევროპულ ქართველოლოგიაში [(5), (51)].

საყოველთაოდ ცნობილია მარჯორი და ოლივერ უორდროპების ღვაწლი ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში.

* ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეს თავისი კვალი დააჩნია თეიმურაზ ბატონიშვილმაც (1782—1846). იგი თარგმნიდა ტაციტუსის, ვოლტერის, პუშკინის ნაწარმოებებს. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ-ჩეხოსლოვაკური ლიტერატურული ურთიერთობების დამყარება, რაც მის მემუარული ეპიზოდის ნაწარმოებში „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ აისახა.

მათ არაერთხელ იმოგზაურეს საქართველოში, უშუალოდ გაეცნენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და თავიანთი შემოქმედების დიდი ნაწილი ჩვენს კულტურასა და ლიტერატურას უძღვნეს.

მარჯორი სკოტ უორდროპი (1869-1909) თერამეტი წლის მანძილზე თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და ეს თარგმანი კიდევ არ მიაჩნდა დასრულებულად. მის დასახვეწად იგი კვლავ აგრძელებდა მუშაობას. რუსთველის პოემის გარდა მან ინგლისურ ენაზე ააქლერა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და „მგზავრის წერილები“, წმინდა ნინოს ცხოვრება“. ჯონ ოლივერ უორდროპმა (1864-1948) კი გამოცა მარჯორის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ თავისი კომენტარებითა და წინასიტყვაობით. მანვე თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, „ვისრამიანი“, შეადგინა „ინგლისურ-სვანური“ ლექსიკონი, გამოაქვეყნა ნარკვევი „საქართველოს სამეფო“ და სხვ. მარჯორი და ოლივერ უორდროპები ქართული კულტურის დიდი მოამაგენი იყვნენ [(6), (38)].

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვნის უილიამ რიჩარდ მორფილს, რომელმაც 1888 წელს იმოგზაურა საქართველოში, გაიცნო ქართველი საზოგადო მოღვაწენი და გამოაქვეყნა არაერთი საინტერესო ნაშრომი ქართული ლიტერატურის, ენის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე [(73)...] მორფილის მოღვაწეობას ქართველოლოგიის დარგში შეეხო დევიდ მარშალ ლენგი [(72)], ნატალია ორლოვსკაია [(28)].

საქართველოში ცხოვრება საინტერესოდ აისახა ფრიდრიხ ბოდენშტედტის (1819-1892) შემოქმედებაში. იგი რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა მოსკოვში, ხოლო შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და ფრანგულ ენას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ თავისი შთაბეჭდილებები არაერთ წიგნში გამოაქვეყნა („ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“, „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთის წინააღმდეგ“, „მირზა შაფის სიმღერები“, „გურული ქალი თამარი“, „ჩემი ცხოვრებიდან“ და სხვ.). ბოდენშტედტის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებში მოთხრობილია ქართულ ყოფა-ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, კულტურასა და ლიტერატურაზე, საქართველოს ბუნების სილამაზეზე...

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ბოდენშტედტმა გერმანიაში გაიცნო არტურ ლაისტი (1852-1927). სწორედ ბოდენშტედტის რჩევით დაინტერესდა იგი საქართველოთი, შემდეგ ქართველი ხალხის უანგარო მეგობარი გახდა და ცხოვრების ნახევარზე მეტი აქ გაატარა. ილია ჭავჭავაძის მოწვევით არტურ ლაისტი პირველად 1884 წელს

ჩამოვიდა. ერთი წლის შემდეგ გერმანიაში დაიბეჭდა მოგონებები და ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მიმოხილვა. მოგვიანებით გამოიცა მის მიერ გერმანულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის უშუალო დახმარებით შესრულდა. 1892 წლიდან არტურ ლაისტი სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოში და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად იღვწოდა ჩვენი კულტურის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციისათვის გერმანიაში, ავსტრიაში და პოლონეთში. იგი ასევე აცნობდა ქართველ მკითხველს გერმანულ სალიტერატურო ცხოვრებას. გარდა ქართველოლოგიური მოღვაწეობისა, არტურ ლაისტი გარმანულ პრესაში ბეჭდავდა ორიგინალურ მოთხრობებსაც, რომლებშიც ქართული თემატიკა იყო წარმოჩენილი. მან 35 წელიწადს იცხოვრა თბილისში და დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურასა და ლიტერატურას [(74)].

ასევე მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს ლიტერატურულ ურთიერთობებს ავსტრიელმა ცოლ-ქმარმა ბერტა და არტურ ზუტენერებმა [(8)], რომლებზედაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

4. უახლესი ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი უცხოეთში

XIX საუკუნის გასულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიის მასშტაბით, ალბათ, ყველაზე უფრო რთული, მრავალწახნაგოვანი და მრავალმხრივია. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად იმის გახსენებაც კმარა, რომ აქ პერიოდში ჯერ კიდევ აგრძელებენ მოღვაწეობას ქართული კრიტიკული რეალიზმის კორიფეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ამავე დროს ქართულ მწერლობაში თავისებურ მიმართულებას ქმნიან ხალხოსნები (ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვ.), რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მწერლები (იროდონ ევდოშვილი, ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ჭოლა ლომთათიძე და სხვ.).

1905-07 წლების რევოლუციის დამარცხებამ და რეაქციის მძიმე პერიოდმა ქართველ შემოქმედთა ერთ ნაწილში უიმედობა, დაბნეულობა და სასოწარკვეთაც კი გამოიწვია. მათ შემოქმედებაში ფეხი მოიკიდა სიმბოლისტურმა განწყობილებამ. გაჩნდა სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებები. მათ შორის აღსანიშნავია „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური ასოციაცია“, „ფუტურისტ-ლექსები“, „არიფი-

ნი“ და სხვ. მოგვიანებით კი ქართულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმი ერთგვარად შეერწყა სიმბოლიზმს (გალაკტიონ ტაბიძე). აღსანიშნავია, რომ იმპრესიონიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე ჩამოყალიბდა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების სტილი, კონსტანტინე გამსახურდიას ადრეულ ლირიკასა და პირველ ნოველებში თავი იჩინა ექსპრესიონისტულმა მსოფლგანცდამ და ა. შ.

ასეთივე მრავალფეროვნებით ხასიათდება ამ პერიოდის ლიტერატურული ურთიერთობებიც. ეს სავესებით გასაგები მოვლენაა, რამდენადაც თითოეული მწერალი, ლიტერატურული სკოლა თუ მიმდინარეობა ცდილობს თავისი იდეურ-ესთეტიკური კრედოს შესატყვის და შესაფერის მწერალს, სკოლას თუ მიმდინარეობას მიმართოს. ამ შემთხვევაში მკვეთრად ვლინდება როგორც კონტაქტური ტიპის ურთიერთობები, ასევე ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავებანიც. სალიტერატურო ცხოვრების გამრავალფეროვნებასთან ერთად, გააქტიურდა მთარგმნელობითი საქმიანობაც. ამ პერიოდში ითარგმნება როგორც რუსული, ასევე ევროპული კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშები (პუშკინის, ლ. ტოლსტოის, დოსტოევსკის, გორკის, ჩეხოვის, შექსპირის, სერვანტესის, ბოკაჩოს, ბაირონის, დიკენსის, ჰიუგოს, სკოტის და სხვ. თხზულებები). ამის პარალელურად ითარგმნებოდა სიმბოლისტების (სტეფან მალარმეს, არტურ რემბოს, პოლ ვერლენის, ემილ ვერპარნის, ოსკარ უაილდის და სხვ.) ნაწარმოებები, ასევე ხალხოსნების და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მწერალთა თხზულებები.

როგორც ცნობილია, აღმოსავლური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ასევე საუკუნეებს ითვლის ქართული ლიტერატურის ურთიერთობა ბიზანტიურ ლიტერატურასთან. დასავლეთევროპული მწერლობის თარგმნა კი უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება. თარგმნილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში, როცა დასავლეთევროპული ლიტერატურის თარგმნა დაიწყო, რუსული ენა ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდა. შემდგომში დედნიდან შესრულებულ თარგმანებსაც ეხვდებით, მაგრამ ქართულად არსებული უზარმაზარი ნათარგმნი ლიტერატურის ფონზე ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. დასავლეთევროპული ლიტერატურის ორიგინალიდან თარგმნის ტენდენცია საბოლოოდ მხოლოდ XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. ეს მოვლენა კი უშუალოდაა დაკავშირებული ივანე მაჩაბლის სახელთან. აქ ორი მომენტი გასათვალისწინებელი — ა) ივანე მაჩაბელმა შექმნა მაღალმხატვრული თარგმანები, რომლითაც ახალი ეტაპი დაიწყო ქართული თარგმანის ისტორიაში, ბ) დასავლეთევროპული მწერლობის

ორიგინალიდან თარგმნის ტენდენცია ყველაზე მასშტაბურად ინგლისური ლიტერატურით დაიწყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ჩამოყალიბდა და განვითარდა ლიტერატურის სრულიად ახალი ტიპი — მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობა, რომელიც ფორმით ეროვნულია, შინაარსით სოციალისტური და სულით ინტერნაციონალისტური. მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობის სათავეებთან იდგნენ მ. გორკი, დ. ბედნი, ა. სერაფიმოვიჩი, ი. კუპალა, გ. ტაბიძე, ა. აკოფიანი და სხვები. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში სულ უფრო დაახლოვდნენ და ახალი თვისებები შეიძინეს საბჭოთა ეროვნულმა ლიტერატურებმა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებისთვისაც. ამ საქმეს დიდად შეუწყო ხელი 1934 წელს სსრკ მწერალთა კავშირის შექმნამ. სსრკ და მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირის შექმნით გადაიჭრა ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი: მოისპო მწერალთა მცირე და დაქსაქსული ცალკეული დაჯგუფებები და ასოციაციები, რომელთაც, როგორც წესი, თავიანთი იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, მისწრაფებები და მიდრეკილებები ჰქონდათ. ეს პერიოდი მეტად აქტიური და მრავალმხრივი კონტაქტების ჩამოყალიბებით ხასიათდება — მოძმე ხალხები ცდილობდნენ ჯერ გაიცნონ, შემდეგ კი შეითვისონ და შეისისხლხორცონ ერთმანეთის ლიტერატურა, მოძმე ლიტერატურების მიღწევათა გაცნობა-ათვისებით გაამდიდრონ თავიანთი იდეურ-მხატვრული დონე.

ქართული ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი კონტაქტების ჩასახვა მოძმე ხალხთა ლიტერატურებთან 20-იან წლებს განეკუთვნება. პერიოდს, როცა ახალ, რევოლუციურ გარდაქმნათა საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა ახალი ყაიდის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი.

ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის მოწინავე ტრადიციებზე აღმოცენებული ქართული საბჭოთა მწერლობისათვის, ბუნებრივია, სრულიად ორგანული იყო ხალხთა მეგობრობის თემა. ქართული ლიტერატურის რუსული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებთან და წარმატებებთან ზიარების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მ. გორკიმ და ვ. მაიაკოვსკიმ. მათ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან, ქართულ ლიტერატურასთან, კულტურასთან, ქართველ მოღვაწეებთან. მაიაკოვსკი საქართველოში, ბაღდადში, დაიბადა, გორკიც საქართველოში დაიბადა, როგორც მწერალი. 1882 წელს გაზეთმა „კავკაზმა“ გამოაქვეყნა რა „მაკარ ჩუდრა“, მთელ ქვეყანას ამ-

ცნო ახალი მწერლის დაბადება, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი გახდა.

ვ. მაიაკოვსკიმ კი ბავშვობიდანვე, გიმნაზიის წლებიდან შეისისხლხორცა საქართველოსა და ქართული ლიტერატურის სიყვარული, მის შემოქმედებაში ხშირად გამოჩნდება ხოლმე საქართველოს პოეტური სახე. ვ. მაიაკოვსკის ახლო, მეგობრული ურთიერთობანი ჰქონდა ტ. ტაბიძესთან, ს. ჩიქოვანთან და სხვებთან.

ასე რომ, ფართო შემოქმედებით ინტერესებთან ერთად მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის ინტერესი ქართული სინამდვილისადმი გარკვეულწილად მათმა ბიოგრაფიებმაც განსაზღვრა. აქვე უნდა დავასახელოთ საქართველოს მეგობარი რუსი მწერლები (ა. ბელი, ნ. ტიხონოვი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი, ო. მანდელშტამი, ბ. პასტერნაკი, ი. ერენბურგი, კ. პაუსტოვსკი და სხვები), რომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში საპატიო ადგილს იკერს ქართული სინამდვილე, ქართული კულტურა თუ ლიტერატურა, ყოფა თუ ტრადიციები.

20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოდის კ. პაუსტოვსკი. ამ სტუმრობის შემოქმედებით რეზულტატად გვევლინება მწერლის დაინტერესება საქართველოთი, რაც მის მიერ შექმნილ თხზულებებში წარმოჩნდა.

ქართული თემატიკა აუღერდა ს. ესენინის შემოქმედებაში, რომელიც 1924-25 წლებში საქართველოში ცხოვრობდა. დიდი რუსი მწერალი აქტიურად ჩაერთო საქართველოს სალიტერატურო ცხოვრებაში, რადგან იგი მეგობრობდა იმ მწერლებთან, რომლებიც იმ პერიოდში ერთგვარად განსაზღვრავდნენ ქართული ლიტერატურის განვითარებას (ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე და სხვები). რუსული საბჭოთა მწერლობა გაამდიდრა ა. ბელის, ბ. პასტერნაკის, ო. მანდელშტამის და სხვათა საქართველოსადმი მიძღვნილმა ნაწარმოებებმა.

სავსებით ბუნებრივია, რომ პირველი მასშტაბური კავშირ-ურთიერთობანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურას რუსულ საბჭოთა ლიტერატურასთან ჰქონდა, რადგან მოწინავე რუსული საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-მხატვრულ გამოცდილებას ეწაფებოდა და იზიარებდა სხვა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურები. თუმცა ამ პერიოდში საქართველოს სხვა რესპუბლიკების ლიტერატურასთანაც ჰქონდა მეტნაკლებად აქტიური კონტაქტები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში მოღვაწეობდა ცნობილი სომეხი მწერალი, სომხური პროლეტარული პოეზიის ფუძემდებელი აკოფ აკოფიანი, ასევე მკიდრო კავშირები ჰქონდა საქართველოსთან ჰოვანეს თუმანიანს, რომელიც უმღეროდა სომეხი და ქართველი ხალხის ისტორიუ-

ლად დამკვიდრებულ მეგობრობას. 1929 წელს დიდი წარმატებით ჩატარდა სომხური ლიტერატურის კვირეული საქართველოში და ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურების კვირეული სომხეთში.

20-იან წლებს ეკუთვნის საბჭოთა პერიოდის ქართულ-ბელორუსული, ქართულ-უკრაინული და ა. შ. ლიტერატურული ურთიერთობების დაწყებაც.

ლიტერატურულ ურთიერთობათა განსაკუთრებით დიდი აღმავლობით გამოირჩევა 30-იანი წლები. „საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში 30-იან წლებს სამართლიანად მიიჩნევენ გარდატეხის პერიოდად. ისინი სოციალური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ხასიათის ძირეული გარდაქმნით ხასიათდებიან“ [(21), 157]. ეს პერიოდი საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავება-გაძლიერების ხანაა, რომელმაც მოიცვა ლიტერატურული ურთიერთობების დღემდე ცნობილ ფორმათა უმრავლესობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 30-იანი წლების ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად გვესახება 1934 წელს გამართული საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო დამფუძნებელი ყრილობა. ამ ყრილობამ ერთმანეთს წარუდგინა და გააცნო მოძმე ლიტერატურები, მათი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. საკავშირო ასპარეზზე წარსდგა ქართული ლიტერატურაც — ერთ-ერთი უძველესი მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

30-იანი წლების სალიტერატურო ცხოვრების, კერძოდ, კი ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი გაშალა მ. გორკის ინიციატივით მოწყობილმა მწერალთა ბრიგადების გაცვლამ, რომელსაც უდიდესი ფუნქცია დაეკისრა. საბჭოთა მწერლებს ადგილზე უნდა შეესწავლათ მოძმე ხალხთა ცხოვრება და ისტორია, ლიტერატურა და კულტურა, შემოქმედებითი კონტაქტები უნდა დაემყარებინათ მოძმე ლიტერატურების წარმომადგენლებთან და მომავალში ორიგინალურ-ლიტერატურული თუ მთარგმნელობითი მოღვაწეობით ხელი შეეწყოთ ამ ლიტერატურათა შემოქმედებითი მიღწევების „გატანისა“ და პოპულარიზაციისათვის.

ყრილობის წინა პერიოდში შექმნილმა რუს მწერალთა ბრიგადამ ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, ვ. გოლცევის, ო. ფორშის, ი. ტინიანოვისა და პ. პავლენკოს შემადგენლობით აქტიური ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობით, ქართული სინამდვილისა და ლიტერატურის რეალისტური აღქმითა და ასახვით ახალი ტიპის ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებისათვის ერთგვარი მოდელი შექმნა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ 30-იან წლებში მწერალთა ბრიგადების გაცვლა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში დარჩა თა-

ვისი შემოქმედებითი რეზულტატებით. კულტურულ მიღწევათა გასაცნობად და გამოცდილების გასაზიარებლად 1932 წელს ბელორუსიაში ჩავიდა საბჭოთა მწერლების ინტერნაციონალისტური ბრიგადა, რომელმაც ერთობლივი ლიტერატურული საღამოები გამართა. 1933 წლის აპრილში იგივე მიზნით ბელორუსიას ესტუმრა ლატვიელ მწერალთა ბრიგადა, ივნისში კი — მოლდაველი ლიტერატორები, 1933 წლის შემოდგომაზე ბელორუსიაში გაემგზავრნენ ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჭავჭავაძე და შალვა დადიანი.

ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ სკპ(ბ) ცკ-ის 1932 წლის აპრილის დადგენილების შემდეგ საბჭოთა ხალხების ლიტერატურულმა ურთიერთობებმა უფრო ფართო და მიზანდასახული ხასიათი მიიღო. საბჭოთა ლიტერატურები შიგარეგონალური კავშირების ვიწრო ჩარჩოებიდან საკავშირო ასპარეზზე გამოვიდნენ და სსრკ ხალხთა ლიტერატურების კონსოლიდაციის საერთო პროცესს შეერწყნენ. 30-იანი წლების II ნახევრიდან თვისობრივი ცვლილებები ხდება ლიტერატურულ ურთიერთობათა მექანიზმშიც — სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურების ურთიერთგაცნობა ფართო შემოქმედებით ურთიერთკავშირებსა და ურთიერთშემოქმედებაში გადაიზარდა. 30-იანი წლების აქტიური სალიტერატურო ცხოვრების გამოძახილია ქართველ და ბელორუს მწერალთა ბრიგადების გაცვლა. 1935 წელს ბელორუსიაში ჩავიდნენ კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ი. მოსაშვილი, ალ. ქუთათელი, ბ. ბუაჩიძე, ხოლო საქართველოში ჩამოვიდნენ მ. ხვედოროვიჩი, ე. სამუილიონოკი, ბ. მიკულიჩი, ე. კოლსკი, ე. კოვალსკი.

ამ შემოქმედებითი ღონისძიების შედეგად შეიქმნა მრავალფეროვანი მხატვრული ნაწარმოებები და ნარკვევები, რომლებშიც რეალისტურად აისახა მოძმე ხალხის ცხოვრების აქტუალური საკითხები. ამ ნაწარმოებებს შორის იყო უმნიშვნელოვანესი თხზულებები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს როგორც უცხოეროვნული თემატიკის დამუშავების, ასევე მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეში. მათ შორის უნდა დავასახელოთ კ. ლორთქიფანიძის „ბელორუსული მოთხრობები“, ე. სამუილიონოკის რომანი „მომავალი“ და სხვა ნაწარმოებები.

30-იან წლებს ეკუთვნის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ახალი ნაკადიც. 1931 წელს გაიცნეს ქართველმა მწერლებმა მიკოლა ბაჟანი, რომელიც შემდეგ მათი და მთელი ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურის დიდ მეგობრად და მოჭირანხულებდ მოგვევლინა. მიკოლა ბაჟანმა საფუძველი ჩაუყარა ქართული და უკრაინული საბჭოთა ლიტერატურების ფართო შემოქმედებით თანამ-

შრომლობას, ქართული ლიტერატურის ძეგლების მაღალმხატვრული თარგმნის ტრადიციას უკრაინაში, რომელსაც წარმატებით აგრძელებენ უკრაინელი ლიტერატორები. ქართული ლიტერატურის დიდ ქომავალს მიკოლა ბაჟანს 1966 წელს შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

კიდევ უფრო გაფართოვდა ტრადიციული ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობები. რუსული, ბელორუსული, უკრაინული, სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურების გვერდით ქართული ლიტერატურა ეცნობა და შემოქმედებითად უკავშირდება სხვა მოძმე რესპუბლიკებსაც, რასაც დიდად შეუწყო ხელი 1931 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანოს „სალიტერატურო გაზეთის“ დაარსებამაც, რომელიც თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა მოძმე ხალხთა ლიტერატურებს.

30-იანი წლები ლიტერატურული კონტაქტების გაღრმავება-გაფართოების თვალსაზრისით ფრიალ საინტერესო პერიოდია. იგი მრავალი საინტერესო ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მოვლენით აღინიშნა. თუმცა, ძნელია 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის კავშირ-ურთიერთობების წარმოდგენა, თუ არ გავითვალისწინებთ 1937 წელს მოსკოვში ტრიუმფით ჩატარებულ ქართული ხელოვნების დეკადას, რუსთველის 750 წლისთავის, ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავის იუბილეებს, რომელთაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდათ საკავშირო მასშტაბით.

20—30-იანი წლები ასევე გარდატეხის პერიოდია ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაშიც. საქართველოში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებები დასავლეთის პროგრესულ მწერალთა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამაზე ნათლად მეტყველებს ანრი ბარბიუსის წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს“, რომელშიც ობიექტურადაა დანახული საბჭოთა საქართველოს წინსვლა და მისი წარმატებები, ლუი არაგონის „ბაზელის ზარები“, სადაც ქართველი ქალის იდეური ფორმირების სურათია ნაჩვენები. ამავე პერიოდს, კერძოდ, კი 1935-37 წწ. ეკუთვნის პროფესორ ალენის მიერ „გეოგრაფიის“ სამ ტომად გამოცემა. ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების განვითარებაში. უნივერსიტეტი იმთავითვე იქცა ქართველოლოგიური კვლევის ძირითად ცენტრად, აქვე წარმოებდა საზღვარგარეთის ქვეყნების ენებისა და ლიტერატურის და მათთან ქართული ლიტერატურის მიმართებების მეცნიერული შესწავლა. თბილისის

უნივერსიტეტში ბერძნულ ენასა და ბიზანტიის ისტორიაში ლექციებს კითხულობდა შემდგომში პარეარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნიკო მარის მოწაფე რობერტ ზლეიკი, რომელიც ფართო ქართველოლოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

ამ პერიოდში ქართული ლიტერატურა ეცნობა და თარგმნის საზღვარგარეთული ლიტერატურის ნიმუშებსაც. ოციანი წლების მიწურულიდან გაიზარდა მხატვრულ თარგმანთა რიცხვი. აღსანიშნავია კ. გამსახურდიას, ე. ტატიშვილის, კ. ჭიჭინაძის, ქ. ირემაძის, გ. ქიქოძის, თ. სახოკიას, ა. ჭუმბაძის და სხვათა მიერ შესრულებული სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებთა თარგმანები. ამ პერიოდის მთარგმნელობითი სკოლისათვის ნიშანდობლივი იყო ორიგინალიდან თარგმნისადმი მისწრაფება.

40-იანი წლების დასაწყისი ახალი მოვლენებით აღინიშნა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. საბჭოთა ლიტერატურების ოჯახს შემოემატა ბალტიისპირეთის: ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის ლიტერატურები. აღსანიშნავია, რომ ისინი სწრაფად ჩაერთვნენ საბჭოთა ლიტერატურების მრავალმხრივი ურთიერთობების საერთო ჯაჭვში.

ესტონეთის პრესის ფურცლებზე 1940 წლიდან გამოჩნდა ქართული სინამდვილის ამსახველი მასალები, მაგალითად, ახალგაზსნილი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის „ვიისნურკის“ ერთი ნომერი მთლიანად საქართველოს დაეთმო, ამავე პერიოდში ითარგმნა ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრები, დავით გურამიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ნიმუშები, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანისა და სხვათა ლექსები. 1940-41 წლებში ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტვური ჟურნალი „რამუთი“, ლიტველი მწერლები პ. ცვირკა, ა. ვენცლოვა, ა. ვენუოლის-ჟუჟაუსკასი და სხვები. მიზანდასახული და კანონზომიერი ხასიათი მიიღო ქართულ-ლატვიურმა ლიტერატურულმა ურთიერთობებმაც. საგულისხმოა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის საქართველო და საქართველოსათვის ლიტვა, ლატვია და ესტონეთი არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იყო სრულიად უცხო და უცნობი ფენომენი.

სამაჟულო ომმა და მისმა მოვლენებმა გასაგები მიზეზების გამო შეაზრკოლა ლიტერატურულ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება. მხედველობაში გვაქვს ძირითადად ლიტერატურულ ურთიერთობათა ისეთი ფორმები, როგორიცაა მხატვრული თარგმანი, მწერალთა ბრიგადების გაცვლა, ლიტერატურის დღეებისა და დეკადების მოწყობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა მთლიანად არ ჩამკვდარა, ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებები მაინც ითარ-

გმნებოდა. ცნობილია, მაგალითად, რომ 1941 წელს ალყაშემორტყმულ ლენინგრადში გადაწყდა გიორგი ლეონიძის ლექსთა ნიკოლოზ ტიხონოვისეული თარგმანების კრებულის გამოცემა. წიგნის ბეჭდვა თითქმის დაბთავრებული იყო, როცა სტამბას ბომბი დაეცა და დაინგრა. თითქმის მთელი ტირაჟი განადგურდა, ისტორიამ ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი ნ. ტიხონოვის ფრიად საგულისხმო ავტოგრაფით შემოგვინახა: «Моему дорогому другу, милому Гогла Леоидзе, прекраснейшему поэту Грузии и нашего времени — мой перевод его изумительной книги, подписанной к печати в дни штурма Ленинграда, в дни, когда перевод мой был погребен под издательством «Советский писатель», превращенным в руины. И все-таки этот перевод вышел, торжествуя над бомбами и штурмами, как свидетельство истинной поэзии. Этой книги считанные экземпляры, но они читались в окопах Ленинградского фронта, — а это уже настоящая поэтическая история. Таким образом, ты даже не подозревал, что ты оборонял Ленинград в те дни» [(49), 69].

დიდი სამამულო ომის ამსახველმა ნაწარმოებებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ლიტერატურა „ფიქრობს“ ომზე და ეს ფიქრები აისახება ომისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების მძლავრ ნაკადში. ლიტერატურასთან ერთად სამამულო ომზე „ფიქრობს“ ლიტერატურათმცოდნეობა და სალიტერატურო კრიტიკა. ისინი აანალიზებენ ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, გამოკვეთავენ მათ იდეურ-მხატვრულ, სტილისტურ თუ ჟანრობრივ თავისებურებებს.

საბჭოთა მწერლები ომის პირველი დღეებიდანვე დაილაშქრნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ისინი ქმნიდნენ ნაწარმოებებს, რომლებიც აღაფრთოვანებდა ფრონტის წინა ხაზზე მყოფ მებრძოლებსა თუ ზურგში დარჩენილ მშრომელებს, ფაშიზმის მიმართ ზიზღსა და გამარჯვების რწმენას: უნერგავდა მათ. სამამულო ომმა და მისმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააღრმავა საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი. ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი უშუალოდ მონაწილეობდა მტრის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ომის დაწყებისთანავე ორმოცი ქართველი საბჭოთა მწერალი გაემგზავრა ფრონტზე, მათ შორის 20-ზე მეტი ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, დანარჩენები კი ძირითადად ფრონტული გაზეთების კორესპონდენტები იყვნენ. დიდმა სამამულო ომმა ბევრი ქართველი ნიჭიერი შემოქმედი, ნამდვილი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი მწერალი იმსხვერპლა — მ. გელოვანი, გ. ნაფეტვარიძე, ს. ისიანი და სხვები.

დიდი სამამულო ომის პერიოდის ქართული ლიტერატურა, ქართული საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე ნაწილია, რომელიც დახვეწილი მხატვრული ფორმით ამკვიდრებდა მაღალ ჰუმანიზმს, ნათელ პატრიო-

ტიზმს, მებრძოლ ოპტიმიზმს. ქართველ მწერლებს აფიქრებდა დიდი სამამულო ომის მოვლენები, ადამიანთა ბედი ამ ომში. ისინი საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების იდეებს ქადაგებდნენ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შ. დადიანის, კ. ლორთქიფანიძის, გ. მდივნის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის და სხვათა ნაწარმოებები.

ომისშემდგომ პერიოდშიც ქართველი მწერლები ხშირად უბრუნდებიან ომის მოვლენებს და საბჭოთა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის საინტერესო სურათებს ქმნიან.

1942 წელს, როდესაც ფაშისტური გერმანიის ჯარები კავკასიის მისადგომებთან აღმოჩნდა, არა მარტო მთელი საბჭოთა ხალხი, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურაც დაილაშქრა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ცნობილი ბელორუსი მწერლის პეტრუს ბროვკას შემოქმედებაში რუსოველის სახე დიდი სამამულო ომის წლებში გამოჩნდა. სწორედ 1942 წელს კავკასიის დამცველთა მხარდასაჭერად მან დაწერა ლექსი „კავკასია“, რომელშიც გამოთქვა რწმენა, რომ კავკასიის გმირი ხალხები „სასუფციის, რუსთაველისა და ნიჟამის შვილები“ მედგრად დაუხვდებიან მტერს. მგოსანი გამოყოფს კავკასიის ხალხთა იმ თვისებებს, რომლებიც განსაკუთრებით მეღავნდება მაშინ, როცა სამშობლოს დაცვა ესაჭიროება. პ. ბროვკა ყურადღებას ამახვილებს მოყვრისადმი მოყვრულად და მტრისადმი მტრულად დახვედრის საუკუნეების მანძილზე განმტკიცებულ ტრადიციაზე. პ. ბროვკა ერთხელ კიდევ შეახსენებს ყველას, რომ კავკასიის ხალხებს არ სჩვევიათ მტრისთვის ქედის მოხრა. მას მამაც ხევსურთა მაგალითიც მოჰყავს, რომლებიც არასოდეს დამონებიან მომხედვრთ. პოეტი გამოთქვამს რწმენას, რომ არც ახლა დაუქანგდებათ ხევსურებს იარაღი.

სამამულო ომის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, კავკასიის დაცვას ყირგიზი პოეტი თ. უმეტალიევიც გამოეხმაურა, რომელიც თვითონაც კავკასიის დამცველთა რიგებში იყო. 1942 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „მისმინე, კავკასია“ იგივე მოვლენებს ეხება ყაზახი მწერალი ბ. ბულკიშევი, საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის დაცვა მრავალი საბჭოთა ავტორის შემოქმედებაში აისახა.

ომის შემდეგ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენის გვერდით საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ქვეყნის კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და ფართოდ გაშლის ურთულესი ამოცანებიც იდგა. გაჩნდა ახალი ჟურნალ-გაზეთები. 1944 წლიდან განახლდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოცემა, რომელიც აქტიურად ჩადგა ლიტერატურულ ურთიერთობათა სამსახურში. გაიხსნა თბილისის უცხოენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა საქართველოში უცხოური ენებისა და ლიტერატურის მცო-

დნე სპეციალისტების მომზადებაში. მათ დიდად შეუწყვეს ხელი ქართული მთარგმნელობითი სკოლის შემდგომ დახვეწას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წინაშე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დაისახა მხატვრული ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება, ბრძოლა მშვიდობისათვის, პატრიოტული სულისკვეთების ქადაგება, ბრძოლა მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ქართველი მწერლები ამ პერიოდშიც აქტიურად არიან ჩართულნი მოძმე ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობებში, თავიანთი შემოქმედებით ისინი ხალხთა შორის მეგობრობასა და სოლიდარობას ქადაგებენ. ხალხთა მეგობრობის დიდ მომღერლებს .ი. გრიშაშვილს, გ. ლეონიძეს, ს. ჩიქოვანს, გრ. აბაშიძეს, ი. მოსაშვილს სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ. მშვიდობიანმა ცხოვრებამ ქართველ ლიტერატორებს კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის ფართო ასპარეზი მისცა. გაიშალა აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა — ითარგმნა მოძმე ხალხთა ლიტერატურების საუკეთესო ნიმუშები, აგრეთვე უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები. ლიტერატურული ურთიერთობები თანდათან გამოცოცხლდა და გამრავალფეროვანდა, მშვიდობიან ცხოვრებას მონატრებული საბჭოთა ხალხი, ბუნებრივია, დაეწაფა ერთმანეთის სულიერ სინამდვილეთა ათვისებას. თუმცა ომისშემდგომი პერიოდის სიძნელებები არ იძლეოდა ფართო და ყოველმხრივი ლიტერატურული ურთიერთობების გაშლის საშუალებას, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურული კონტაქტების არაერთი ფორმა აღორძინებისა და შემდგომი განვითარების გზას დაადგა. 1945 წელს ფართოდ აღინიშნა დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილე, ლიტვაში გამოქვეყნდა ანტანას ვენცლოვას ლექსების ციკლი საქართველოზე, პ. ცვირკას ნარკვევების კრებული „საქართველოს გული“, ი. აბაშიძემ იმოგზაურა უზბეკეთში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა უზბეკეთისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში... ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.

ომისშემდგომი პერიოდის საქართველოს აქტიური სალიტერატურო ცხოვრების, კერძოდ, კი ლიტერატურულ ურთიერთობათა გაფართოების ნათელი დადასტურება იყო ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადები როგორც რეგიონალური, ასევე საკავშირო მასშტაბით. თბილისში გაიმართა აფხაზური, ოსური, აჭარული ლიტერატურების დეკადები, ხოლო მოსკოვში 1937 წლიდან ორი ათეული წლის შემდეგ, 1957 წელს, პირველად ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელმაც საკავშირო ასპარეზზე გაიტანა ამ

პერიოდის ქართული ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობისა და ა. შ. მიღწევები და წარმატებები.

ახალი, მანამდე არნახული აღმავლობით ვითარდება მოძმე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობები 60-იანი წლებიდან.

მოძმე ლიტერატურათა კონტაქტების კვლევა თვალნათლივ ადასტურებს, რომ საბჭოთა საზოგადოების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი პერიოდები ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთ-ზემოქმედების ხასიათსაც განსაზღვრავს. ყოველი ეტაპი მრავალეროვნული ლიტერატურის წინაშე თავის ამოცანას აყენებს. ასე მაგალითად, თუ 20-30-იანი წლები მოძმე ერების ლიტერატურათა თანდათანობით გაცნობისა და ფართოდ ურთიერთშელწევისათვის საფუძვლების მომზადების წლები იყო, თანამედროვე ეტაპზე იმდენად განვითარდა მოძმე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობები, რომ ეროვნული ლიტერატურული პროცესების მნიშვნელოვან ფაქტად მოგვევლინა. ქართული ლიტერატურა ინტენსიურად იჭრება მოძმე ერების ინტელექტუალურ თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში და, პირიქით, მოძმე ხალხთა ლიტერატურა — ქართველთა ინტელექტუალურსა და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

60-80-იან წლებში რამდენადმე იცვლება ლიტერატურულ ურთიერთობათა ხასიათიც. სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა, მშრომელთა კეთილდღეობის გამუდმებული ზრდა, მათი ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის, ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, ეროვნულ კულტურათა გაფურჩქვნა ახალ სტიმულს ქმნის მოძმე ხალხების ლიტერატურული კავშირების გასაფართოებლად და გასაღრმავებლად.

მოძმე ლიტერატურებთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ამჟამინდელი ურთიერთობებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები:

— თანამშრომლობის მოცულობის გადიდება, ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმების გამრავალფეროვნება, როგორც საბჭოთა ლიტერატურების მაღალი აქტივობის შედეგი.

— მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ორიგინალიდან შესრულებული თარგმანების რიცხვის ზრდა, რაც, ცხადია, ურთიერთობის უფრო მაღალი დონის მაჩვენებელია.

— მხატვრულ ფასეულობათა გაცვლაში გამუდმებითაა ჩართული ქართული და მოძმე ლიტერატურების უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

— გაფართოვდა ქართული ლიტერატურის მოძმე ლიტერატურებ-

თან ურთიერთობების მეცნიერული შესწავლა, რომელიც მოწოდებულია წარმოაჩინოს ამ ურთიერთობათა ისტორიული განვითარება და დღევანდელი მდგომარეობა. ასეთ კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს: იგი ნათლად გამოკვეთავს ამ ურთიერთობათა შუქ-ჩრდილებს და, ამდენად, კვლევის შედეგები ლიტერატურულ ურთიერთობათა პრაქტიკაშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების პროცესის განვითარების ინტენსიურმა ზრდამ მოძმე ხალხთა ლიტერატურული თანამშრომლობა უფრო სრულყოფილ ფორმებამდე მიიყვანა. ეს პრინციპები და ნიშნები განსაზღვრავენ თანამედროვე ლიტერატურული ურთიერთობების მდგომარეობას, რასაც დამატებით შინაარსს მატებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების ინტერნაციონალური წესი, მათი მიზნების ერთიანობა და ერთობლივი ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ლიტერატურულ პროცესებში ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე ნათლად და თანმიმდევრულად გამოჩნდა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, ძირითადი კანონზომიერებანი და ტენდენციები, სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური თავისებურებანი, ჭეშმარიტი სიმართლე, ცხოველმყოფელი ჰუმანიზმი, პარტიულობა და ხალხურობა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძირითადი თავისებურებების ღრმად გააზრება და ნათლად განზოგადება წარმოუდგენელია მოძმე ლიტერატურების შემოქმედებითი კავშირ-ურთიერთობების გათვალისწინების გარეშე.

მ. სრაჰჩენკოს მითითებით: «Необходимым условием и постоянным источником взаимобогащения социалистических художественных культур является непрерывное взаимное ознакомление деятелей литературы и искусства, читателей, зрителей, слушателей каждой из социалистических стран с творческими достижениями других республик и народов. На нынешнем этапе культурного строительства это взаимное ознакомление протекает с большой интенсивностью, и происходит оно в самых различных формах» [(69), 27]. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ლიტერატურული ინფორმაციის არხების შეუდარებელ ზრდასთან დაკავშირებით დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურული ურთიერთობების ფორმები, მათი განხორციელების გზები და საშუალებები. მოძმე რესპუბლიკების სულიერ სიმდიდრეთა გაცვლის, ლიტერატურათა ურთიერთდაახლოების, ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთშემოქმედების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცალკეულ რესპუბლი-

კებში გამართული მოძმე რესპუბლიკათა კულტურისა და ლიტერატურის დღეები; მწერალთა კავშირების ერთობლივი ღონისძიებანი; განუზომლად დიდია რადიოსა და ტელევიზიის დამსახურებაც, რომელთა პროგრამებში სისტემატურად ხდება მოძმე ხალხების სალიტერატურო ცხოვრების გაშუქება, რაც აქტიურად უწყობს ხელს ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა საუკეთესო მონაპოვრების ათვისებას. ლიტერატურულ ურთიერთობათა საქმეში დიდია იმ ეროვნული თეატრების ღვაწლიც, რომლებიც თავის სცენაზე დგამენ მოძმე ლიტერატორთა დრამატულ ნაწარმოებებს და ამით პოპულარიზაციას უწევენ მათ; ამავე დროს მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოგვიდგება თეატრთა გასტროლებიც, როგორც ეროვნული დრამატურგიის სხვა რესპუბლიკაში „გატანის“ საუკეთესო საშუალება. ამავე ასპექტით საინტერესოა კინემატოგრაფიაც და ა. შ.

აქვე გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტზეც. ესაა რუსული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთშემოქმედების საქმეში. „რუსული ენა გვევლინება ინტერნაციონალური ერთიანობის, ეროვნებათა შორის კავშირ-ურთიერთობების ენად. საკავშრო ლიტერატურის უშესანიშნავეს მიღწევათა პროპაგანდის ეფექტურ საშუალებად“ [(22), 176].

მოძმე ერის ლიტერატურის შესახებ რომელიმე ეროვნულ ენაზე შექმნილი მეცნიერულ-კრიტიკული ხასიათის ლიტერატურა თუ მხატვრული თარგმანები ხშირ შემთხვევაში არ იძლევა სრულყოფილ სურათს, ვერ უჩვენებს, რამდენად იცნობს ესაა თუ ის ეროვნული სამყარო მოძმე ლიტერატურას. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ რუსული ენა, მისი შესაძლებლობანი და უპირველესად კი ას, რომ რუსულ ენაზე თარგმნილია მოძმე ხალხთა თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ქმნილება, რუსულ ენაზე არსებობს მდიდარი და მრავალფეროვანი გამოკვლევები მოძმე ხალხთა ეროვნულ ლიტერატურულ პროცესებზე და, ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი ხალხის მიერ მეორის ლიტერატურის გაცნობა-ათვისებაზე მსჯელობა რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურასთან მისი გაცნობის შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე.

თანამედროვე ლიტერატურული ურთიერთობანი ზემოჩამოთვლილი გველა არხის საშუალებით ხორციელდება. ურთიერთობათა ყველა დასახელებული ფორმა საინტერესო და ღირებულია.

სამოციანი წლებიდან მოყოლებული არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნა საბჭოთა ხალხების ლიტერატურულ ურთიერთობებში, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ურთიერთობებში მოძმე ხალხების ლიტერატურებთან. სიმრავლის გამო ყველა მათგანის ჩამოთვლა კი შეუძლებელია და, ვინაიდან ჩვენ უკვე ვიმსჯელებთ თანამედ-

როვე ეტაპის ლიტერატურული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, ნიშან-თვისებასა და მათი განვითარების გზებზე, აქ ამ ურთიერთობათა გამოვლენის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე 1961 წელს, საკავშირო მასშტაბით აღინიშნა, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილე — 1966 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილე — 1968 წელს, გორკის დაბადების 100 წლისთავი — 1968 წელს, „შუშანიკის წამების“ შექმნის 1500 წლისთავის იუბილე — 1978 წელს, დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში გამართული სსრკ ხალხთა პოეზიისა (1972 წ.) თუ საბჭოთა ლიტერატურის (1974 წ.) დღეები, ასევე, თბილისში სხვადასხვა წლებში გამართული რუსული, უკრაინული, ესტონური და სხვა ხალხთა პოეზიის დღეები. 1964 წელს საქართველოში წარმატებით ჩატარდა უკრაინული ლიტერატურის დეკადა, 1969 წელს კი ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში, რომლის დროსაც მირგოროდში უკრაინელმა ხალხმა ძეგლი აუგო დავით გურამიშვილს. ქართულ თემატიკაზე შეიქმნა ბელა ახმადულინას, ევგენი ევტუშენკოს, ვიტალი კოროტიჩის, მაქსიმ ტანკის, პეტრუს ბროცკასა და სხვათა ნაწარმოებები.

საქართველოში შეიქმნა ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლისა და პროპაგანდის მთელი კერები. მათ შორის უნდა დავასახელოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სსრკ ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა და საზღვარგარეთის ხალხებთან ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრკ ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, მწერალთა კავშირთან ჩამოყალიბდა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია და ა. შ.

თანამედროვე ეტაპზე ამ პრობლემების გამოკვლევას არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი და პრაქტიკული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ლიტერატურული ურთიერთობანი, წარმოადგენს რა საბჭოთა ხალხთა ძმობისა და ურდვევი მეგობრობის მნიშვნელოვან ფაქტს, შესაფერის პასუხს აძლევს საბჭოთა ხალხების ეროვნულ ლიტერატურათა „დენაციონალიზაციის“ მოქადაგე ბურჟუაზიულ „სოვეტოლომებს“, რომლებიც უარყოფენ ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის თავისუფალი ლიტერატურული თანამშრომლობის არსებობას.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების დამახასია-

თებელი ნიშანი თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურულ ურთიერთობათა და ეროვნულ ლიტერატურათა ორგანული ერთიანობის განმტკიცებაა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემოქმედებით კონტაქტებზე საუბარი სრულყოფილი არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, რომლებსაც ახალი აღმავლობა დაეტყო ომის შემდგომ პერიოდში. ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი დღითიდღე უფრო იზრდება, ამაზე მეტყველებს ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ, რუმინულ, უნგრულ, ბულგარულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებული ცალკეულ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები, ქართული პოეზიისა თუ პროზის ანთოლოგიები, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები, რომლებიც დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყნის ენაზეა დასტამბული. თავის მხრივ საქართველოშიც მრავალმხრივი მთარგმნელობითი საქმიანობაა გაშლილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურების კლასიკური თუ უახლესი მწერლობის (პრუსის, ფუჩიკის, ჩაპეკის, ჰაშეკის, ჰოფმაისტერის, მიცკევიჩის, პეტეფის, ზალკას, ბრეხტის, რემარკის, კაფკას, ჰესეს, თომას მანის, ფოიხტანგერის, ეგზიუპერის, კამიუს, ლორკას, ჰემინგუეის, სელინ-ჭერის, მოემის, გოლსუორთის, ჯოისის, ელიოტის, მარკესის, ლი ბოს, თავორისა და სხვ.) ქართულ ენაზე გადმოსაღებად. ომისშემდგომ პერიოდში საზღვარგარეთ ფართო ქართველოლოგიური კვლევა-ძიება გაიშალა. ამ საქმეს ფასდაუდებელი ამაგი დასდო მრავალმა უცხოელმა მეცნიერმა. მათ შორის უნდა დავასახელოთ: დევიდ მარშალ ლენგი, ბერნარ უტიე, გერტრუდა პეჩი, ჰანს ფოგტი, კარლ ჰორსტ შმიდტი, იულიუს ასფალგი, ფრანსუა გრაფენი, ჰაინც ფენრიხი, ქეთრინ ვივიენი, ელის პარისი, ვინფრიდ ბოედერი, ნევილ ბერდოზოლი, იოლანდა მარშევი, პაულ პეტერსი, რუთ ნოიკომი, ლეა ფლური, შტეფი ხოტივარი-იუნგერი, იან ბრაუნი, შაბიერ კინტანა, მიშელ ესბროკი და სხვ.

თანამედროვე ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობები მრავალი ფორმით ხორციელდება. ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეული ფაქტების მოძებნას, მათ შესწავლას, განზოგადებას, ლიტერატურული კონტაქტების როლის წარმოჩენას ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქართველი საბჭოთა მეცნიერები ინტენსიურად იკვლევენ როგორც ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის, ასევე თეორიის საკითხებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ა. ალექსიძის, ი. ბოგომოლოვის, ო. ბაქანიძის, გ. ბუაჩიძის, თ. ბუაჩი-

ძის, გ. გაჩეჩილაძის, ა. გვახარიას, გ. გვენეტაძის, რ. გორდეზიანის, შ. თოდუას, ც. თოფურიძის, დ. თუხარელის, ნ. კაკაბაძის, მ. კვესელავას, დ. კობიძის, დ. ლაშქარაძის, ო. ლორთქიფანიძის, რ. მიმინოშვილის, ნ. ორლოვსკაიას, შ. რევიშვილის, ტ. რუხაძის, ვ. შადურის, გ. ციციშვილის, ნ. ცხოვრებოვის, ე. ხინთიბიძის, ლ. ხიხაძის, გ. ჯიბლაძის, ო. ჭინორიასა და სხვათა ნაშრომები.

ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ И ТЕОРИИ ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ И СООТНЕСЕНИЙ

Р Е З Ю М Е

Литературные взаимосвязи различных стран берут начало с незапамятных времен. Причины их возникновения различны, но бесспорно одно — эти взаимосвязи сыграли определенную роль в каждую эпоху и доказали неизбежность своего существования.

